გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
პარასკევი, 17 ივნისი, 2005 წელი.
№142 (5175)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცილისწამებით და ჭორებით ბუნების გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

◎ ექსკლუზივი

## მთელ საქართველოს ქოლგას ვერ გადააფარებ





**გუშინ ღამით მომხდარმა სტიქიამ დაბა დუშეთი და 15-მდე სოფელი წალეკა. არის მსხვერპლი.**

**შექმნილია სპეციალური სამთავრობო კომისია პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით. რეგიონებში არსებული ვითარება სამთავრობო სხდომებზე განიხილება.**

იხ. მე-2 გვ.

◎ რეპლიკა

## წყალდიდობამ სამთავრობო კომისიაც ხომ არ წაიღო?

### რატომ დავუყრუეთ?

**სანამ სულ არ წავულივართ სტიქიას და წყალდიდობებს, რამაც თუნდაც ბოლო დღეებში საგარეჯოსა და დუშეთის მოსახლეობას აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა, იქნებ ეს გონივრული რჩევა ახლა მაინც მიიტანოს ვინმემ გულთან?**

იხ. მე-2 გვ.

◎ მოყვარეს პირში უძრახე...

## პროვინციული ბაქი-ბუქი

ვინ უწევს პრეზიდენტს დათვურ სამსახურს?



იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

## ქართული სახელმწიფოს მაჯისცემა

### ოქმზე ხელი მოაწერეს

**თბილისში მიმდინარე თანამეგობრობის ქვეყნების სარკინიგზო ტრანსპორტის საბჭოს 41-ე სხდომა დღეს ოქმზე ხელმოწერით დასრულდა. ხელმომწერთა შორის არიან დსთ ქვეყნები, ასევე ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, ფინეთი და ბულგარეთი.**

ოქმზე ხელმოწერით ისინი ვალდებულებას კისრულობენ, შეასრულონ ამ სხდომის მუშაობისას მიღებული შეთანხმებები. საუბარია ამ ქვეყნების რკინიგზებს შორის ტექნიკურ, ფინანსურ და უსაფრთხოების საკითხებში ურთიერთთანამშრომლობაზე. საბჭოს მორიგი სხდომა 2005 წლის ნოემბერში, აშხაბადში შედგება.

### ბორანი ივლისში ამოქმედდება

**ფოთი-კავკაზის ბორანი ივლისში ამოქმედდება. როგორც თანამეგობრობის ქვეყნების რკინიგზის ტრანსპორტის საბჭოს დირექციის თავმჯდომარე სერგეი გარეევი აცხადებს, რუსეთ-საქართველოს შორის აღნიშნული ბორნის მიმოსვლის აღდგენაზე მხარეებს შორის პრინციპული შეთანხმება უკვე მიღწეულია. დარჩენილია მხოლოდ დეტალები, რაც საქართველოსა და რუსეთის რკინიგზებს და ადმინისტრაციებს შორის მოლაპარაკების შედეგად გადაწყდება.**

ფოთი-კავკაზის ბორანი 2005 წლის მარტის თვეში ამოქმედდა, თუმცა როგორც შპს „საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა დავით ონოფრიშვილმა განაცხადა, რეისი მხოლოდ ორჯერ შედგა და აპრილის შემდეგ ბორანი აღარ შემოსულა.

### ბაღაფში რკინიგზის გახსნას ემხრობა

**აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას ემხრობა. მისი თქმით, ეს თანაბრად უნდა შედიოდეს როგორც აფხაზეთის, ისე რუსეთის, სომხეთის და საქართველოს ინტერესებში.**

„ამ ინფრასტრუქტურის განვითარება აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკაზე დადებითად აისახება", – აცხადებს ბაღაფში.

ბოლო ორი დღეა, მოსკოვში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და გაეროს მისიის შუამავლობით ქართულ-აფხაზური მხარეები სოჭის ფორმატით გათვალისწინებულ მოლაპარაკებებს მართავენ, მისი ერთ-ერთი მთავარი საკითხი აფხაზეთის რკინიგზის გახსნა და გალის რაიონში დევნილების დაბრუნებაა.

### საზღვარზე კონტროლი ძლიერდება

**გაზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით საზღვრის დაცვის დეპარტამენტი სახელმწიფო საზღვარს აძლიერებს.** 10 ივნისიდან საქართველო-რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე სასაზღვრო ოპერაცია „საფარი-2005" დაიწყო. ოპერაცია ამ მიმართულებით დამატებითი სასაზღვრო სექტორებისა და დროებითი პოსტების გახსნას ითვალისწინებს. ოპერაციის ფარგლებში ასევე გაიზარდა სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა.

სასაზღვრო ოპერაციას „საფარი-2005" საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, სახმელეთო საზღვრის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი, ბრიგადის გენერალი კორნელი სალია ხელმძღვანელობს.

„საფარი-2005" გვიან შემოდგომამდე გაგრძელდება.

### გემი დააკავეს

**სანაპირო დაცვის ოპერაციების სამმართველოს აჭარის ბაზის საპატრულო კატარღამ საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში (სარფის სიახლოვეს), ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე დააკავა კამბოჯის დროშით მცურავი მშრალი ტვირთმზიდი გემი „ალკორი".**

**ამჟამად გემი ბათუმის პორტის რეიდზე იმყოფება. მიმდინარეობს მოკვლევა.**

**მედიანიუსი.**

◎ ჟურნალისტური გამოძიება

## თაღლითები საქართველოს ენერგეტიკაში,



იხ. მე-3-5 გვ.

### რომელთაც ვერც ადრე ურტყამდა მოპარული დენი და არც ახლა აკლიათ მცველები

◎ ნოსტეს ნოსტალგია

## ასე იწყებოდა საკაძეობა



იხ. მე-4 გვ.

◎ საზღვარგარეთ

**სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ მი-**



**აღწიეს მორიგებას იმის თაობაზე, რომ შეიმუშავებენ ერთობლივ სტრატეგიას ექვსმხრივი მოლაპარაკების განახლებისთვის, რომელიც ცალმხრივი წესით შეწყვიტა ჩრდილოეთ კორეის მხარემ.**

* * *

**უკრაინაში პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ ახალი ოპოზიცია არაერთხელ აცხადებდა, რომ ქვეყანაში სდევნიდნენ ვიქტორ იანუკოვიჩის გუნდის წევრებს. უკრაინის რეგიონების პარტიის ლიდერს, ქვეყნის ექს-პრემიერს ვიქტორ იანუკოვიჩს მიაჩნია, რომ ახალმა ხელისუფლებამ ქვეყანაში უნდა გამოაცხადოს პოლიტიკური ამნისტია.**

* * *

**ერთ-ერთი გაზეთის რეპორტიორმა ბომბის მულიაჟით შეძლო შეეღწია იმ სამხედრო აკადემიაში, რომელშიც სწავლობს ბრიტანელი უფლისწული ჰარი. მან შენობაში 7 საათი დაჰყო. რეპორტიორს შეეძლო ნების-**



**მიერ მომენტში „აეფეთქებინა" ტახტის მემკვიდრე-უფლისწული. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო ხანებში ეს პირველი შემთხვევა არ არის.**

* * *

**ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და გაეროს დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, შრი-ლანკის პრეზიდენტი ჩანდრიკა კუმარატუნგა დათანხმდა 3 მილიარდი დოლარის ოდენობის დახმარებიდან ნაწილის გაგზავნას იმ რაიონების მცხოვრებლებისთვის, რომლებსაც ტამილი-ამბოხებულები აკონტროლებენ.**

◎ „ბოლო ზარი"

## რას მოგვითხრობენ თეთრი პერანგები?



გივი ჯოლბორდის ფოტო.

**– ჩვიდმეტში „ბოლო ზარი" გვაქვს, რამე დამიხატე? – უთენია მაღვიძებს ჩემი უფროსი ვაჟი და საგანგებოდ ამ დღისათვის შერჩეულ თეთრ პერანგს მაწვდის.**

სამოცდაათიანი წლების მიწურული გამახსენდა. მაშინ ჩვენ თვითონ ვხატავდით ერთმანეთის თეთრ პერანგებზე ათასნაირ სურათებს, ვაწერდით სურვილებს, განსაკუთრებით ჩვენი სკოლის ნომერს დიდად ვწერდით, რომ შემდეგ რუსთაველის პროსპექტზე სასეირნოდ გასულებს თავი მოგვეწონებინა.

დედაჩემს კარადიდან საგულდაგულოდ შეფუთული იმდროინდელი ჩემი პერანგი გამოაქვს. აღარც მახსოვდა...

რამდენი სევდა და სიხარული დაუტევია, რამდენი ავტოგრაფი საყვარელი ადამიანებისა, თანაკლასელთა და მასწავლებელთა... ბევრი ცოცხალი აღარაა სამწუხაროდ, ბევრი დაოჯახებულია, თითო-ოროლა პაპა და ბებიაც გამხდარა, ახალგაზრდა პაპა და ბებო, ზოგიც შინაბერაა... თუმცა ჩვენს ასაკში კიდევ მოასწრებენ დაოჯახებას.

ჩემი ვაჟი ღიმილით ათვალიერებს, თითქოს დამცინის კიდეც გულში – რა, თქვენს დროს მხატვრები არ იყვნენო? – და მთხოვს, რუსთაველზე ვინმე მხატვარს დავახატინოთ.

...ჩვენი პატარა მონმარტრი ვერ იტევს სკოლადამთავრებულ გოგო-ბიჭებს. მხატვრებსაც საქმეს რა გამოულევს. ზოგი ვეფხვის სურათს უკვეთავს, ზოგიც – პოლიტიკოსების, მომღერლებისა და სპორტსმენების კარიკატურებს. ყველაზე „ხოდში" ჩვენი პრეზიდენტი, მგლები და მაიკლ ჯექსონია.

ისე, გააჩნია ხასიათსა და გემოვნებას. ფასიც ათიდან 20 ლარამდე მერყეობს, დღეში ათობით გოგო-ბიჭს უხატავს სამახსოვრო სურათს თითო მხატვარი.

...გავა წლები, დაკაცდებიან და დაქალდებიან ეს მხიარული ბავშვები, ოჯახებს შექმნიან და შვილებსა და შვილიშვილებს თვალწინ გადაუშლიან თავიანთი უდარდელი ცხოვრების „მემატიანე" თეთრ პერანგს.

ისე, იმ დროს ვისი კარიკატურა იქნება მოდაში? ანდაც, შეინახავს ამ ტრადიციას ჩვენი შთამომავლობა?

**მამუკა ვაშაკიძე.**

**როგორ ჩატარდება პირველი ექსპერიმენტული ერთიანი ეროვნული გამოცდები? თუ წლევანდელმა პრაქტიკამ გაამართლა, დაემატებათ მომავალ წელს აბიტურიენტებს კიდევ ჩასაბარებელი საგნები? რა მოდელის მიხედვით შეიქმნა ესოდენ გახმაურებული უნარ-ჩვევების ტესტები და რა დიდაქტიკური მასალა იქნა გამოყენებული მათი შემუშავების დროს?**

**ამ და ბევრ სხვა კითხვაზე პასუხს ჩვენი დღევანდელი პუბლიკაციით გაეცნობით. თუ მოახლოებულ გამოცდებთან დაკავშირებით დამატებით რაიმე კითხვა გაგიჩნდებათ, გამოგვიგზავნეთ რედაქციაში. სამინისტროს თავაზიანი თანხმობით და მასთან თანამშრომლობით თქვენთვის საინტერესო ყველა კითხვაზე ამომწურავ პასუხს მიიღებთ.**

იხ. მე-3 გვ.

◉ მოყვარეს პირში უძრახე...

# პროვინციული ბაქი-ბუქი

## ვინ უწევს პრეზიდენტს დათვურ სამსახურს?

**გასაგებად თქვა სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ: „ქართულ-ოსური დაპირისპირების ზონაში ოთხი ქართველის გატაცება რუსეთიდან წინასწარ დაგეგმილი პროვოკაციაა...“**

**ეს არც არის გასაკვირი — აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დესტაბილიზაცია და პროვოკაციული ბუნტი მის ინტერესებში შედის, რათა საქართველოში „სამშვიდობო ძალების“ არსებობა აუცილებელი გახდეს!**

გუშინწინ, ჯერჯერობით უჩინარ გატაცებულთა ახლობლების გულის მოსაგებად კოკოითის ხელისუფლებამ გასაოცარი ჯილდო — 50000 რუსული რუბლი (დაახლოებით 3000 ლარი, ანუ 1600 დოლარი!) დააწესა იმ პირთათვის, ვინც ხაჭაპურიძეების და ლომიძის ადგილსამყოფელის შესახებ ზუსტ ინფორმაციას მიაწოდებს სამართალდამცავებს.

გვამასხარავებს რუსის დარიგებული და შეგულიანებული კოკოითი. თანაც, ერთმნიშვნელოვნად „გვიმტკიცებს“, რომ „ტექსტილის“ დასახლების კრიმინალური დაჯგუფების წევრებს რუდიკ ბესტაევს („ლულუს“) და აცამაზ კოჩიევს (მისი თიკუნი — მეტსახელი უცნობია), ქართველები არ გაუტაცნიათო!

გატაცებულების საპოვნელად კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე ტყეებისკენ. „ტექსტილის“ დასახლება ხომ გადააქოთეს, ლამის საჩხერისა და ხაშურის რაიონების გაუვალი კლდე-ღრეც არ დატოვეს... სამართალდამცავებს თან ახლდნენ მოხალისე ქართველები, გატაცებულთა ახლობლები, მწყემსები და გაწვრთნილი ძაღლებიც კი...

სადმე თუ გსმენიათ, ბატონებო, გატაცებულთა ასეთი სტიქიური, ქაოტური ძებნა? გაიძვერა მტერი, მისგან მოსყიდული კრიმინალი ასე წინასწარ აფიშირებულ ტერიტორიაზე „დაგიბამდა“ მსხვერპლს?

ეს არის, დაზვერვის სამსახური, საერთოდ, კრიმინოგენური ფონი საქართველოში მკვეთრად გაუმჯობესდაო?!

ვინ აწვდის ქვეყნის პრეზიდენტს ასეთ ცრუ, ყალბ ინფორმაციას და, საერთოდ, ვინ უწევს მას დათვურ სამსახურს?

პრეზიდენტმა უშიშროების საბჭოს სხდომაზე ხაზგასმით განაცხადა: „ამ კრიმინალებმა რამდენიმე მძიმე დანაშაული ჩაიდინეს. ეს იყო პოლიციაზე თავდასხმა და ჩვენი მოქალაქეების გატაცება-გაუჩინარება. დოკუმენტურად ვიცით, თუ ვინ ჩაიდინა ეს ყველაფერი. ამ ადამიანებს აუცილებლად ვიპოვით და უსიკვდილოდ ვაგებინებთ პასუხს. საქართველოში, მთლიანად, კრიმინოგენური ფონი მკვეთრად გაუმჯობესდა და ყველა ხედავს, რომ დანაშაულებები მცირდება. მყარდება სტაბილურობა და ვერც ერთი სტაბილური, დემოკრატიული სახელმწიფო ვერ მოითმენს თავის ტერიტორიაზე კრიმინალური ანკლავების არსებობას. ამავე დროს საქართველოს მტრებს მეტად სურთ, მოგვიწყონ რაიმე სახის პროვოკაცია. განსაკუთრებით ამ ეტაპზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ამ კონფრონტაციებში ჩვენი ჩათრევა...“

თუ ვიცით გამტაცებელთა ვინაობა და მათი დაკავებაც შეგვიძლია, ქადილს პრაქტიკული ქმედება არა სჯობს?

ნუთუ მართლა გვჯერა, რომ რუსები, ოსების ხელით, თავიანთ კრიმინალებს 50000 რუბლად გადმოგვცემენ — ჩვენი ძმობა და სტაბილური ურთიერთობა ამ ნაძირალებმა დაარღვიესო?!

ხომ არ დაგვავიწყდა, ამ რამდენიმე თვის წინათ რატომ დაგვიჩოქეს ცხინვალში ჩვენი ჯარისკაცები და როკის გვირაბს იქით როგორ შემოჯარა რუსმა თავისი სამხედრო ტექნიკა?..

ან, სადაური წესია, ყველაზე საიდუმლო სახელმწიფო ორგანოს — უშიშროების საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებების ასე გამომზეურება?

საქართველოს თავისუფლების და დამოუკიდებლობის უპირველესი მტერი — რუსეთი ამიტომაც კვდება სიცილით...

ჩვენ, საცოდავი ქართველები კი, ოდენ პროვინციული ბაქი-ბუქის ამარა ვრჩებით...

ჩვენ კი უშიშროების საბჭოს სხდომის დონეზე საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე კრიმინალური ანკლავის არსებობას არ დავუშვებთ, რომ ზუსტად ვიცით, თუ ვინ არიან გამტაცებლები და მათ აუცილებლად დავსჯით!

ამ ცარიელ ტრაბახთან ერთად, მოსახლეობას თვალში ნაცარს ვაყრით და სისტემატურად ვაჩვენებთ ტელეეკრანიდან, თუ როგორ დაირაზმნენ ქართველი (და ოსიც!) სამართალდამცავები

**სპარტაკ ქოზულია.**

◉ ინფორმაცია თემაში

### შეხვედრამ ვერაფერი შეცვალა

**ცხინვალში „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო პრეზიდენტს ედუარდ კოკოით, გატაცებული ქართველების ნათესავები და ოჯახის წევრები შეხვდნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ ის ოსებიც, რომელთა ოჯახის წევრები 29 მაისს სოფელ თამარაშენში ქართულ საგუშაგოსთან მომხდარი ინციდენტის დროს დაიხოცნენ. შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ დე ფაქტო მთავრობის მეთაური ზურაბ კოკოევი, თავდაცვისა და განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრები და შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი მარატ კულახმეტოვი.**

**დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებით, კოკოითი ქართველების პოვნით დაინტერესებულია. მან გატაცებული ქართველების ნათესავებს პირობა მისცა, რომ შეიქმნება ერთობლივი ჯგუფები, რომლებიც გატაცებულთა ძებნას განაგრძობენ.**

**ერთ-ერთი გატაცებულის ძმა — ლევან ხაჭაპურიძე აცხადებს, რომ მათ მომხდართან დაკავშირებით დე ფაქტო ხელისუფლების პოზიციის გაცნობა სურდათ. მისივე თქმით, კოკოითის ხელისუფლება დაინტერესებულია გაუჩინარებული ქართველების ადგილსამყოფელის დადგენით და იგი მათ დაპირდა, რომ ამისთვის ყველა ღონეს მიმართავენ.**

**გატაცებულთა ადგილსამყოფელი კი ჯერ ისევ უცნობია.**

### კიდევ ერთი ქართველი გაიტაცეს

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ კეხვთან კიდევ ერთი ქართველი გაუჩინარდა. 65 წლის გოგი კახნიაშვილი 16 ივნისს დაუდგენელმა პირებმა გაიტაცეს. მისი ადგილსამყოფელი უცნობია. ვარაუდობენ , რომ ის ოსმა კრიმინალებმა გაიტაცეს.**

◉ რეპლიკა

# წყალდიდობამ სამთავრობო კომისიაც ხომ არ წაიღო?

## რატომ წავუყრუეთ?

**როცა არ გინდა, სხვისი რჩევა წაიკითხო ან მოისმინო, წაყრუება საამისოდ მშვენიერი გამოსავალია. მით უფრო მთავრობისთვის, რომელსაც მაინცდამაინც არც გაზეთების კითხვა უყვარს და არც ხალხის გულისვარამის გაზიარება. ჰაერზე ნათქვამი რომ არ გამომივიდეს, უამრავთაგან ამჯერად მხოლოდ ერთ კონკრეტულ ფაქტს მოვიტან.**

ამ ბოლო დროს სტიქიამ რომ შემოგვიტია და შემოგვიტია, საქართველოს დამსახურებულმა მშენებელმა რევაზ ტყემალაძემ ერთი კარგი ძველი ტრადიცია გაიხსენა და ამის თაობაზე წერილი ჩვენი გაზეთის 25 მაისის ნომერში გამოაქვეყნა. **საქმე ეხება კონკრეტულად მთავრობის აპარატში საგანგებო სიტუაციების მუდმივმოქმედი კომისიის არსებობას, რომლის თავმჯდომარე, როგორც წესი, მთავრობის ხელმძღვანელი, ხოლო წევრები სამინისტროებისა და უწყებების პირველი პირები იყვნენ.**

როგორც ავტორი აღნიშნავს, ახლა ასეთი კომისია აღარ არსებობს, არადა, სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოების დაგეგმვასა და ოპერატიულად განხორციელებაში აღნიშნული კომისიის ღვაწლი თვალსაჩინო იყო. არც ერთი ლიტონი სიტყვა და არარეალური ღონისძიება ამ კომისიის სხდომის ოქმში არ მოხვდებოდა. ყველა ასეთ ღონისძიებას შესრულების კონკრეტული ვადა ჰქონდა დაწესებული, კონტროლდებოდა და შედეგები მორიგ სხდომას დეტალურად მოხსენდებოდა. ასეთ ვითარებაში თითოეული შემსრულებელი მაქსიმალურად ცდილობდა, ხალხის უბედურების შემსუბუქებაში თავისი წვლილი შეეტანა, რასაც, ბუნებრივია, შედეგიც მოსდევდა.

კაცმა რომ თქვას, რა იყო ცუდი ამაში, რატომ არ შეიძლებოდა მთავრობიდან ამ წინადადებას ვინმე გამოხმაურებოდა და მსგავსი კომისია თუ შტაბი ახლაც შექმნილიყო? ასეთი სტრუქტურა რადგან არ არსებობს, ახლა სტიქიის ყოველ შემოტევაზე, რომელიც ქვეყნის ხან ერთ კუთხეს დაატყდება თავს და ხან მეორეს, ყოველ ცალკეულ მოვლენასთან დაკავშირებით, იქმნება ახალი კომისიები, რომელთა საქმიანობა ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს და ნაკლებად ეფექტურია.

სანამ სულ არ წავულევართ სტიქიას და წყალდიდობებს, რამაც ბოლო დღეებში საგარეჯოსა და დუშეთის მოსახლეობას აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა, იქნებ ეს გონივრული რჩევა ახლა მაინც ვინმემ გულთან მიიტანოს?

**ვერ გამიგია, რატომ ეშინია ზოგს, რომ, თუ სხვის აზრს მოისმენს და გაიზიარებს, გვარიშვილობას თუ არა, ავტორიტეტს ან თანამდებობას მაინც დაკარგავს?**

**ოთარ ხუციშვილი.**





◉ ექსკლუზივი

# მთელ საქართველოს ქოლგას ვერ გადააფარებ

## გვესაუბრება მთავრობის რეგიონული სამსახურის უფროსი ჯამბულ ბაკურაძე

**გუშინ ღამით მომხდარმა სტიქიამ დაბა დუშეთი და 15-მდე სოფელი წალეკა. არის მსხვერპლი. ადიდებულმა მდინარემ დაანგრია ჯებირები, ხიდები, ფესვებიანად მოგლიჯა ხეები... წყალმა საცხოვრებელი სახლების მეორე სართულზეც ააღწია და ორასამდე ოჯახი მძევლად აქცია.**

**ამბობენ, ზარალი რამდენიმე მილიონს შეადგენსო.**

**— ასეთი რამ ბოლო 30 წლის განმავლობაში არ მახსოვს. 1981 წელს მიწისძვრაც მოხდა, მანამდეც იყო სტიქია, მაგრამ წლევანდელი შემოტევა არა და არ ჩერდება. ძალზე დიდი ზარალი მოგვაყენა. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კონცეფციას ხელი შეუშალა, — ამბობს საქართველოს მთავრობის რეგიონული სამსახურის უფროსი ჯამბულ ბაკურაძე.**

**— ბატონო ჯამბულ, თავიდან სტიქია მთის რეგიონებში აბობოქრდა. ეს ჩვეულებრივი, დროებითი მოვლენა გვეგონა...**

— ლენტეხს, მესტიას, ონს მოულოდნელად თავს დაატყდა უბედურება, რის შედეგადაც ლენტეხში, ფაქტობრივად, გზა აღარ არსებობს. რაიონის 80 პროცენტი გარესამყაროს მოწყვეტილია. მოვლენები ისე მოულოდნელად განვითარდა, რომ მოსახლეობამ ვერ მოასწრო მარაგის სახით საკვები პროდუქტის მთაში ატანა.

ანალოგიური ვითარება შეიქმნა რაჭაშიც. ამის გარდა, სამიოდე დღის წინათ, ქვემო ქართლში დმანისი და ბოლნისი დაისეტყვა. კვერცხის ოდენა სეტყვამ სახლებს სახურავები დაულეწა, სახნავ-სათესები და სავარგულები კი გაანადგურა.

ამ ხნის განმავლობაში, გულს ვიმშვიდებდით, სტიქიას მსხვერპლი არ მოჰყოლიაო. მოსახლეობას კი ვაუწყებდით კანცელარიაში გამოცხადებულ სადღეღამისო მორიგეობაზე, საგანგებოდ შექმნილ შტაბზე... და მათ ვხიზნავდით უსაფრთხო ადგილებში. მაგრამ, სამწუხაროდ, დუშეთში სამიოდე დღის წინათ მდინარემ ერთი მამაკაცი მოიტაცა და იგი დაკარგულია. გუშინ ღამით კი სახლში შევარდნილმა წყალმა ქალი დაახრჩო... რაც დუშეთში მოხდა, თითქმის ყველაზე სასტიკი იყო მთელი ამ ხნის მანძილზე.

სავალალო ვითარებაა კახეთშიც. ჯერ ლაგოდეხი და ყვარელი დაიტბორა, შემდეგ — საგარეჯო. სეტყვამ, ნიაღვარმა, ღვარცოფმა გაანადგურა ნათესები. ფაქტობრივად, მოსავალი აღიგავა პირისაგან მიწისა. ერთი სიტყვით, არ დარჩა არანაირი უბედურება, რომ ქვეყანას თავს არ დასტყდომოდა.

**— როგორ დაეხმარება ხელისუფლება სტიქიით დაზარალებულებს? კონკრეტულად, რა კეთდება საამისოდ?**

— შექმნილია სპეციალური სამთავრობო კომისია პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით. რეგიონებში არსებული ვითარება სამთავრობო სხდომებზე განიხილება. სურსათ-სანოვაგეს ვყიდულობთ და გარესამყაროს მოწყვეტილ მთიან რეგიონებს ვუგზავნით. როცა ამინდი გამოდის, პროდუქტი ვერტმფრენებით გადაგვაქვს. ამისთვის ტექნიკა მობილიზებულია. გზების დეპარტამენტს დაევალა, რომ ყველა სოფლამდე გზები დროულად აღდგეს.

სტიქიამ საქართველოს მასშტაბით 300 კილომეტრის გზა მოსპო, დანგრეულია ასამდე ხიდი. პარალელურად, ყველა ოჯახისთვის, რომელსაც სახლი დაენგრა, ახალ სახლს ვყიდულობთ ან კომპენსაციას ვაძლევთ. სადღეისოდ, 350-მდე ასეთი ოჯახია.

სტიქიით დაზარალებულთათვის ბიუჯეტიდან 40 მილიონი ლარი გამოიყო. აქედან 35 მილიონი გზების, კომუნიკაციების, ხიდების აღდგენას დასჭირდება, ხოლო 5 მილიონი გადანაწილდება იმ ოჯახებზე, ვინც სახლი დაკარგა.

ჯერჯერობით 126 ოჯახი დავაკმაყოფილეთ სახლებით. კიდევ 240 ოჯახის დახმარებას ვგეგმავთ.

**— თუ გვეხმარებიან საერთაშორისო ორგანიზაციები?**

— ნაკლებად. ახლახან გაეროს მისია ჩამოვიდა, მოიარეს რეგიონები, პროგრამა შეადგინეს. საერთაშორისო ორგანიზაციებს რეკომენდაციები დაუგზავნიათ საქართველოში შექმნილ ვითარებაზე. მაგრამ თქვენც ხომ იცით მათი პედანტობის ამბავი... სახარბიელო შედეგი არა მგონია, მოჰყვეს. თუმცა იტალიიდან, გერმანიიდან კარვები და სურსათი გამოაგზავნეს. მოლდოვამ კი 5 ათასი დოლარი გვაჩუქა.

რაც შეეხება 5 მილიონ დოლარს, რომელიც მსოფლიო ბანკმა უნდა გამოყოს, ჯერ მიმოქცევაშიც არ არის, თუმცა ეს თანხა მიზნობრივად — წყალსადენებისა და კომუნიკაციების აღდგენაზე დაიხარჯება. მესტიაში, ონში, ხონში, ვანში და ამ რაიონების მრავალ სოფელში ცენტრალური წყალმომარაგება არ არსებობს. ისინიც უნდა აღვადგინოთ.

**— ბატონო ჯამბულ, ოპონენტები ამბობენ, რომ მთავრობას წინასწარ უნდა მიეღო ზომები მოსალოდნელ სტიქიასთან დაკავშირებით, უნდა სცოდნოდა, რომ გაჩეხილი ტყეები, გაუწმენდავი კალაპოტები საბოლოოდ თავის „სიტყვას“ იტყოდა...**

— სისულელეა. ზომები როგორ უნდა მიეღო? ვთქვათ, ცხენისწყალი ადიდდა ან ბაბილის მეწყერად ცნობილი მთიდან მეწყერი წამოვიდა... ეს მთა საუკუნეების განმავლობაში მოედინება და ამ მეწყერს გზას როგორ აუქცევ...

რაც შეეხება ტყეს, მესტიაში ვენახე ისტორიული, ათასწლოვანი სოფლები, სადაც ტყე გაჩეხილია, მაგრამ ეს მოხდა არა შარშან ან წლეულს, არამედ ეს ტყე წლების მანძილზე იჩეხებოდა, მერე იქ გზები ტრაქტორებით და ბულდოზერებით გაჰყავდათ, რომ ხეები ჩამოეთრიათ... დროის გასვლის შემდეგ, მიწამ დაშლა დაიწყო, ქანებად წამოვიდა...

ვთქვათ, სეტყვა მოვიდა. რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ? ქოლგას შეკერავს თუ ბადეს გადააფარებს ვენახებს...

მთავარი ის არის, ეს უბედურება სამი წლის წინათ რომ დატრიალებულიყო, 40 მილიონს კი არა, 40 ათასს ლარსაც ვერ გამოყოფდა ხელისუფლება... მადლობა ღმერთს, რომ დღეს არსებობს მდიდარი ხაზინა. როგორც პრემიერ-მინისტრი ამბობს, თუ აუცილებლობამ მოითხოვა, მთავრობა შეძლებს დამატებითი სახსრების მობილიზებას, ჯებირების, მდინართა კალაპოტების მოწესრიგებას.

ღვთის წყალობას და გამოამინდებას ველოდებით. მთავარია, რომ ქვეყანას სათანადო ფულადი რესურსები აქვს.

ესაუბრა **თამარ შაიშმელაშვილი.**

◉ ეკლესია

# თუნდაც კეთილი მიზნები ამოძრავებდეთ...

## საქართველოს საპატრიარქოს განცხადება



ქვათახევი

**პერიოდულად ქართული პრესის ფურცლებზე ჩნდება ხოლმე სტატიები, რომლებშიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები უარყოფით კონტექსტში არიან მოხსენიებულნი. ზოგჯერ კი ცხადდებიან ეკლესიისა და პატრიარქის მოწინააღმდეგეებად.**

გვინდა განვაცხადოთ, რომ ეკლესიაში არსებული პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით არსებული განსხვავებული აზრი არ ნიშნავს იმას, რომ ამა თუ იმ სასულიერო პირს ეკლესიისადმი მტრული განწყობა აქვს. ამასთანავე, ამგვარ პუბლიკაციებს მრევლში და საზოგადოებაში შფოთი შემოაქვს და გზას უხსნის საერო პრესის ფურცლებზე შიდა საეკლესიო საკითხებზე არაჯანსაღ პოლემიკას.

საქართველოს საპატრიარქოს მიაჩნია, რომ საერო გაზეთებში გამოქვეყნებული ამგვარი მასალები, მაშინაც კი, როდესაც მათ ავტორებს მართლმადიდებლობის მიმართ კეთილი მიზნები ამოძრავებთ, ხელს არ უწყობს ეკლესიის პოზიციის დაცვას. ასეთი პუბლიკაციები შეიძლება უნებლიეთ გახდეს ეკლესიაში შფოთის შემოტანის წინაპირობა, რითაც, შესაძლოა, ისარგებლონ ეკლესიისადმი მტრულად განწყობილმა ძალებმა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ახალი ცილისმწამებლური პროპაგანდის ტალღა ააგორონ.

ყველას ვთხოვთ, თავი შეიკავონ მსგავსი ქმედებებისგან.

### შეიქმნა საკოორდინაციო ცენტრი

**საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით შეიქმნა რელიგიურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის პროცესს.**

ცენტრის საქმიანობა წარიმართება შემდეგი მიმართულებებით:

1. ჩვენს საზოგადოებაში და განსაკუთრებით ახალგაზრდობაში სახელმწიფოებრივი აზროვნების ხელშეწყობა;
2. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ზრუნვა;
3. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება — საფუძველი ძლიერი სახელმწიფოს შექმნისა;
4. სოციალური მსახურება;
5. ზრუნვა მშვიდობიანი და სტაბილური კავკასიისთვის.

◉ ინფორმაცია

### ოპოზიცია ხელმოწერების შეგროვებაზე ნებართვას ითხოვს

**პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციების საინიციატივო ჯგუფმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ოფიციალური განაცხადით მიმართა — მერებისა და გამგებლების პირდაპირ არჩევითობაზე რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს. რეფერენდუმის ჩასატარებლად 200 000 ხელმოწერაა საჭირო. ხელმოწერების შესაგროვებლად საინიციატივო ჯგუფმა ნებართვა ცესკოსგან უნდა მიიღოს.**

**ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილებას ცესკო ერთ თვეში მიიღებს. ხელმოწერები გადაეცემა პრეზიდენტს, რომელმაც რეფერენდუმი უნდა დანიშნოს.**

**როგორც კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური აცხადებს, ხელისუფლების მხრიდან დიდია სურვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მერები და გამგებლები თავად აკონტროლოს. ამის გამო სურს მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით დანიშვნა.**

**ოპოზიცია ვარაუდობს, რომ ხელისუფლება ცესკოზე ზემოქმედებას მოახდენს და პირდაპირ არჩევითობას არ დაუშვებს, რადგან რეფერენდუმზე მოსახლეობის თანხმობის შემთხვევაში, ცენტრალური ხელისუფლება ადგილობრივ მმართველობის ორგანოებზე კონტროლს დაკარგავს.**

### კიდევ ერთი ჩინოვნიკი დააკავეს

**ქრთამის აღების ფაქტზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქსნის №7 მკაცრი რეჟიმის კოლონიის სპეციალური აღრიცხვის განყოფილების უფროსი ლევან ქანთარია კონსტიტუციური უსაფრთხოების თანამშრომლებმა მაშინ დააკავეს, როცა ის ერთ-ერთი მოქალაქისგან 300 ლარს იღებდა. მას ქრთამის გამოძალვის ბრალდებით თავისუფლების 15 წლამდე აღკვეთა ემუქრება.**

**— კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი ყველა მექრთამე ჩინოვნიკის კარზე დააკაკუნებს და შედეგი ყველგან ისეთი იქნება, რა ბედიც ქსნის №7 კოლონიის თანამშრომელს ეწია, — აცხადებს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იოსებ თოფურიძე.**

### სიგარეტით მოვაჭრეთა დახლები დაშალეს

**ზუგდიდის ბაზარში სიგარეტით მოვაჭრეთა დახლები აიღეს. მოვაჭრეები ადგილობრივ ხელისუფლებას დასაქმებას სთხოვენ. მათივე თქმით, სამართალდამცავებს დახლების აღების უფლება არ ჰქონდათ.**

**— მოვაჭრეთა დახლები იმის გამო დაიშალა, რომ იქ უაქციზო სიგარეტით ვაჭრობდნენ, რაც კანონით იკრძალება. სამართალდამცავები აბსოლუტურად კანონის ფარგლებში მოქმედებდნენ, — განუცხადა მედიანიუსს ზუგდიდის რაიონის გამგებელმა ალეკო ქობალიამ.**

### ცხენის ხორცსაც გვაჭმევენ?

**ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, თბილისში ე. წ. დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთ-ერთ ავტოფარეხში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ და თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციამ ხორცის საბითუმო სარეალიზაციო პუნქტში აღმოაჩინეს დაახლოებით 1 ტონამდე ხორცი, — ამ ხორცის ნაწილი ცხენისაა. ჯერჯერობით არ არის დადგენილი, რამდენად საშიშია ჯანმრთელობისთვის — ამ ხორცის გამოყენება. ავიღეთ სინჯები და ხორცის ვარგისიანობის შესახებ ზუსტ პასუხს ცენტრალური ვეტერინარული ლაბორატორიიდან ხვალ მივიღებთ, — განაცხადა თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსმა კახა ნაჭყებიამ.**

**მიმდინარეობს მოკვლევა. დაკავებულია ორი პირი, რომლებიც, წინასწარი ინფორმაციით, ხორცის რეალიზებას ახდენდნენ.**

**დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებლის რამაზ სულამანიძის თქმით, აღმოჩენილი ხორცი განადგურდება, ავტოფარეხის პატრონის ვინაობა უკვე ცნობილია.**

**მედიანიუსი.**

◉ კანონმდებლები

# ვერ გახდება არშაკა ბაგრატიონ-მუხრანსკი?



**პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წინა დღით დაწყებული საკითხის მოსმენა გაგრძელდა, უფრო ზუსტად, მოხსენებების, რომლებიც კონტროლის პალატის საქმიანობას ეხებოდა. თუმცა მანამდე კენჭისყრის პროცედურა გაიმართა და ჩვენი პარლამენტისთვის უჩვეულო ამბის მომსწრენი გავხდით.**

ბაგრატიონ-მუხრანსკი ნებისმიერი მსურველი ვერ გახდება. არადა, გუშინ კანონმდებლები რომ არ გაჯიუტებულიყვნენ, იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით ბევრი „მიიკრავდა“ იოლად სამეფო დინასტიის წარმომადგენლის „იარლიყს“. ჰოდა, ჩემი ერთი მეგობრის თქმის არ იყოს, გვეყოლებოდა პეტროსიანმუხრანსკები.

44 მომხრე, 18 მოწინააღმდეგე — კენჭისყრის ასეთი შედეგი გამაოგნებელი აღმოჩნდა ყველასთვის, ვინც საპარლამენტო უმრავლესობას იცნობს.

— პულტებმა არ იმუშავა, — ასე მარტივად ახსნა ყველაფერი მიშა მაჭავარიანმა და დარბაზისგან თანხმობა მოითხოვა კენჭისყრის ხელახლა ჩასატარებლად.

ლევან ბეჟანიშვილმა დეპუტატთა შეშფოთების მიზეზი ვერ გაიგო — ამ კანონპროექტით, არსებითად, არაფერი იცვლებაო. — თუ ასეა, რაში დაგჭირდათ კანონპროექტის შემოტანაო, — ლოგიკური შეკითხვა დასვა დავით გამყრელიძემ.

ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ თავმჯდომარემ უხერხულობა იმაშიც დაინახა, ჩავარდნილი კანონპროექტის ხელახალი კენჭისყრა რომ მოითხოვა მაჭავარიანმა, რაკი შედეგი არ მოეწონა.

გამყრელიძის პროტესტმა შედეგი ვერ გამოიღო. კენჭისყრა ჩატარდა, ოღონდ იმის გასარკვევად, ვინ იყო კანონპროექტის ხელახალი კენჭისყრის მომხრე და ვინ წინააღმდეგი.

მომხრე — 47, მოწინააღმდეგე — 51.

გაოცება მიხეილ მაჭავარიანმაც ვერ დაფარა. საინტერესოა, ასეთი შემთხვევებისთვის ხელისუფლებას რაიმე „სანქცია“ ხომ არ აქვს გათვალისწინებული...

კენჭისყრის დასრულების შემდეგ ბექან ბუცხრიკიძე გამოვიდა მოხსენებით. ის იმ საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე იყო, რომელსაც კონტროლის პალატის საქმიანობის შესწავლა ევალებოდა. მანაც და კომისიის წევრებმაც მოიწონეს კონტროლის პალატის მუშაობა, თუმცა მოხსენებაში საყვედურმაც გაიჟღერა ზურაბ სოსელიას ანგარიშისადმი (შეგახსენებთ, კონტროლის პალატის თავმჯდომარემ დეპუტატებს წინა დღეს გააცნო ანგარიში).

— ანგარიშში მოყვანილია დარღვევების მრავალი ფაქტი სექტორების მიხედვით, მაგრამ არ არის აღნიშნული, თითოეულმა ობიექტმა რა ზარალი მიაყენა სახელმწიფოს და, რით იყო ეს დარღვევები განპირობებული.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ნაზი არონიამ კონტროლის პალატა შექების ღირსად მიიჩნია, რაკი კორუფციის ყოფილი ბუდე ამ სენისგან გათავისუფლებულა.

კონტროლის პალატის თავმჯდომარისა თუ თანამომხსენებლების გამოსვლის დროს დარბაზში 40-50 დეპუტატი იჯდა. დეპუტატთა მცირერიცხოვნობამ გააკვირვა რესპუბლიკელი ივლიანე ხაინდრავა, იმის მიუხედავად, რომ პარლამენტში ბოლო ერთი წლის განმავლობაში მუშაობამ მას თურმე გაოცების უნარი დააკარგვინა.

— კონტროლის პალატა პარლამენტის ის ორგანოა, რომელსაც შეუძლია, მეტნაკლებად გააკონტროლოს აღმასრულებელი ხელისუფლება. დეპუტატთა ასეთი „ინტერესი“ ნათელს ხდის პარლამენტის ამ უმნიშვნელოვანესი ფუნქციისადმი დამოკიდებულებას, რასაც, ჩემი აზრით, გუნდურობის მცდარი გაცნობიერება უდევს საფუძვლად. საპარლამენტო უმრავლესობა აღმასრულებელი ხელისუფლების გამგრძელებლად მიიჩნევს თავს. თუკი „შეუმცდარი“ აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედება არ მოეწონებათ, ფრაქცია „უმრავლესობის“ დახურულ სხდომაზე თითო-ოროლა საყვედურს გამოთქვამენ და ამით დასრულდება ყველაფერი. მაგრამ ამით არაფერი მთავრდება, ბატონებო, ქვეყანაში დაფარული არაფერია, — ამის შემდეგ ივლიანე ხაინდრავამ კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და საპარლამენტო კომისიის საანგარიშო მოხსენებები მიმოიხილა. მან, შეიძლება ითქვას, განაგრძო ის თემა, რომელსაც წინა დღეს შეეხნენ „კონსერვატორები“ და „მემარჯვენეები“. კონტროლის პალატა დარღვევების მრავალ ფაქტს აღწერს, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყვება.

— მხოლოდ 2004 წელს კონტროლის პალატამ შინაგან საქმეთა სამინისტროს 37 მასალა გადასცა, მათ შორის, ბევრი იყო მნიშვნელოვანი, მაგრამ ძალოვანი უწყებისგან რეაქცია არ მოჰყოლია. ასეთივე ვითარებაა პროკურატურაში.

უყურადღებობასთან ერთად, რაც, თავისთავად, უკანონობაა, ივლიანე ხაინდრავამ ლოზუნგით — „საქართველო კორუფციის გარეშე“ — მოსული ხელისუფლებისთვის არასასიამოვნო მხარესაც გაუსვა ხაზი. მისი თქმით, მხოლოდ კონტროლის პალატის ანგარიშში აღწერილი დარღვევების საფუძველზე ძალიან მარტივად შეიძლება დავასკვნათ:

— საქართველოში კორუფცია ძველებურად ჰყვავის, მეტიც, მძვინვარებს.

ეს ის ჭირია, რაც უნდა მალო, თავს რომ მაინც არ იმალავს.

**რუსუდან გახარია.**

◉ აქტუალური თემა

# არ ვეთმობით

**გაუგებარია, რა მოიგეს რუსებმა იმ კონფერენციით, რომელზეც ამას წინათ ქართველი ოპოზიციონერები, კერძოდ, არასაპარლამენტო ოპოზიცია მიიწვიეს. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პროექტირების ინსტიტუტის ეს ინიციატივა მიზნად რომ რაღაცას ისახავს, ცხადზე ცხადია. ამ „რაღაცაში“ ბევრი რამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუნდაც მეზობელი ქვეყნის პოლიტიკური ელფერის შესწავლა თუ მოსინჯვა.**

კონფერენციის თემა ძალიან უპრეტენზიოდ ჟღერდა: „შეხედულებები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ“. ბევრს გაუკვირდა, რომ აღნიშნულ თემაზე მომხსენებელი შვეიცარიიდან ჩამოსული მოძრაობა „თავისუფლების“ ლიდერი კოკო გამსახურდია იყო. მოგეხსენებათ, კონფერენციაზე მიწვეული იყვნენ ზვიად გამსახურდიას ყოფილი ოპოზიციონერებიც.

ისეთი სურათი დაიხატა, თითქოს რუსეთმა ქართული პოლიტიკური სპექტრის შერიგება-დაახლოება ითავა. ისმება კითხვა, რატომ? ზოგიერთი ექსპერტის აზრით, რუსეთი ქართველი ოპოზიციონერების დაფინანსებას აპირებს. ამ ეჭვს საპარლამენტო ოპოზიცია არ იზიარებს. კერძოდ, „რესპუბლიკელების“ აზრით, საქართველოში არ არსებობს არც ერთი სერიოზული პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც საქართველოს რუსეთთან ინტეგრირების ვარიანტს განიხილავდეს.

საქართველოს არჩევანი ევროპისა და ნატოს სასარგებლოდ არის და მისი რევიზია არ მოხდება, მაგრამ რუსეთს ამის დაჯერება უჭირს.

უკანასკნელ პერიოდში, სუამის გააქტიურებასთან ერთად, მოსკოვი, როგორც ჩანს, ცდილობს, საქართველოს მიმართ მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი აამოქმედოს. ამ ბოლო დროს ცხინვალის რეგიონში შექმნილი სიტუაციაც აშკარად ჩრდილოელი მეზობლის მიერ დაგეგმილ პროვოკაციას ჰგავს.

ამ ფონზე ძნელი სათქმელია, თუ რამდენად პერსპექტიულია საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა. ცხადია, მეზობლებთან კონტაქტი ყოველთვის საჭიროა, მაგრამ სხვა საკითხია, როგორი იქნება ეს კონტაქტი. არასაპარლამენტო ოპოზიცია იმედოვნებს, რომ ორ ქვეყანას შორის დიალოგის დაწყებაში პოზიტიურ როლს შეასრულებს. ვნახოთ...

მანამდე კი მოსკოვში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება მოეწყო — ჟენევის ფორმატის ფარგლებში სოჭის შეთანხმების საფუძველზე ქართულ-აფხაზური სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც დევნილთა დაბრუნებისა და სოჭი-თბილისის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხები განიხილეს.

ცნობილია, რომ დიდი ხნის მანძილზე საქართველოს მთავრობას აფხაზეთის რკინიგზის ამოქმედებაზე უარყოფითი პოზიცია ჰქონდა, რაც ბოლო პერიოდში დიდებითად შეიცვალა. არადა, რუსეთს კვლავაც სურს რკინიგზის საკითხი დევნილების დაბრუნებასა და ტერიტორიულ მთლიანობას არ უკავშირდებოდეს.

საქართველოს ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, უშედეგო უარს კომპრომისი ამჯობინა. რკინიგზა ალბათ, მალე გაიხსნება. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის მიმართულებით რკინიგზის აღდგენას 2,5 მილიარდი რუსული რუბლი, ანუ ასი მილიონი დოლარი სჭირდება. თანხის ნაწილს ქართულ და რუსულ მხარესთან ერთად, სარკინიგზო მაგისტრალის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სომხური მხარეც გაიღებს.

**მზია გელენავა.**

**◎ უმაღლესი განათლება**

# „ციებ-ცხელება“ იწყება, მზად ხართ?

## საგანმანათლებლო „ლაბორატორიაში“ შემუშავებული საგამოცდო „ვირუსი“

*ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველი, „ექსპერიმენტული ნაკადი“ ნოვაციებისა და ესოდენ ხმაურიანი ტესტების გაცნობას, ტრადიციისამებრ, ივლისის შუა რიცხვებიდან შეძლებს. გამოცდების ჩატარების განრიგი უკვე განისაზღვრა მინისტრის ბრძანებულებით. ნერვიულობს ყველა: აბიტურიენტები – მათ ხომ ახლებური მეთოდის საკუთარ თავზე მოსინჯვა და მორგება მოუწევთ, მშობლები – წინასაგამოცდო შენატანი (20 ლარი) მათ სასაცილოდ მოეჩვენებათ, თუკი შვილი სახელმწიფო დაფინანსებაში ვერ მოხვდება და სწავლის გასამმაგებული თუ არა, გაორმაგებული გადასახადის გადახდა მოუწევთ (!); ღელავენ სამინისტროში და შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრშიც – სიახლის შეტანა ყოველთვის გარკვეულ პრობლემებს აწყდება, მით უმეტეს, თუ საკითხი „ქვეყნის მომავლის“ განათლებას ეხება. ეს ხომ არც სატრანსპორტო სამკუთხედია და არც რუსთაველის გამზირის გადაკეტვის საკვირაო ექსპერიმენტი: მათი ყოველი ნაბიჯი თუ გადაწყვეტილება აქ აბიტურიენტთა ბედ-იღბალთან პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია.*

*ბევრი მითქმა-მოთქმისა და ეჭვის, მსჯელობისა და კამათის, მტკიცებისა და არაერთგვაროვნების მიუხედავად, გადამწყვეტი სვლა მაინც გაკეთდა – მომავალმა სტუდენტებმა ახლა მთელი ყურადღება და ძალისხმევა გამოცდებზე უნდა გადაიტანონ – „შოუ უნდა გაგრძელდეს!..“*

*ჩვენ კი, დაპირებისამებრ, განვაგრძობთ რედაქციაში შემოსულ მრავალრიცხოვან შეკითხვასა და აქტუალურ თემებზე კომპეტენტურ პირთა პასუხების ძიებას. გამოცდების განრიგზე, პროცესის ანონიმურობასა და საზოგადოებისთვის სხვა მეტად საინტერესო საკითხებზე კომენტარის გაკეთება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს მაია მიმინოშვილს ვთხოვეთ.*

**– ქალბატონო მაია, როდის დაიწყება ერთიანი ეროვნული გამოცდები, ვინ შევა გამსწორებელთა კომისიაში და როგორ იქნება დაცული აბიტურიენტთა ნამუშევრების ანონიმურობა?**

– ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამოცდა 11-12 ივლისს ჩატარდება. პირველი ნაკადის რეგისტრაცია 9 საათზე დაიწყება, მეორე ნაკადისა – 2 საათზე, ხოლო გამოცდა – 3 საათზე. ზოგად უნარში – 14-15 ივლისს; უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) – 18-19 ივლისს; მათემატიკის გამოცდა 1 დღეში ჩატარდება – 21 ივლისს.



გამსწორებელთა შერჩევა მთელი წლის მანძილზე მიმდინარეობდა. სულ გამოცდებში თბილისისა და რაიონების, საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში შერჩეული 500-მდე ადამიანი მიიღებს მონაწილეობას. მხოლოდ 234 გამსწორებელი ქართული ენისა და ლიტერატურისთვისაა გათვალისწინებული.

ანონიმურობა მაქსიმალურად იქნება დაცული: რეგისტრაციიდან – ჩარიცხვამდე. ნამუშევარს შტრიხკოდი მიეკვრება და ჩარიცხვამდე არ გაიშიფრება. გამსწორებელიც, თავის მხრივ, აკრავს შტრიხ-კოდს და აწერს ხელს. შეფასება და გასწორება ორჯერ ხდება. ერთ გამსწორებელს მეორის ვინაობა არ ეცოდინება. თუ მათი შეფასება ერთმანეთს არ დაემთხვა, მაშინ ნამუშევარს უკვე მესამედ, ჯგუფის ხელმძღვანელი გაასწორებს.

**– როგორ ფიქრობთ, თუ წლევანდელმა პრაქტიკამ გაამართლა, დაემატებათ აბიტურიენტებს მომავალ წელს კიდევ ჩასაბარებელი საგნები?**

– ალბათ, დაემატებათ – საქართველოს ისტორია (საზოგადოებრივი მეცნიერებები) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ქიმია, ფიზიკა).

**– რა მოდელის მიხედვით შეიქმნა ესოდენ გახმაურებული უნარ-ჩვევების ტესტები, რა დიდაქტიკური მასალა იქნა გამოყენებული მათი შემუშავების დროს?**

– არსებობს ტესტების შედგენის საერთო პრაქტიკა. დავალებები აშშ-ს, ისრაელისა და შვედეთის გამოცდილ პროფესიონალებთან მრავალი კონსულტაციის შედეგად შედგა.

**– როგორია სპეციფიკა იმ აბიტურიენტებთან მიმართებაში, რომლებსაც არაქართული სკოლა აქვთ დამთავრებული? ისინი ტესტებს ქართულად ჩააბარებენ?**

– თუ აბიტურიენტი რუსულ სექტორზე აბარებს, მნიშვნელობა არა აქვს, ქართული სკოლა აქვს დამთავრებული, თუ არაქართული, ქართულ ენასა და ლიტერატურას ქართულად ჩააბარებს გამარტივებული ტესტებით, ხოლო დანარჩენ საგნებს – რუსულად, მხოლოდ უცხო ენად რუსულის არჩევის უფლება არ ექნება. თუ ქართულ სექტორზე აბარებს, ასევე ნებისმიერ აბიტურიენტს, თუ რუსულად უკეთ აზროვნებს, შეუძლია მოითხოვოს ზოგადი უნარების ტესტების რუსული ვარიანტი.

**– რამდენი ადგილია წელს საერთო ჯამში და რამდენი აბიტურიენტი მიიღებს ვაუჩერს?**

– წელს 32000-მდე აბიტურიენტმა გაიარა რეგისტრაცია. აქედან მხოლოდ 17300-მდე ჩაირიცხება, ხოლო ვაუჩერს 4300 ახალგაზრდა მიიღებს.

**– კონკურსი არც უმაღლეს სასწავლებლებს აცდათ. 11 მაისის გადაწყვეტილებით, საიკრედიტაციო საბჭომ აკრედიტაცია კიდევ 3 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მიანიჭა. როდის შეძლებენ დანარჩენი მსურველები ხელახალ ციკლში ჩართვას?**

– უმაღლესი სასწავლებლების ინსტიტუციური აკრედიტაცია 2005 წლის 10 თებერვალს დასრულდა. საიკრედიტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, აკრედიტაცია გაიარა 110 უმაღლესმა სასწავლებელმა. განაცხადი ვადის გადაცილებით შემოიტანა 10-მა. სამმა მათგანმა გაიარა აკრედიტაცია, მაგრამ მისაღები კონტინგენტი განესაზღვრათ 0-ით საიკრედიტაციო განაცხადის დაგვიანებით შემოტანის გამო, ანუ მათ წელს აბიტურიენტების მიღების უფლება არ ექნებათ.

დარჩენილ უმაღლეს სასწავლებლებს, კანონის თანახმად, ეძლევათ შესაძლებლობა, ორი წლის განმავლობაში გაიარონ აკრედიტაციის პროცესი. უნდა ჩამოყალიბდეს საიკრედიტაციო სამსახური, რომელიც დაადგენს ხელახალ საკრედიტაციო პერიოდს.

**მაშ ასე, ადგილების მოსაპოვებლად „ცხარე ბრძოლა“ არა მარტო აბიტურიენტებს, უმაღლეს სასწავლებლებსაც მოუწევთ და წელს, წინამორბედთა მსგავსად, ბევრი მათგანი „თამაშგარე“ მდგომარეობაში აღმოჩნდება... „რევოლუციურ“ გამოცდებამდე კი თვეზე ნაკლები დარჩა!..**

ესაუბრა
**ნინო ბერძნიშვილი.**

**◎ ოპოზიცია**

# შეიძლება ერთმა თაობამ გაყიდოს ცაც და მიწაც?

**კინოს სახლში სამოქალაქო მოძრაობა „წინ, საქართველომ“ თავისუფალი აზრის დარბაზის მორიგი შეხვედრა გამართა, რომელიც მიწის პრივატიზაციის შესახებ კანონპროექტის მიღებას მიეძღვნა.**

„წინ, საქართველომ“ ახლახან საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტს, სახელმწიფო სტრუქტურებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და მასმედიას წერილი გაუგზავნა. იქ ნათქვამია, რომ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწის პრივატიზაციის კანონის მიღება არ შეიძლება მანამ, სანამ არ გადაწყდება სახელმწიფოს ადმინისტრაციული მოწყობა; სანამ არ ჩატარდება დეგრადირებული მიწების რეაბილიტაცია, საერთოდ, მიწის ინვენტარიზაცია და კადასტრი; არ იქნება მიღებული მიწის კოდექსი; არ დამკვიდრდება მიწის „მემკვიდრეობითი ქირავნობის“ და იჯარის უფლების გაყიდვის პრინციპი, არ განისაზღვრება სარეზერვო მიწის ფონდი და სხვა და სხვა.

მოძრაობის წევრებს დაუშვებლად მიაჩნიათ იმ კანონპროექტის მიღება, რომელიც ხელისუფლების მიერ საჯარო განხილვისთვის არ გამოქვეყნებულა. საზოგადოებამ, გლეხობამ, დარგის სპეციალისტებმა კანონპროექტის შესახებ არაფერი იციან.

– ქვეყნის უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრის – მიწის საკითხი დიდი მოთათბირებით უნდა გადაწყდეს. მშიერმა, დაუძლურებულმა ქვეყანამ, ხალხმა ის მაინც დაიმსახურა, რომ მიიღოს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია ამ უმწვავეს პრობლემასთან დაკავშირებით. საქართველოს ყველა მოქალაქე კარგად დაინახავს – ვინ ტყუის, ვინ არის გულწრფელი, ვინ გამოხატავს ქვეყნის ინტერესებს და ვინ – გარე ძალებისას. დავფიქრდეთ, შესაძლებელია კი მისი გამართლება, რომ ერთმა ხელისუფლებამ, თუნდაც ერთმა თაობამ, სამუდამოდ გაყიდოს მიწაც, მიწაში და მიწის ზემოთ არსებულიც? ბოლოს და ბოლოს, საქართველო ჩვენით ხომ არ იწყება და ჩვენითვე ხომ არ მთავრდება? – განაცხადა თემურ შაშიაშვილმა.

„სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილ სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების შესახებ“ კანონპროექტი საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენით უკვე მიიღო, თუმცა ბევრ დეპუტატს, როგორც ამბობენ, საერთოდ არ წაუკითხავს ის, ხოლო ხმის მიცემისას საკუთარ საქციელზე არც კი დაფიქრებულა.

„წინ, საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი ფიქრობს, რომ კანონპროექტი პრეზიდენტს წაკითხული არ აქვს, ამის დასტურად მისი გადატვირთული სამუშაო განრიგი მოჰყავს, რომლის უდიდეს მონაკვეთს პრეზიდენტი ჰაერში ატარებს. კანონპროექტის წაკითხვას კი კაბინეტში დაჯდომა და მუშაობა უნდაო, – ამბოს იგი.

პრეზიდენტის საჯარო განცხადება – „ორ კაცსაც რომ ჰქონდეს ჩემგან განსხვავებული მოსაზრება ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით, მათაც შევხვდებიო“ – საზოგადოებას იმედს აძლევს.

– თითქმის ორი კვირაა, რაც პრეზიდენტს წერილი გავუგზავნეთ. ვფიქრობ, რომ ხალხი იმსახურებს ამ წერილზე გამოხმაურებას, – ამბობს გიორგი კობახიძე.

მოძრაობა „წინ, საქართველოს“ და საზოგადოების წარმომადგენლები პრეზიდენტს სთხოვენ ყველაფერი იღონოს მიწის პრივატიზაციის კანონის მიღების პროცესის შეჩერებისთვის, საჭიროების შემთხვევაში კი – გამოიყენოს ვეტოს უფლება.

ცხადია, ეს არ არის საკითხი, რომელიც შეიძლება ერთი ხელის მოსმით გადავწყვიტოთ, დაფიქრება მთელ საზოგადოებას მართებს, რათა მომავალი თაობის წინაშე სათქმელი გვქონდეს.

**ლელა ცქიტიშვილი.**

**◎ ინფორმაცია**

## ევროპელობა სურთ, ევროპელთა რჩევები – არა

**„აფხაზეთი თავის თავს ევროპის ნაწილად განიხილავს და ჩვენთვის მთავარია, რომ აქაური პრობლემები და სოხუმის პოზიცია ევროპის საზოგადოებისთვის ცნობილი იყოს“, – განაცხადა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერმა ნუგზარ აშუბამ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილო ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს სპეცწარმომადგენელთან სამხრეთ კავკასიაში, სერ ბრაიან ფოლთან შეხვედრისას.**

**ბრაიან ფოლი ხელმძღვანელობდა ბრიტანეთის დელეგაციას, რომელმაც სოხუმში ყოფნის დროს აფხაზ სეპარატისტებს გალის რაიონში გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნა და იქ გაეროს სამოქალაქო პოლიციის კონტინგენტის განთავსება მოთხოვა. აფხაზი სეპარატისტები პოზიციას არ იცვლიან. ნუგზარ აშუბამ ბრიტანელებს უპასუხა, რომ გალში გაეროს ასზე მეტი დამკვირვებელი მუშაობს, რაც სავსებით საკმარისია.**

## სარკინიგზო ხაზის აღდგენის საკითხს განიხილავენ

**რუსეთის, აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობისა და საქართველოს წარმომადგენლები 1 ივლისს სოჭი-თბილისის სარკინიგზო ხაზის აღდგენის საკითხს განიხილავენ, – განაცხადა სარკინიგზო ტრანსპორტის ფედერალური სააგენტოს ხელმძღვანელმა მიხეილ აკულოვმა. შეხვედრა გალის რაიონში, გაეროს სპეცწარმომადგენლის ოფისში გაიმართება.**

**„სამუშაო შეხვედრაზე შეთანხმდება სოჭი-თბილისის სარკინიგზო ხაზის შესწავლის გრაფიკი. აქვე განიხილება იმ სპეციალისტების უსაფრთხოების გარანტიებით უზრუნველყოფა, რომლებიც რკინიგზას შეისწავლიან“, – თქვა მან.**

## დეფიციტი ენერგომომარაგებაში

**ქვესადგურ „დიდ ზესტაფონში“ სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო და ის 18 ივნისამდე გაგრძელდება. სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებული ენერგოშეზღუდვა ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ 30 მეგავატი იქნება. დეფიციტი გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაზე აისახება და ის დილის პიკის საათებში შეიზღუდება.**

**რაც შეეხება დედაქალაქს, აჭარისა და კახეთის ენერგოკომპანიებს, შეზღუდვები მათ არ შეეხებათ.**

**აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები „იმერეთი“ და „ქართლი-2“ გამოირთო, რის შედეგადაც ელექტრომომარაგებაში დეფიციტი შეიქმნა.**

## საქართველოს დატოვებას აპირებს

**კონსერვატორული პარტიის ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი კახა ბერაძე არ გამორიცხავს, რომ რომელიმე ქვეყანას პოლიტიკური თავშესაფრისთვის მიმართოს.**

**როგორც მან „მედიანიუსს“ განუცხადა, ამ გადაწყვეტილებას ის, სავარაუდოდ, მაშინ მიიღებს, თუკი ქვეყნის ხელისუფლება მასზე უკვე მესამე თავდასხმას სწრაფად და ობიექტურად არ გამოიძიებს.**

**ბერაძის თქმით, თავდაპირველად, მისი ოფისი დაარბიეს ზესტაფონში. 15 ივნისს კი ავტომანქანას დაესხნენ თავს. მესამე შემთხვევა 16 ივნისს გამთენიისას მოხდა. ზესტაფონის რაიონის სოფელ წევაში, ბერაძის საცხოვრებელი სახლის ჭიშკართან მდგარი მისი ავტომობილი მოულოდნელად აფეთქდა. აფეთქებისას არავინ დაშავებულა.**

**მომხდარში ბერაძე ზესტაფონის გამგეობას ადანაშაულებს და მოტივად პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ასახელებს. კახა ბერაძის თქმით, მის წინააღმდეგ „კაბინეტის კრიმინალები“ 8 ივნისის შემდეგ გააქტიურდნენ, როცა მან ზესტაფონის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი მირიან ბერუაშვილი კორუფციაში ამხილა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები კონსერვატორებმა მაშინ სატელევიზიო დებატებშიც გამოიწვიეს, თუმცა, არავინ გამოხმაურებიათ.**

**აფეთქების ადგილზე მისულმა ექსპერტებმა ე. წ. ლიმონკის ან „დინამიტის“ არსებობა გამორიცხეს. მათ ეჭვი ასაფეთქებელ მექანიზმზე მიაქვთ, - განუცხადა „მედიანიუსს“ ბერაძემ.**

**მედია-ნიუსი.**

**◎ ჟურნალისტური გამოძიება**

# თაღლითები საქართველოს ენერგეტიკაში,



## რომელთაც ვერც ადრე ურტყამდათ მოპარული დენი და არც ახლა აკლიათ მცველები

***თხუთმეტი** წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ დაიბრუნა სახელმწიფოებრიობა. ამ დროის განმავლობაში სახეცვალებადმა პარლამენტმა და მთავრობამ, მოპატიჟებულმა ძვირადღირებულმა უცხოელმა სპეციალისტებმა თუ ჩვენმა მცირეხელფასიანმა ენერგეტიკოსებმა ვერ შეინარჩუნეს ადრინდელი ენერგეტიკის დონე.*

*სამაგიეროდ ხელისუფლების ოფიციალურ ლექსიკონში დამკვიდრდა ახალი სიტყვა – კორუფცია. ენერგეტიკაში კი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა იქცა ენერგეტიკის აღმავლობის გზად. მსგავსი რამ ე. შევარდნაძის ინიციატივით საბჭოთა საქართველოშიც მიმდინარეობდა და ამ სოციალ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ მოვლენას უწოდეს ბრძოლა ნეგატიურ მოვლენებთან. ნეგატიურ მოვლენებს ებრძოდნენ ისინი, ვინც კლანურად მფარველობდა ნამდვილ დამნაშავეებს, ხოლო მათი მთავარი მფარველი ვინც იყო, ყველამ ვიცით.*

ენერგეტიკა – სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი დარგი – დამოუკიდებლობის პირველი დღიდანვე დაადგა ნგრევის გზას. ვერც ახალი სტრუქტურების შექმნამ, ვერც დარგის რესტრუქტურიზაციამ და ვერც ენერგოობიექტების პრივატიზაციამ ნგრევის პროცესი ვერ შეაჩერეს.

ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო სტრატეგიული პოლიტიკა არც ერთხელ არ განუხილავთ მასშტაბურად არც ერთი მოწვევის პარლამენტის სხდომაზე, არც ერთი მთავრობის დროს არ დასახულა ენერგეტიკის განვითარების მრავალწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზანი.

ენერგოობიექტებზე დღემდე მიმდინარეობს კოსმეტიკური შეკეთებები, რაც, ფაქტობრივად, დარგის დროებით გადარჩენის ხასიათს ატარებს. დამკვიდრდა ტრადიცია: ყველა ახლად დანიშნული ენერგეტიკის მინისტრი ზედაპირულად აკრიტიკებს თავისი წინამორბედის ნახელავს, იძლევა დაპირებას, რომ შეძლებს, დარგი გამოიყვანოს კრიზისიდან და ზამთარი „გაანათოს“.

დღემდე ასეთი დაპირებები ყოველ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში საპნის ბუშტივით სკდება.

სამართლიანი იქნება, ხაზგასმით ვთქვათ, რომ ყოველ წელს ყურადღება მაქსიმალურად იყო მიმართული დედაქალაქისკენ: თბილისი უნდა განათებულიყო.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საზღვარგარეთის კრედიტების მეშვეობით ენერგეტიკის დარგის დასახმარებლად გამოყოფილი თანხები იხარჯებოდა და კიდევაც იხარჯება, მაგრამ შედეგი არასახარბიელოა.

**დასკვნა:** ენერგეტიკის მაღალჩინოსანთა რიგებიდან მართლმსაჯულებას გადაეცა მხოლოდ ერთი პირი – ყოფილი ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა. მას მიუსაჯეს 10 წელი. მიმდინარეობს სასამართლო წესით განაჩენის გასაჩივრების პროცესი. კორუფცია ენერგეტიკაში და მის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეწყვეტილა, უნდა გვჯეროდეს, ისევ გრძელდება.

ძირითადად ზემოთ ნათქვამი ეხება ე. შევარდნაძისდროინდელ დამოუკიდებელი საქართველოს ენერგეტიკას. მაგრამ იგივე ხდება დღეს.

### იაპონური კრედიტის ისტორია

**მსოფლიო ბანკი საქართველოს ეხმარება და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. განვიხილოთ ერთი კონკრეტული მაგალითი. აღნიშნული ბანკის დახმარება საქართველოსადმი რომ არ ყოფილიყო, საკითხავია, საქართველოს ენერგეტიკას გამოუყოფდა თუ არა იაპონიის საერთაშორისო დახმარების ფონდი 45 მლნ დოლარიან კრედიტს?.. გვჯერა, რომ არა.**

იაპონიის მხარემ გადაწყვიტა, გამოეყო კრედიტი, რომელიც დაიხარჯებოდა „ლაჯანურჰესსა“ და „ხრამ-2“ ჰესზე, „თბილსრესსა“ და „საქენერგოში“ გარკვეული სამუშაოების ჩასატარებლად.




საბოლოოდ კი ეს კრედიტი ქართულმა მხარემ მოახმარა მხოლოდ ლაჯანურ და ხრამ-2 ჰესებს. გვინდა გვჯეროდეს, რომ კრედიტის მიმღები ამ შემთხვევაში მიზნად ისახავდა იმას, რომ უფრო შედეგიანად გამოეყენებინა უცხოეთის დახმარება და ჩაეტარებინა ფართომასშტაბიანი რეაბილიტაცია აღნიშნულ ორ ჰიდროელექტროსადგურზე. საბოლოო მიზანი კი ის იქნებოდა, რომ ენერგოსისტემას ამ სადგურებიდან სტაბილურად და 100 პროცენტით მიეღო დადგმული სიმძლავრის ელექტროენერგია.

რა შედეგი მოჰყვა ყოველივე ამას? **2005 წლისთვის „ლაჯანურჰესს“ რეაბილიტაციის შედეგად შერჩა დაშლილი და დღესდღეობით უმოქმედო ორი ენერგოაგრეგატი, ერთის დროებით ამუშავება კი სადგურის ადმინისტრაციამ საკუთარი სახსრებით შეძლო. „ხრამი-2“-ის ერთი აგრეგატი გამოსულია მწყობრიდან, მეორე კი სადგურის ადმინისტრაციის ძალისხმევით დროებით მუშაობს.**

განვაგრძოთ იაპონური კრედიტის ისტორია.

საქართველოს მხარემ 2000-2002 წლებში 39 მლნ დოლარი მიიღო და დახარჯა ევროპა-იაპონია-საქართველოს სუბკონტრაქტორების მეშვეობით. მათგან ზოგი ექსპერტ-კონსულტანტი იყო, ზოგი კი – უშუალოდ სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელი.

შედეგი?

**სამწუხაროდ, რეაბილიტაცია არ შედგა, ფული კი დაიხარჯა და კვლავ მოსახლეობას დაედო ვალად.**

**დასკვნა:** იაპონიის საერთაშორისო დახმარების ფონდის კრედიტის დასაფარად მოსახლეობას ან მოემატება კომუნალური გადასახადები, ან გაძვირდება საწვავი, ან ყველაფერი ერთად. კრედიტი კი დასაფარია.

**და კვლავ დასკვნა:** ეს არ მოხდებოდა, უცხოური კრედიტების ათვისების პროცესები საქართველოში სახელმწიფოებრივად რომ წარმართულიყო და კონტროლირებადი ყოფილიყო. სხვანაირად რითი ავხსნით იმას, რომ იაპონიის კრედიტით გამოყოფილი თანხა თითქმის მთლიანად დაიხარჯა, საჭირო სამუშაოები კი არ შესრულებულა? აღსანიშნავია, რომ ეს ყველაფერი მოხდა მაშინ, როცა ქვეყანას ჰქონდა სათანადო საკანონმდებლო ბაზა.

მაგრამ, სამწუხაროდ, სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელები, როგორც წესი, თავიანთ მოვალეობებს სათანადოდ არ ასრულებდნენ და, ჩვენდა გასაკვირად, ამის გამო არც ისჯებოდნენ.

**დავაკონკრეტოთ ფაქტები:**

1998 წლის 19 იანვარს გაფორმდა საკრედიტო კონტრაქტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და იაპონიის საერთაშორისო დახმარების ფონდს შორის. საქართველოს მხრიდან კონტრაქტს ხელს აწერდა მ. ჭკუასელი – 27 წლის ფინანსთა მინისტრი, „მოქალაქეთა კავშირის“ წევრი, რომელიც თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, როგორც დიდი პრაქტიკის მქონე ფინანსისტი, შეუდგა სამეცნიერო ნაშრომების წერას. დღესდღეობით სად იმყოფება ყოფილი მინისტრი, ჩვენთვის უცნობია. ერთი რამ უნდა ითქვას – სახელმწიფო ფინანსებს, შედეგების მიხედვით, ხელმძღვანელობდა აშკარად გამოუცდელი და უცოდინარი ადამიანი. მისი კანდიდატურა პარლამენტში წარადგინა ე. შევარდნაძემ და დაამტკიცა 1995 წლის მოწვევის პარლამენტმა.

კონტრაქტი, ვიმეორებთ, დოლართან იაპონური იენის იმდროინდელი კურსის მიხედვით, ითვალისწინებდა საქართველოს ელექტროენერგეტიკისთვის 45 მილიონი დოლარის გამოყოფას, წლიური 3,5-პროცენტიანი ძირითადი და სარისკო 0,5-პროცენტიანი განაკვეთით. ძირითადი თანხის გადახდის ვადა დაიწყებოდა მე-9 წელიწადიდან, კრედიტის საბოლოო დაფარვის თარიღი კი 2024 წლის 19 იანვარი იქნებოდა. ამ დროისთვის საქართველოს მხარეს მთლიანობაში იაპონიის ფონდისთვის უნდა გადაეხადა 90 მილიონი დოლარი იმ კურსის გათვალისწინებით, რომელიც იაპონურ იენსა და ამერიკულ დოლარს შორის კონტრაქტის ხელმოწერის დროს დაფიქსირდა.

იხ. მე-5 გვ.

**◎ სიტუაცია**

# გარემოვაჭრეთა აქცია

**გუშინ საქართველოს პარლამენტის შენობასთან კვლავ განახლდა გარემოვაჭრეთა აქცია. თბილისის „ბავშვთა სამყაროს“ მიმდებარე ტერიტორიაზე მოვაჭრენი გარევაჭრობის აკრძალვას აპროტესტებენ და პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრას ითხოვენ.**

გარემოვაჭრეები „ბავშვთა სამყაროსთან“ სავაჭროდ ნებადართულ ობიექტზე ადგილობრივი მოსაკრებლის სიძვირესაც აპროტესტებენ. მათი თქმით, ყოველ 80 სმ-ზე მოვაჭრემ თვეში 100 ლარი უნდა გადაიხადოს, რისი საშუალებაც მათ არ აქვთ. თანაც, მათთვის გამოყოფილი სავაჭრო ტერიტორია კეთილმოუწყობელი და მყიდველისთვის მოუხერხებელია. მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, აქციის მონაწილენი რუსთაველის გამზირის ანდა რკინიგზის გადაკეტვით იმუქრებიან.



მოგვიანებით საპროტესტო აქციამ პარლამენტის შენობის ცენტრალურ შესასვლელთან გადაინაცვლა.

ცნობისთვის: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონში პარლამენტის მიერ ახლახან შეტანილი ცვლილებების თანახმად, გარევაჭრობა 50 ლარამდე თანხით ჯარიმდება. მისი გამეორების ან სამართალდამცავთათვის წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში გარემოვაჭრეს შვიდდღიანი პატიმრობა ემუქრება.

**მედია-ნიუსი.**

**◎ ახალი ტექნოლოგიები**

# სანამ ვეძებოთ თურაშაულის პატრონებმა ტყეში მაჟალო?!

**ხშირად სადღაც შორს ვეძებთ სიმდიდრეს, არადა, იგი თურმე ჩვენს გვერდით არის და ვერ დაგვინახავს. ის ინოვაციები, რაც საქართველოში არსებობს, მათი ხორცშესხმა და ნაწარმის სერიული გამოშვება დიდ სიკეთეს მოუტანდა ქვეყანას.**

**შემოქმედებითმა ჯგუფმა, რომელსაც სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი რამაზ გახოკიძე ხელმძღვანელობს, დაამუშავა მთელი რიგი ახალი ბიოტექნოლოგიური მეთოდები, რომლებსაც მსოფლიოში ანალოგები არ გააჩნია.**

შექმნილია, მაგალითად, ახალი ტიპის, ბუნებრივი წარმოშობის არატოქსიკური ბიორეგულატორები, რომელთა ფართოდ დანერგვა ეკოლოგიურ ეფექტსაც იძლევა და ეკონომიკურსაც. უპირველესად, ამით მოსავალი 2–3-ჯერ იზრდება და ეკოლოგიურად სუფთა და მიკროელემენტებით გაჯერებული პროდუქტი უნიკალური საგემოვნო თვისებების წყალობით შიდა და საგარეო ბაზარზე მაღალკონკურენტიანი ხდება. ასეთი პრეპარატით დამუშავების შედეგად სიმინდის მარცვალში იზრდება ორგანიზმისათვის აუცილებელი, შეუცვლელი ნივთიერება ლიზინი – 80 პროცენტით, უმნიშვნელოვანესი მიკროელემენტი იოდი – 960 პროცენტით, სელენი – 200 პროცენტით. ასეთი პროდუქტის მოხმარება საუკეთესო საშუალებაა იოდდეფიციტის შესავსებად და გულსისხლძარღვთა და სხვა დაავადებათა პროფილაქტიკისთვის.

ამ ჯგუფმა შექმნა აგრეთვე ახალი პრეპარატები, რომელთა საშუალებით ძნელად დასაფესვიანებელი კულტურებიც კი (ვერცხლისფერი ნაძვი, კივი, და სხვ.) 97–100 პროცენტით ფესვიანდება. ახალი ბიორეგულატორების გამოყენებით მკვეთრად იზრდება ყინვაგამძლეობა და რამდენიმე წლით ჩქარდება ნაყოფმსხმოიარობა, ამ მეთოდით შესაძლებელია უძველესი ქართული აბორიგენული ვაზის ჯიშების აღდგენაც.

ლიმონის მცენარის ინფექციურმა დაავადებამ – მალსეკომ თითქმის მთლიანად გაანადგურა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო „ახალქართული“ ჯიშის მაღალხარისხოვანი ლიმონის პლანტაციები. ახალი პრეპარატების გამოყენებით შესაძლებელია ამ საშიში დაავადების თავიდან აცილება და ლიმონის ყინვაგამძლეობის მნიშვნელოვანი გაზრდა, რაც ამ უნიკალური ლიმონის ჯიშის პლანტაციების აღდგენის საშუალებას მოგვცემს.

შემუშავებულია მეთოდი, რომლის საშუალებით შესაძლებელია მეაბრეშუმეობის – ჩვენი ეროვნული სიმდიდრის აღორძინება. უკანასკნელ პერიოდში მეაბრეშუმეობის განვითარებაზე განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა მოახდინა თუთის ხის ინფექციურმა დაავადებამ – „ფოთლის სიხუჭუჭემ“, რის შედეგადაც ჩვენში აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზის 80 პროცენტზე მეტი განადგურდა. ამ დაავადების თავიდან აცილების რადიკალური ღონისძიება მსოფლიოში ჯერჯერობით არ არსებობს. ახალი მეთოდით კი შესაძლებელია აღნიშნული დაავადების მთლიანად აცილება და მაღალხარისხოვანი ბუნებრივი აბრეშუმის წარმოება.

ცნობილია, რომ მსოფლიოში ფართოდ გამოყენებადი ხელოვნური სარეცხი საშუალებები („არიელი“, „ტაიდი“ და სხვა) ადამიანის ჯანმრთელობაზე ძალზე ცუდად მოქმედებს და ათასგვარ დაავადებას იწვევს. პროფესორ რამაზ გახოკიძის ჯგუფმა ჩეხ მეცნიერებთან ერთად შექმნა სრულიად ახალი ტიპის ეკოლოგიურად სუფთა სარეცხი საშუალება „პერსანი“, რომლის მასობრივად დამზადება დიდ ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემდა.

ასევე აპრობირებულია მათ მიერ დამუშავებული სამედიცინო დანიშნულების პრეპარატები: „ვიტარაგი“, რომლის გამოყენება წარმატებით შეიძლება სოკოვანი დაავადებების, წითელი ქარის, პარადონტოზის, განგრენის, ვარიკოზის სამკურნალოდ. წამლის – „რამერის“ გამოყენება კი შეიძლება სტრესის, საერთო სისუსტის, გულსისხლძარღვთა დაავადებებისა და ჩ – ჰეპატიტის სამკურნალოდ.

როდის დაინერგება ეს სიახლეები წარმოებაში? სანამდე უნდა ვეძებდეთ თურაშაულის პატრონი ტყეში მაჟალოს? როდის მიეცემა შინაურ მღვდელს შენდობა?!

**ლალი ქინქლაძე.**

# წიგნიც კომერციისა და ბიზნესის საგანია, ოღონდ ამაზე ავტორმა არ უნდა იფიქროს

## ესაუბრება ირაკლი ჯავახაძე

*დაიბადა 1968 წელს, თბილისში. 1990 წელს დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. მას შემდეგ მუშაობს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.*

*ავტორია მოთხრობების კრებულისა — „კავალერები“.*

1. რას ფიქრობთ XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ტენდენციებზე?
2. გამართლებულია წიგნის გადაქცევა კომერციისა და ბიზნესის საგნად? როგორ წიგნს ეყოლება მკითხველი მომავალში?
3. რა მიგაჩნიათ არსებით პრობლემად საქართველოსთვის?
4. როგორ აფასებთ ტრადიციულ კლასიკურ მწერლობას? რა შეგძინათ თქვენ, როგორც მწერალს? რომელია თქვენი სამაგიდო წიგნი?
5. რას იტყოდით ქართული ენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაზე?
6. რაზე მუშაობთ ამჟამად?



● ეს საუკუნე ახლა დაიწყო და ახალ ლიტერატურულ ტენდენციებზე ლაპარაკი ნაადრევია. ქართული მწერლობა არასოდეს უდებდა ტოლს მსოფლიო მწერლობას და, იმედია, არც XXI საუკუნე იქნება გამონაკლისი.

● ყველანაირ წიგნს ყველა ეპოქაში ჰყავდა მკითხველი და, იმედია, მომავალშიც ასე იქნება. ალბათ წიგნიც კომერციისა და ბიზნესის საგანია, ოღონდ ამაზე ავტორი ნაკლებად თუ იფიქრებს, უკეთეს ტექსტს დაწერს. კომერციაზე გამომცემელმა და გამავრცელებელმა უნდა იფიქროს.

● მოაზროვნე, ანუ ნორმალური ადამიანების ნაკლებობა.

● უხერხულია, ამ კითხვაზე გიპასუხოთ. რასაც ტრადიციული კლასიკური მწერლობა ჰქვია, არა მგონია, ჩემი გასარჩევი იყოს. დავიღალე მტკიცებით, რომ თავს მწერალს არ ვუწოდებ, ამიტომ ასე გეტყვით: კლასიკურმა მწერლობამ, როგორც მკითხველს, უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. სამაგიდო წიგნი კი იმდენია, ნახევარსაც ვერ გავიხსენებ.

● ეს მწერლების საქმეა და მეტი — არაფერი.

● რაზე მუშაობთ ამჟამად? — ჰკითხეს ბროდსკის, — საკუთარ თავზეო, — უპასუხა მან, — მე რაზე ვმუშაობ, არა მგონია ფართო საზოგადოებისთვის იყოს საინტერესო, თუმცა დავძენ, რომ მეგობრების ერთი ჯგუფი ლიტერატურულ გაზეთ „პარნასს“ გამოვცემთ. ესაა და ეს.

**ჩაიწერა თამარ შაიშმელაშვილმა.**

---

## ირაკლი ჯავახაძე

# ობლიგაცია

პანაშვიდებზე დგომა მამამ აუკრძალა. მამის არგუმენტი ურყევი იყო: „რა უნდა ათი წლის ბავშვს ბაბუამისის პანაშვიდზე?! გასვენებამდე თხუთმეტი წუთით ადრე დადგეს ჩემ გვერდით და ყველაფერი დაამახსოვრდება.“

მამას არავინ შეკამათებია. მამიდებმა უხმოდ გადააქნიეს თავები, დედამ თავისებურად ჩაიბუტბუტა, უფროსმა ძმამ კი გამარჯვებული იერით შეხედა და მეასედ უთხრა:

— გასაგებია?!

პირველი პანაშვიდის დღეს დეიდამისმა წაიყვანა თავისთან. მშობლების მოთხოვნით იქ უნდა გაეთია ღამე. მისაღებ ოთახში ბებია იჯდა მაგიდასთან და მაწონს თქვლეფდა. ნიკაპი თეთრი სითხით მოეთხვარა, შავი პურის ნატეხს სრესდა თითებით და პირს აწკლაპუნებდა. დაინახა თუ არა, აჩლიფინდა:

— რაო ბაბუაშენმა სიკვდილის წინ? არაფერი დამიბარა? ესენი არ მეუბნებიან და შენ მაინც მითხარი. შენ დაგიბარებდა რამეს. ესენი არ უყვარდა. ისე, არც შენ ყვარებიხარ. არავინ ყვარებია. სულელმა დედაშენმა როგორ იცხოვრა იმ სახლში ოცი წელიწადი?! სამჯერ ვნახე ბაბუაშენი სულ და ათასჯერ დამესიზმრა. ეშმაკისეული იყო და წაიყვანა კიდეც ეშმაკმა. რა, არ მოგწონს, რასაც ვლაპარაკობ? ჯერჯერობით მე მეკუთვნის ეს სახლი..

— კარგი, დედა, რა ესმის ამას?! — თქვა დეიდამ.

— ესმის, ესმის. თუ არა და, დროზე უნდა გაიგოს. ნახე, როგორ მიბღვერს?! ბაბუამისის ასლია ესეც. დედამისს და მამამისს აქ არ მოესვლებათ და რას გამომეცხადა, ნეტავ?!

დეიდამ ხელი ჩაავლო მკლავში და სასწრაფოდ სახლში მიაბრუნა. პანაშვიდი ახალი დაწყებული იყო. მამამ ერთხელ შეავლო ამღვრეული თვალები:

— ჯიუტობს სიდედრი? შევიდეს ეს ჩემს ოთახში და ზეგამდე არ დამენახოს.

ძმა ამაყად შეჰყურებდა, მამიდებს თავები ჩაეხარათ, დედა დეიდას ეჩურჩულებოდა.

მამის ოთახს უზარმაზარი ყრუ კარი ჰქონდა. იმ კარშიც ატანდა მომსვლელწამსვლელთა ხმამაღალი საუბარი. ისმოდა: „ხორცი, ხორცი.“ მამა ვიღაცას აშვიდებდა, ის ვიღაც კი გაუთავებლად იმეორებდა: „ხორცი, ხორცი.“ ბოლოს მამამაც თქვა: „ხორცი მთავარია, რომ იცოდეთ.“ ის ვიღაც დაშოშმინდა. მერე ნელნელა იკლო ხმებმა. ბოლოს სიჩუმემ დაისადგურა. ოთახში ძმამ შემოყო თავი:

— მამა გიხმობს.

კუბოსთან კაცები იდგნენ. მამამ საჩვენებელი თითი დაუქნია, მოდიო. ზურგსუკან ამოუდგა, ხელისგულები მხრებზე დააწყო და კუბოს თავთან დააყენა:

— იდექი ცოტა ხანს. დაგამახსოვრდება.

სამზარეულოდან ქალების ფუსფუსის ხმა გამოდიოდა. მერე შემწვარი ხორცის სუნი დატრიალდა. კაცები გამოცოცხლდნენ. ერთმა ხელები მოიფშვნიტა, მეორემ დაამთქნარა. მამიდებმა და დედამ სამზარეულო კაცებს დაუთმეს. ქალები ლოჯიაში ჩამოსხდნენ და პაპიროსები ჩამოირიგეს.



— რამდენ ხანს იდგები? — მიუახლოვდა ძმა.

მხრები აიჩეჩა. ძმას ეტყობოდა, ლაპარაკის წამოწყების სურვილი რომ კლავდა, მაგრამ თავმოყვარეობა არ აძლევდა უფლებას, პირველს თავად ეთქვა რაიმე. ხან ერთი მხრიდან უტრიალა, ხან — მეორედან, მოთმინების ფიალა აევსო და თავმოყვარეობა დროებით დაივიწყა:

— ჩემი კლასი იყო პანაშვიდზე, — აქეთიქით გააცეცა თვალები და მრავალმნიშვნელოვნად დაამატა, — ისიც მოვიდა.

რომ შეატყო, მისმა განცხადებამ სასურველი ეფექტი ვერ მოახდინა, თავი დახარა, ტუჩები ყურთან მიუტანა, ხმაურით გადაყლაპა ნერწყვი და წასჩურჩულა:

— დამრიგებელი. აი, სურათი რომ გაჩვენე.

და რაკი არც ამ სიტყვებმა იმოქმედა, ლამის შეჰყვირა:

— ბოზი როა.

ჯერ კუბოში მოთავსებულ ბაბუას დახედა, მერე ძმას გაუსწორა მზერა. დიდი კითხვის ნიშნები ედგა თვალებში. ძმა აიმრიზა:

— რა?! მაგას არაფერი ესმის ეხლა.

შებრუნდა. აღარ უნდოდა ძმის გაოფლილი საულვაშის დანახვა. შებრუნდა და ოთახის ზღურბლზე მოხუცი დაინახა. მოხუცს მშვიდი გამოხედვა ჰქონდა — თითქოს თვალებით იღიმისო.

ქალები წამოიშალნენ. ჯერ მამიდები გადაეხვივნენ მოხუცს, მერე დედამ აკოცა. მამაც გამოვიდა სამზარეულოდან — ქაღალდით იწმენდდა ხელებს.

— აი, ამას ჩემთან ინახავდა ოცდაათი წელიწადი, — მოხუცმა ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ფერადი ქაღალდები ამოიღო და მამას გაუწოდა.

— რაა ეს? — მიაჩერდა მამა.

— ობლიგაციები. სჯეროდა, რომ ოდესმე გაუნაღდებდნენ.

მამამ ქაღალდები გამოართვა მოხუცს და როიალის თავსახურზე დააწყო. მამიდებმა და დედამ თვალები გააყოლეს ქაღალდებს.

— სახლში დამცინებენო და ამიტომაც მომაბარა მე. მენდობოდა ცხონებული, — ამოიოხრა მოხუცმა.



— სულ გასულელებულა მამაჩემი, — ჩაიცინასავით მამამ.

ყველამ გაიღიმა. მოხუცმაც გაიღიმა და ითხოვა:

— წყალი დამალევინეთ.

მამა მკლავში ჩააფრინდა სტუმარს:

— ვახშამი გვაქვს. სადილობაში გადაგვეზარდა. მოკლედ, წყალს როგორ გკადრებთ, — და სამზარეულოსკენ წააჩანჩალა.

ქალები ლოჯიას დაუბრუნდნენ. ობლიგაციები როიალის თავსახურზე დარჩა.

ძველი, გაკრეცილი ქაღალდები უხმობდნენ. უხმობდნენ ჩუმად და ჯიუტად. და როგორც კი ლოჯია დაცარიელდა, როიალს მიუახლოვდა, ერთი ქაღალდი გამოაძრო შეკვრას და შარვლის ჯიბეში ჩაიჩურთა. ცოტა ხანში კორიდორი სამზარეულოდან გამოსული ადამიანებით გაივსო. მამა, მამიდები და დედა მოხუცს აცილებდნენ.

— სჯეროდა, რომ გაუნაღდებდნენ, — აქეთ-იქით ირწეოდა მოხუცი, წასასვლელად ემზადებოდა, — მომაწოდე ქუდი.

— როგორი ღვინო მაქვს? — თავმომწონედ იკითხა მამამ.

— დიდებული, ჩემო ბატონო, დიდებული. იცი, რას გეტყვი?! სიკვდილის შიშმა შეიძლება თვითმკვლელობამდე მიგიყვანოს კაცი.

— სიკვდილზე ფიქრმაც?

— ეგ ერთი და იგივეა. გამუდმებით არაფერზე არ უნდა იფიქრო. ეს უკვე ფობიაა.

მამა უცნაურ სტუმარს დაემშვიდობა და შუა ოთახში შეაბიჯა:

— აბა, დაგამახსოვრდა? დაიძინე ახლა, გვიანია.

მეორე პანაშვიდის დღეს ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მამის ბრძანებას: „დაეტიე შენ ჩემ ოთახში,“ ძმის მოულოდნელი განცხადება მოჰყვა: „მეც იქ შევალ. მომბეზრდა დგომა, დავიღალე.“ მამამ თვალები დააბრიალა:

— სულ წადი, შვილო. მამიჩემის მამასთან წადი.

— ჩემი კლასი უკვე იყო და... — წამოიკნავლა ძმამ.

მამა წამით ჩაფიქრდა:

— რომელ კლასში ხარ ახლა შენ?

— მეცხრეში.

— უნდა მოვიდე ერთი სკოლაში, დამრიგებელს დაველაპარაკო.

ძმამ დიდი წვალების შემდეგ გადაყლაპა ნერწყვი.



— კაცი ხარ უკვე, გვერდით უნდა დამიდგე, — შეუბღვირა მამამ, — ხვალ შენი ძმაც დადგება.

მომსვლელ-წამსვლელთა ხმები უზარმაზარ ყრუ კარშიც ატანდა. ვიღაცამ მამას ახარა: „გადავრჩით, ხორცი ვიშოვე.“ მამამ გაიოცა: „სადა, კაცო?“ იმ ვიღაცამ ამაყად თქვა: „შენი გულისათვის მიწიდან ამოვთხრი, მიწიდან.“ მამამ დაამშვიდა: „ნუ შეწუხდები ასე. გადი სამზარეულოში და მოისვენე.“

მერე მომსვლელთა რიცხვმა იკლო. მამა სამზარეულოში შეკრებილებს შეუერთდა. ისინი გამოცოცხლდნენ. ხმაურმა იმატა. ვიღაც ამბობდა: „ხორცი ვიშოვეთ, ხორცი.“ ბოლოს მამამ თქვა: „ხორცი მართლა მთავარი ყოფილა, რომ იცოდეთ. დავიძინოთ ახლა, ხვალ საქმეა მილიონი.“

გასვენებამდე თხუთმეტი წუთით ადრე მამამ გვერდით დაიყენა. მომსვლელები მამას კოცნიდნენ. რამდენიმემ ძმასაც აკოცა. მერე კუბოს გარშემო უვლიდნენ და მამიდებს და დედას ეხვეოდნენ. ქალებს ყვავილები მოჰქონდათ და ბაბუის მკერდზე აწყობდნენ. ბაბუა აღარ ჩანდა — სხვადასხვა ფერის ყვავილების გორა ფარავდა. მამამ დედას ანიშნა: „მოაშორე ეს ყვავილები.“ დედამ წაისისინა: „იყოს, ლამაზია.“ მამა წამოწითლდა: „გაგალამაზებ მე შენ.“ დედამ ყვავილები ვაზებში ჩაალაგა. მერე ვიღაც კაცმა თქვა: „აბა, ქალებმა დაგვტოვონ.“ ქალები ნელ-ნელა წამოიშალნენ. მამიდებმა შუბლზე აკოცეს ბაბუას, დედას არ უკოცნია.

— სასაფლაოზე უნდა ეკოცნათ, — თქვა ვიღაცამ.

— იქაც აკოცებენ, შე კაცო, — დაღლილი მზერა კუბოს შეავლო მამამ, — დაშავდა რამე?

ოთახი ქალებისგან დაიცალა. ვიღაცვიღაცებმა ყვავილები გაიტანეს. გატანისას ძირს ეყრებოდათ. მთელი იატაკი ყვავილებით დაიფარა.

— აქ მიტოვებთ ყვავილებს? — გაოცდა მამა.

— ბევრია. სასაფლაოს სამყოფი გატანილია უკვე, — უპასუხა ვიღაცამ.

მამამ ხელი ჩაიქნია, არაფერი უთქვამს.

— აბა! — თქვა ისევ იმ ვიღაცამ და კუბოსთან ექვსი კაცი მივიდა.

წვალებ-წვალებით აწიეს და სამჯერ მიაჯახუნეს მთავარ კარს. მამას ჩაეღიმა:

— ესე იგი, რა?! მე ამ სახლიდან არსად გადამსვლელი არ ვარ და დღეიდან უკვდავი გავხდი?!

— რატომ ამბობ მაგას? — დაინტერესდა მეზობლის კაცი.

— სამჯერ მიარტყეს, მეტი კუბო არ გავიდეს ამ ოჯახიდანო.

— არც მასეა საქმე, — თავი გააქნია მეზობლის კაცმა, — აგერ, ჩემი ბიძაშვილი ომში დაგვეკარგა. არც გაგვისვენებია და არც საფლავი გვაქვს. დალპა სადღაც.

— რას მეუბნები, ადამიანო? — შეიშმუშნა მამა, — ეს მეკუთვნის მე შენგან?!

— კი, ასე იყო. დღემდე ვეძებთ. გადმოსვენების კომისიაც შევაწუხეთ, მაგრამ ჯერ ხომ უნდა ნახონ.

— აწი რაღას ნახავენ?

— ვერაფერს. არც ჩვენ გვაქვს დიდი იმედი.

— ისე, ომში და უბედურებაში რა მინდა მე? — თავის თავს ჩაეკითხა მამა.

— შენ რა შუაში ხარ, კაცო. ჯვარი გწერია, — ზურგზე ხელი დაარტყა მეზობელმა.

კუბო კიბეზე ჩაჰქონდათ. მამამ ოთახს მოავლო თვალი. როიალის თავსახურზე ობლიგაციების შეკვრა იდო.

— ამას რა ვუყო, ჩავატანო?

— მართლა რომ გაანაღდონ? — გაეცინა ვიღაცას.

— რა უნდა გაანაღდონ, თუ კაცი ხარ. წამოიღე, რამე ხომ უნდა ჩავატანოთ.

საფლავზე მამის გვერდით იდგა. დაინახა, როგორ ასწია დედამ სუდარა და როგორ ჩაუდო ბაბუას პიჯაკის ჯიბეში ობლიგაციების შეკვრა.

— აბა, ქალებო, დაგვტოვეთ, — გამოაცხადა ვიღაცამ.

ქალებმა ცრემლები გადმოყარეს. მამიდები კუბოსთან დაიხარნენ და კიდევ ერთხელ აკოცეს ბაბუას. მამა დედას მიაჩერდა. დედაც გადაეფარა ბაბუას სხეულს და შუბლი დაუსველა ცრემლით. მამამ კმაყოფილებით დააქნია თავი. ქალები სასაფლაოს გასასვლელისკენ დაიძრნენ. მესაფლავეებმა კუბოს თავსახურის დაჭედება დაიწყეს. აუჩქარებლად, დიდი მონდომებით აჭედებდნენ. უცნაურად ყრუ ხმა ისმოდა — თითქოს საუკუნეების მანძილზე დაგუბებულ სიცარიელეს შხუილით აპობდნენ ლურსმნები. საფლავებს შორის დინჯად მიმავალ ქალებს არც ამ ხმაზე მოუხედავთ. ორი კაცი გათხრილ საფლავში ჩახტა, ოთხმა კუბოს ჩაშვება დაიწყო.

— სურათი დაგვრჩა, — შეწუხდა მამა.

— გავიქცე, მოვიტანო? — იკითხა ვიღაცამ.

— სად უნდა გაიქცე? იყავი ჩუმად, — შუბლი შეკრა მამამ, — მაინც სახლში უნდა წაგვეღო, — და გაღიმებულმა დაამატა, — რომ მოგვეტანა, აქ დაგვრჩებოდა.

სანამ კუბო ბოლომდე ჩაეშვებოდა, ის ორი კაცი საფლავიდან ამოხტა და ნიჩბები მოიმარჯვა.

— მიდი, მუჭით მიაყარე მიწა, — უთხრა მამამ, მხარზე მოჰხვია მკლავი და საფლავისკენ მისწია.

მიწა მშრალი იყო, ფხვიერი. სამი მუჭა მიაყარა კუბოს და ხელისგულზე გრამი არ შერჩენია. ნიჩბიანი კაცები გამალებით ირჯებოდნენ. სულ ცოტაც და კუბოს თავსახური სრულიად დაიფარა. მეზობლის კაცმა ღვინო და სანოვაგით სავსე კალათა მოიტანა საიდანღაც და მესაფლავეებს დაუტოვა.

— დავიმახსოვრე, — თავი ასწია და უთხრა მამას.

— ჯერ არ დამთავრებულა, — კისერზე ხელი მოუთათუნა მამამ, — ახლა დარბაზში წავალთ.

დარბაზი ცუდად იყო განათებული და ადამიანების სახეების გარჩევა ჭირდა. იატაკი ცივი იყო, საჭმელი — უგემური. ძმამ მალე მიატოვა მაგიდა და ქუჩაში გავიდა. ძმას გაყვა. ქუჩაში მამა და ის მოხუცი იდგნენ, ობლიგაციები რომ მოიტანა.

— აი, ვთქვათ, უმწეო ცხოველები გეცოდება, — უთხრა მამამ მოხუცს და დარბაზიდან გამოყოლებული ბოლოკი მოკბიჩა, — ამიტომაც გყავს ერთი ძაღლი, მერე — მეორე, მესამე. თუ გინდა, კატა იყოს. მთელი სამყაროს ცხოველებს ხომ ვერ მოეფერები?! ანუ, მაინც რჩება მილიონობით უმწეო ცხოველი. ადამიანმაც თვითონ უნდა მიხედოს თავს. რომ მოკვდები, ვის ახსოვხარ?! რით აიხსნება, რომ ეგოისტები დიდხანს ცოცხლობენ?

— სიკვდილს ახსნა არ აქვს. ან რა ახსნა უნდა ჰქონდეს? ახსნა აქვს წვიმას, თოვლს. მეხუთე კლასში ასწავლიან წვიმის და თოვლის მიზეზებს. ადამიანს ყველაფერი აინტერესებს, ყველაფრის ახსნას ეძებს. რას მიძვრები ამ სიკვდილთან? თვითონ მოვა, როცა მოინდომებს. ადამიანი ვერ ისვენებს. სიკვდილს ღმერთს უკავშირებს. ევედრება, ჯერ არაო. რას მიილტვი ღმერთისკენ, ადამიანებთან იყავი და ღმერთი თავად მოვა შენთან. ჭამს იქ ხალხი, სვამს. რა, მერე?! ას მეტრში მამაშენი წევს. მოკლეზე თუ გადახვალ, ოცდაათ მეტრზე მეტი არ იქნება.

— ესე იგი, ადამიანებთან ვიყო?

— კი, თუ იპოვე ადამიანი, — გაიღიმა მოხუცმა, — კარგად მენახე, — ხელი ჩამოართვა მამას და ქუჩას დაუყვა.

მამამ ახლაღა შეამჩნია, მიუახლოვდა და ბოლოკის დარჩენილი ნაწილი მთლიანად ჩაიდო პირში:

— აბა, ყველაფერი დაიმახსოვრე?

ბიჭმა თავი დაუქნია.

— სანამ გაიზრდები, დაგავიწყდება.

ბიჭმა შარვლის ჯიბეში ობლიგაციას მაგრად მოუჭირა ხელი.

---

⊙ **ნოსტეს ნოსტალგია**

# ასე იწყებოდა სააკაძეობა



**დიდ მოურავს თავის მშობლიურ მხარეში, კერძოდ, ქ. კასპში რომ ხელთუქმნელი ძეგლი დავუდგით კასპელებმა, ჩვენივე ნაოფლარი თანხებით, რაიონის ბიუჯეტით (მოქანდაკე დიდოსტატი შევურჩიეთ, მერაბ ბერძენიშვილი, არქიტექტორიც ჩინებული — გიორგი ჯაფარიძე, დაიდგა 1971 წელს), მომდევნო საუკვდავო ღონისძიებად განვიზრახეთ აღგვენიშნა მისი დაბადების 400 წლისთავი, რაც სრულდებოდა 1980 წელს და განაზრახი განვახორციელეთ კიდეც იმავე წლის გიორგობის თვეში. ამ საქმეში მხარში ამოგვიდგნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს მწერალთა კავშირი. ამ თარიღს მივუძღვენით სამეცნიერო სესია, რომელიც კასპის კულტურის სახლში ჩატარდა. სესია გახსნა საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის პირველმა მდივანმა ვაჟა კვალიაშვილმა.**

გიორგი სააკაძის ცხოვრება-მოღვაწეობასა და მის ეპოქაზე მოხსენებით წარსდგა სააკაძეოლოგი პროფესორი გივი ჯამბურია, სიტყვებით გამოვიდნენ: პროფესორი რევაზ სირაძე, მწერალი ნიკა აგიაშვილი, კრიტიკოსი ჯანსულ ღვინჯილია, გერმანელი ქართველოლოგი, დიდებული მექართულე ჰაიც ფენრიხი, პოეტები გივი გეგეჭკორი, მამუკა წიკლაური, გრიგოლ ჯულუხიძე, მორის ფოცხიშვილი. სესიას უძღვებოდა თქვენი მონა-მორჩილი, ამ წერილის ავტორი.

წინასწარ ჩამოვაყალიბეთ აზრი, რომ დაგვეწესებინა სახალხო დღესასწაული — სააკაძეობა და ამ ჩანაფიქრის განხორციელება დამევალა მე, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორს და სესიის მონაწილეებს იქვე ვაუწყე, რომ ამიერიდან დაწესდება სახალხო დღესასწაული სააკაძეობა — გმირთა ხსოვნის დღე, რომელიც გაიმართებამეთქი ივნისის თვის პირველ შაბათ დღეს. ჩემი წინადადებით ივნისის თვე შევარჩიეთ იმიტომ, რომ გიორგი სააკაძემ პირველი დიდი ბრძოლები გადაიხადა სწორედ ივნისის თვეში, ბოლოს, ნიაბის ბოლოს, მეტეხის თავზე, სხერტის ჭალაში და მერე ტაშისკარში. ამავე დროს ეს ისეთი თვეა, როცა ჰაერის ტემპერატურა ნორმალურია, გრილია. თუ წვიმა წამოვიდოდა, ესეც უფრო გაახალისებდა დღეობას. წინასწარი პიროების თანახმად, ზეიმი დაიწყებოდა ქ. კასპში, გიორგი სააკაძის მოედანზე და გაგრძელდებოდა ერთაწმინდაში, გიორგი სააკაძის შთამომავალთა ძვალთშესალაგის, ერთაწმინდის ტაძრის ეზოში, მერე დაგვირგვინდებოდა თვით დიდი მოურავის მშობლიურ სოფელში.

სამეცნიერო სესიას ესწრებოდნენ თვალსაჩინო მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, უცხოელი სტუმრები: იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ფრანც ბოლკი, გერმანელი პროფესორები გეორგ ლინდელაუბი და ფრანც ტიტლი, თბილისის უნივერსიტეტის პრორექტორი სერგო ჯორბენაძე, პროფესორები მერი ჭელიძე, გურამ ჭილაშვილი, აკაკი ბაინდურაშვილი, შოთა რევიშვილი, გიორგი ხუციშვილი, გურამ რამიშვილი, რაიონის მკვიდრი მწერლები ელიზბარ მაისურაძე, ელგუჯა მერაბიშვილი, ძეგლთა დაცვის საზოგადოების სწავლული მდივანი ირაკლი ზაქარიაშვილი, საზოგადოება „ცოდნის“ განყოფილების გამგე აბელ ფრუიძე და სხვები.

სესიის დამთავრების შემდეგ მისი მონაწილენი გაემგზავრნენ ნოსტეში, სადაც დაათვალიერეს ხუთსართულიანი კოშკი სააკაძისა, მისი საცხოვრისი: დარბაზების ნაშთები, დიდნი თუ პატარანი, ერთმანეთთან რომ იყვნენ დაკავშირებულნი გასასვლელ-გამოსასვლელებით, გვირაბი, რომელიც გადიოდა ჯერ ხევში და მერე ტყეში, სამების ეკლესია, სადაც ლოცულობდნენ დიდი მოურავის ჯალაბობაც და მისი მსახურნი და სხვა ღირსშესანიშნაობანი.

ყოველი ეს ნაგებობანი, კოშკის გარდა დამარხული იყო მიწაში და თუ არ ვცდები, გასული საუკუნის სამოციან წლებში აღმოაჩინა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, პროფესორ პარმენ ზაქარაიას მეთაურობით და დააკონსერვა კიდეც მიწის პირიდან კარგად გამოსაჩენი კედლები.

დარბაზებს შუა ცარიელ ადგილზე გააკეთეს საჭიდაო არენა, ნახერხით რომ იყო მოფენილი და გარშემო რომ შემომწკრივებულ-შემომრგვალებული იყო გრძელი ფიცრების სკამებით. დღესასწაულის დროს სწორედ აქ იმართებოდა ჭიდაობა. გამარჯვებულ ფალავანს გადაეცემოდა ხოლმე თასი, წარწერაც რომ ჰქონდა და დიდი მოურავის პორტრეტიც რომ ეხატა.

სააკაძეობა იწოდებოდა აგრეთვე გმირთა ხსოვნის დღედ, რადგან ამ დღესასწაულზე იხსენიებდნენ ხოლმე თვით სააკაძის ეპოქაში მებრძოლ დიდ წინაპრებსაც და მასზე ადრე ყველა თვალსაჩინო გმირ მამულიშვილს, ვინც იბრძოდა სამშობლოსთვის ვახტანგ გორგასლიდან მოყოლებული, რა თქმა უნდა, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის თამადობით. იხსენიებდნენ აგრეთვე სააკაძის მომდევნო გმირებს და დიდ მამულიშვილებს, რომელთა სახელები კარგად იცის მადლიერმა შთამომავლობამ, და კიდევ იხსენიებდნენ მეორე მსოფლიო ომის მონაწილე გმირებსა და მამაც მებრძოლებს, დღესასწაულის დროს სიტყვით გამოვიდა გიორგი სააკაძის შთამომავალი დედის მხრიდან — საბჭოთა კავშირის გმირი, აკადემიკოსი ირაკლი ციციშვილი.



დღესასწაული სააკაძეობა — გმირთა ხსოვნისათვის მზადება ადრევე იწყებოდა, პირველ რიგში, ყურადღება ექცეოდა გზების კეთილმოწყობას, სხვა სოფლებში რომ არ იყო დაგებული ასფალტი, კასპიდან ნოსტემდე ასფალტიანი გზა მიდიოდა, რითაც დიდად კმაყოფილნი იყვნენ ამ გზაზე ასხმული სოფლის მშრომელები და სააკაძესთან ერთად ლოცავდნენ გზის გამკეთებლებს. უჟანგავი თუნუქისგან დამზადებულ ტრანსპარანტებზე იხატებოდა ცნობილი მწერლებისა და მოღვაწეების გამონათქვამები გიორგი სააკაძეზე, უწინარესად ლამაზი ასოებით ეხატა თვით სააკაძის ნათქვამი: „ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსთვის უძგერს გული“ და ეს ლამაზი ტრანსპარანტები ჩამწკრივებული იყო გზის პირას კასპიდან ნოსტემდე, რამდენიმე ტრანსპარანტი ამშვენებდა კოშკის მიდამოებს.

დიდი მოურავის დიდი პორტრეტი ეკიდა კოშკზე, რომელიც შორიდანვე მოჩანდა.

დღესასწაულზე სიტყვით გამომსვლელთა დიდი რიგი იყო, მაგრამ უპირატესობას ვაძლევდით სტუმრებს, უფრო თვალსაჩინო მოღვაწეებს.

ზეიმზე გამოგვყავდა სახალხო მთქმელები და მუსიკოსები, მათ შორის ყველაზე მეტად ამხიარულებდა კავთისხეველი ქორო კაციაშვილი თავისი მინიატიურული გარმონით, თვითონ რომ ბუზიკას ეძახდა და ჩინებულად ასრულებდა ხალხურ სიმღერას, მათ შორის „კეკელას და მაროს“...

სააკაძის კოშკისა და ნასახლარების მიდამოებში წინასწარ მიჩენილ ადგილებში რაიონის სოფლები ჩასდგამდნენ ხოლმე ქოხებს, შიგ დაბინავდებოდნენ თავიანთი უხვი პურმარილითა და ქოხების დამთვალიერებელ სტუმრებს ეპატიჟებოდნენ, ყანწს მიართმევდნენ და სააკაძის სადღეგრძელოს გამოაცლევინებდნენ ხოლმე, ზოგ სტუმარს ისე გაუტკბებოდა იმ ქოხში ყოფნა, რომ წამოსვლა ეძნელებოდათ და დიდ, საერთო სუფრაზე რომ იყვნენ დაპატიჟებულნი და მისასვლელნი, იქამდე ვეღარც აღწევდნენ.

თავდაპირველად ივნისი დავთქვით, მაგრამ მერე ისე წარიმართა საქმე, რომ სააკაძეობა — გმირთა ხსოვნის დღე უმეტესად იმართებოდა შემოდგომაზე.

იმ ძნელბედობის ჟამს ველარ ხერხდებოდა ამ დღესასწაულის ჩატარება და აი, რაოდენ სასიხარულოა, რომ კვლავ აღსდგა გიორგი სააკაძის დაბადების 430 წლისთავზე.

მადლობა ვუთხრათ ამ დღესასწაულის აღდგენის მოთავეებს, ყველა მონაწილეს, სტუმრებსაც და მასპინძლებსაც, ყველა ქართველსა და არაქართველს, ვინც სააკაძის თაყვანისმცემელია, ვისაც საქართველო უყვარს და იღვწის და იბრძვის მისი კეთილდღეობისთვის.

**გიორგი ხორგუაშვილი.**

---

⊙ **მესამე სექტორი**

# იქნებ თეთრი მანდილის ჩაგდებამ უშველოს!

**საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ შექმნის იდეა 1992 წელს გაჩნდა, როცა თბილისში ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ და გაიკვირვეს, რომ საქართველოში არ არსებობდა ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მშვიდობისთვის იქნებოდა მოწოდებული და ამ მიმართულებით გარკვეულ ფუნქციას იკისრებდა. საერთაშორისო ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ ქალს ძალიან დიდი როლი შეუძლია შეასრულოს კონფლიქტების მოგვარებაში.**

იდეა მოეწონათ და, იმავე წელს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ბაზაზე, აფხაზეთის კონფლიქტის ფონზე ასოციაციაც შექმნეს. მაშინ აფხაზეთი ბოლომდე დაკარგული ჯერ კიდევ არ იყო. ქართველი ქალებით სავსე „მეგობრობის მატარებელი“ აფხაზეთში გაემგზავრა, სურდათ, ქვეყნის სასიკეთოდ შეხვედრები, მოლაპარაკებები ეწარმოებინათ, თუმცა მატარებელი აფხაზეთში არ შეუშვეს.

ასოციაციის მანდილოსნები ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან დაკავშირებულ შეხვედრებში ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდნენ. 1994 წელს მონაწილეობა მიიღეს ამერიკაში გამართულ დიალოგში, რომლის მეორე ეტაპი 1996 წელს რუსეთში გაიმართა.

ასოციაციის თავმჯდომარე მაია კვეზერელი-კოპაძე ამბობს, რომ სამაჩაბლოში სიტუაციის გამწვავებისას მათ კონფლიქტის ზონაში რამდენიმე მანდილოსანი გააგზავნეს, მათ შორის იყო იძულებით გადაადგილებულთა და განსახლების მინისტრი ეთერ ასტემიროვაც. ისინი ოსი ეროვნების ქალბატონებს — მასწავლებლებს, ექიმებს და სხვა პროფესიის წარმომადგენლებს შეხვდნენ, თან ჰუმანიტარული ტვირთიც ჩაიტანეს. ქალბატონი მაია იხსენებს, რომ მაშინ იქაური მამაკაცები ჩასულ სტუმრებს აგრესიით შეხვდნენ, თუმცა ქალებს შორის კარგი ურთიერთობა დამყარებულა, ოსი ეროვნების მანდილოსნები შემდეგ თბილისშიც ჩამოსულან. სწორედ ამიტომ ასოციაციის თავმჯდომარე ამბობს, რომ ქალები სახალხო დიპლომატიას მამაკაცებზე ბევრად უკეთ აგვარებენ.

ბოლო რამდენიმე წელია ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ წარმომადგენლებს აფხაზეთის და სამაჩაბლოს მსგავს არასამთავრობო ორგანიზაციებთან არანაირი შეხვედრა და ურთიერთობა აღარ აქვთ. — ველოდებოდით, რომ სიტუაცია პოლიტიკოსების მეშვეობით გამოსწორდებოდა. კარგია გაეროს დეკლარაციები, გადაწყვეტილებები, სხვადასხვა მისიების მუშაობა, მაგრამ ამის იქით რეალურად არაფერი კეთდება. სწორედ ამიტომ კვლავ გადავწყვიტეთ, რომ სიტუაციის მოწესრიგებას სახალხო დიპლომატიის დონეზე ვეცადოთ, ჩვენს არასამთავრობო ორგანიზაციას მეტის უფლება არ აქვს, — აცხადებს მაია კვეზერელი-კოპაძე.

იციან, რომ კონფლიქტის ზონაში მუშაობა სადღეისოდ იოლი არ არის. სწორედ ამიტომ მოიწვიეს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში, გაეროს მისიის ხელმძღვანელი-ელჩი საქართველოში ჰაიდი ტალიავინი. შეხვედრას ასოციაციის აქტივის წევრები და იძულებით გადაადგილებულ პირთა და განსახლების მინისტრი, ორგანიზაციის წევრი ეთერ ასტემიროვა დაესწრნენ. მასპინძელთა და სტუმარს შორის შუამავლის ფუნქცია ასოციაციის თანათავმჯდომარემ ნელი გურგენიძემ იტვირთა, რის შემდეგაც ქალბატონმა ტალიავინიმ მისიის მუშაობის შესახებ ისაუბრა.

მოგეხსენებათ, ეს მისია საქართველოში 11 წელია მოღვაწეობს, ჰაიდი ტალიავინს კი საქართველოში მუშაობის 3 წლის გამოცდილება აქვს, მანამდე მისი თანამდებობა დიტერ ბოდენს ეკავა, რომლის მუშაობით ქართული მხარე კმაყოფილი ნამდვილად არ დარჩენილა.

ამჟამად, მისიის ფარგლებში იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისთვის უკეთესი პირობების შექმნაზე მუშაობენ, ეკონომიკურ პროექტებს ახორციელებენ, კონფლიქტის ზონაში კი 11 ადამიანის შემადგენლობით გაეროს პოლიცია შეიყვანეს.

ტალიავინისგან მიღებული ინფორმაციით დაასკვნეს, რომ წინგადადგმული ნაბიჯები მისიის მუშაობაში არის, თუმცა გასაკეთებელი კვლავაც ბევრია. შეიტყვეს ისიც, რომ სადღეისოდ გალში ქალთა ორგანიზაციები მრავლადაა. გადაწყვიტეს, რომ მათთან შეხვედრა უახლოეს მომავალში გალში ან თბილისში მოაწყონ. გალში ჩასვლის შემთხვევაში, ცხადია, შიშის ფაქტორიც იქნება, რომლის დასაძლევად და უსაფრთხოების თვალსაზრისით, ალბათ, ქალბატონ ტალიავინის დაიხმარებენ. იმედი აქვთ, რომ აფხაზეთსა თუ ცხინვალში არსებულ ქალთა ორგანიზაციებთან ურთიერთობას დაამყარებენ და ისინი თბილისელი მანდილოსნების წინადადებას უდავოდ მიიღებენ.

**ლელა ხვადაგიანი.**

ჟურნალისტური გამოძიება

# თაღლითები საქართველოს ენერგეტიკაში,

## რომელთაც ვერც ადრე შურტყამდათ მოპარული დენი და არც ახლა აკლიათ მცველები



(მესამე გვერდიდან)

1995 წლის 15 მაისს საქართველოს პარლამენტმა კონტრაქტი რატიფიკაციაჰყო. მისი ძალაში შესვლა ნიშნავდა დამატებითი ხელშეკრულების გაფორმებას იაპონიის ფონდსა და საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს შორის, ფინანსთა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროებს შორის, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და კრედიტის მომსახურე გაერთიანებულ ქართულ ბანკს შორის, ფინანსთა სამინისტროსა და აღნიშნულ ბანკს შორის.

აღსანიშნავია, რომ **მისი რატიფიკაცია ნიშნავდა სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში პარლამენტის მიერ კონტრაქტის კონტროლს. სამწუხაროა, მაგრამ ეს არ მომხდარა. რატომ არ გაფორმდა აღნიშნული ხელშეკრულებები? ეს დღემდე უცნობია.**

ალბათ, იმიტომ, რომ არც ერთ ზემოთ ხსენებულ სტრუქტურას ამ დროის განმავლობაში არავინ მოსთხოვა პასუხი!

**დასკვნა:** საქართველოს 1999 წლის მოწვევის პარლამენტს არანაირად არ გაუკონტროლებია აღნიშნული კონტრაქტი. ამის დასტურია ის, რომ სააგენტოს წერილობით მოთხოვნაზე პარლამენტში ამ საკითხთან დაკავშირებით არც ერთი დოკუმენტი არ მოიძებნა.

პარლამენტის თავმჯდომარეები აღნიშნულ პერიოდში იყვნენ — **ზურაბ ჟვანია** და შემდგომ **ნინო ბურჯანაძე** (ამჟამინდელი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე), პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარეები იყვნენ — **ზურაბ ცქიტიშვილი** (პარლამენტის სამი მოწვევის წევრი) და შემდგომ **დემურ გიორხელიძე** (დღესდღეობით პრესის და ტელევიზიის მეშვეობით იძლევა რჩევა-დარიგებებს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში, როგორც საერთაშორისო ექსპერტი), პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე აღნიშნულ პერიოდში იყო **ზ. სიორიძე** (გაერთიანებული ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი).

***პარლამენტის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ არც ერთ ხელშეკრულებას არ მოეწერა ხელი. სამაგიეროდ, სავსებით მოულოდნელად, რატომღაც, 1999 წლის 7 აპრილს ფინანსთა სამინისტრომ (მინისტრი — დ. ონოფრიშვილი) გააფორმა იაპონიის კრედიტთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულება „საქენერგოგენერაციასთან" (გენერალური დირექტორი — ნ. ბადურაშვილი). ხელშეკრულების მიხედვით კრედიტის დაფარვის საკითხში ფინანსთა სამინისტროს წინაშე პასუხისმგებელი გახდა „საქენერგოგენერაცია".***

***ხელშეკრულების მიხედვით სამინისტრო კისრულობდა პასუხისმგებლობას, გაეკონტროლებინა კრედიტის მიზნობრივი ხარჯვა.***

***ისმის კითხვა: ფინანსთა სამინისტრომ რატომ არ გააფორმა პირდაპირი ქვესასესხო ხელშეკრულებები სადგურებთან, რომელთა რეაბილიტაციის შემდგომ მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ღირებულებით უნდა დაფარულიყო კრედიტი?***

***და კიდევ ერთი კითხვა: რატომ დათანხმდნენ ფინანსთა სამინისტროს ასეთ გადაწყვეტილებას ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო (მინისტრი — თ. გიორგაძე) და თავად „საქენერგოგენერაცია" (გენერალური დირექტორი — ნ. ბადურაშვილი)?***

***ხომ ყველამ იცოდა, რომ ორივე სარეაბილიტაციო სადგური სააქციო საზოგადოება იყო?***

ეს ყველაფერი გასარკვევია. მოვლენებს თუ გავასწრებთ, ვიტყვით, რომ ენერგეტიკაში იაპონური კრედიტის მიზნობრივი გამოყენების საკითხს იძიებს გენერალური პროკურატურა, რომელსაც უშუალოდ ევალება კიდეც ამ საკითხის შესწავლაც და მისი კანონიერი შეფასებაც.

**დასკვნა:** საბოლოო სიტყვას სასამართლო იტყვის, მაგრამ, თუ კრედიტის მიზნობრივ ხარჯვაზე აგებს პასუხს ის, ვისაც არა აქვს მისი დაფარვისთვის აუცილებელი სათანადო შემოსავლის წყარო — ამ შემთხვევაში „საქენერგოგენერაცია" და, მოგვიანებით, მისი სამართალმემკვიდრე „ენერგოგენერაცია" (პირველის თავმჯდომარე — მ. ნიკოლაიშვილი, რომელიც ამ თანამდებობიდან ენერგეტიკის მინისტრის პოსტზე გადაიყვანეს, „ვარდების რევოლუციის" შემდგომ სს „საქროსენერგოს" სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დანიშნეს, ამჟამად კი მიმალულია, მეორე და ბოლო — გ. ჩოგოვაძე, ახლახან პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობიდან გადამდგარი), ეს ყველაფერი ხომ არ ნიშნავს წინასწარ დაგეგმილ სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას?

რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს პოზიციას, აქაც სრული გაურკვევლობაა.

საქმე ის არის, რომ სამინისტროს ხელმძღვანელები ამ პერიოდში საოცარი სიხშირით იცვლებოდნენ და ამით თითოეული მათგანის პასუხისმგებლობა განზრახ იქნა ნიველირებული.

საბოლოოდ რეალურად დარჩა ერთი პასუხისმგებელი პირი — საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

დღესდღეობით იაპონიის კრედიტთან დაკავშირებით, როგორც ჩვენთვის ცნობილია, არ არსებობს არც ერთი დოკუმენტი, რომელშიც კრედიტის გამცემი მხარე საქართველოსგან მოითხოვდა რაიმე დამატებით პირობებს კრედიტის გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს ნიშნავს, რომ მას არ აინტერესებდა, ვინ და რა პირობებით გაიმარჯვებდა კრედიტის ათვისების ტენდერში, რადგან ამ პირობებზე ვალდებულება საქართველოს მხარემ იკისრა.

ამჟამად, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს ენერგეტიკაში იაპონიის კრედიტის მიზნობრივ გამოყენებასთან დაკავშირებით აღძრა სისხლის სამართლის საქმე.

**თუმცა ამ კრედიტის გაფლანგვის ფაქტის მიმართ საქართველოს პარლამენტის, მთავრობის, ფინანსთა და ენერგეტიკის სამინისტროების აშკარად პასიური პოზიციის ლოგიკური გაგრძელება, სამწუხაროდ, პროკურატურაშიც პოულობს ასახვას.**

ამ ფაქტის გამოძიებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების მაჩვენებელია თუნდაც ის, რომ დროის არც თუ ისე დიდ მონაკვეთში საქმის გამომძიებელი მესამედ შეიცვალა (საქმე აღძრულია 2005 წლის 20 მარტს).

იქმნება შთაბეჭდილება, რომ კრედიტი თავიდანვე გაფლანგვისთვის იყო განწირული.

საკითხის ამგვარად წარმოჩენა ძალზე ადვილად აიხსნება კრედიტის განმკარგველი „ენერგოგენერაციის", უცხოური კომპანიების „ანსალდოს", „ალსტოს" და სხვათა მესვეურების, აგრეთვე ზემოთ დასახელებული სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელთა უშფოთველობით.

ამ თვალსაზრისით ყველა ერთნაირად დამნაშავეა, მაგრამ მათ „შეუბღალავ ღირსებაზე" ჯერჯერობით ეს სრულებით არ მოქმედებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „დაგეგმილი" იყო, რომ გაფლანგული კრედიტი საქართველოს თითოეული მოქალაქის ჯიბიდან ამოღებულიყო ათეული წლების განმავლობაში.

მკითხველს კი კარგად მოეხსენება, ვალებში ჩაფლულ კაცთან და სახელმწიფოსთან ერთ უღელში შებმას არავინ ისურვებს (აფხაზეთი და სამაჩაბლო).

**კრედიტით გამდიდრებულ სახელმწიფო მოხელეთა ანგარიშზე კი, როგორც ამტკიცებენ მავანნი და მავანნი, უცხოეთის ბანკებში გადამალულ, ნაძარცვ თანხებზე პროცენტები ირიცხება. აურაცხელი ქონება, სასახლე-აგარაკები, გამზადებულია თავშესაფარი...**

**გავა დრო, ათი ან ოცდაათი წელი, და პასუხისმგებლობისგან თავდაძვრენილთ, თანამზრახველთა ნაშიერები პოლიტიკურ დევნილთა შარავანდედში წარუდგენენ ახალ თაობებს, ხოლო მათი დანაშაულებრივი საქმიანობით ილაჯგაწყვეტილ სამშობლოს მორალურ ვალსაც დაადებენ.**

**ასე ფიქრობენ ისინი, მაგრამ მათი მომავლის აღქმა ამორალური აზროვნებითაა დაბინდული. ავიწყდებათ, რომ ქვეყანა მათ იმედად არაა მიტოვებული. არის ქართველი ხალხი და საერთაშორისო გაერთიანება!**

**კრედიტების გაფლანგვის ანატომია აშკარად მიანიშნებს ქვეყნის მოღალატეთა დანაშაულებრივ კავშირზე საერთაშორისო მაფიასთან. მათ წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა საერთაშორისო სტრუქტურებთან თანამშრომლობით თუ იქნება შესაძლებელი.**

**ამიტომაც ჩვენი ჟურნალისტური გამოძიების მომავალი მუშაობა და სტატიები მიზნად ისახავს უცხოეთის სახელმწიფოების, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების როლის გააქტიურებასაც.**

**თენგიზ ჩხიკვაძე, ვაჟა კელეურიძე,**
**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე".**

ბედ-იღბალი

# კამჩატკელი განდეგილი

**ეკატერინე ჟდანოვა დაიბადა 1950 წლის 5 მაისს საბჭოეთის „მთავარ" ოჯახში. მისი პაპა იყო იოსებ სტალინი, მშობლები კი — სვეტლანა ალილუევა და იური ჟდანოვი, კრემლის ბატონ-პატრონის უახლოესი თანამოსაგრის ვაჟი. მაგრამ „ცისფერმა სისხლმა" ეკატერინე მაინც ვერ იხსნა ტრაგიკული განსაცდელისგან.**

კატია სწავლობდა პრივილეგირებულ სკოლებში, საბჭოური საზომით თუ ვიმსჯელებთ, მდიდრულ ბინებში ცხოვრობდა, მაგრამ მის ბავშვობას მაინც ვერ ვუწოდებთ ბედნიერს. კატია სულ პატარა გოგონა იყო, როცა ქვეყანაში დაიწყო მისი პაპის პიროვნების კულტის გმობის კამპანია, ამას კი მოჰყვა მისი ბიძის — ვასილ სტალინის სიკვდილი საკმაოდ უცნაურ გარემოებაში და, ბოლოს, დედის გაქცევა საზღვარგარეთ 1967 წელს. სვეტლანა ალილუევას ემიგრაცია 17 წლის ეკატერინემ სამშობლოს ღალატად მიიჩნია. მაგრამ, განა მაშინ იფიქრებდა ეს ახალგაზრდა გოგონა, რომ 10 წლის შემდეგ თვითონაც მოუწევდა მოსკოვიდან გადახვეწა რაც შეიძლება შორს, რათა როგორმე დაეღწია თავი სპეცსამსახურების თვალთვალისთვის, ნათესავების მეურვეობისა და კოლეგების თუ ნაცნობების მომაბეზრებელი ცნობისმოყვარეობისთვის?



სტალინი ქალიშვილ სვეტლანასთან ერთად. 1935 წ.

კამჩატკის მიყრუებულ პროვინციაში მისი ასეთი დამოუკიდებლობა განდეგილობაში გადაიზარდა, თვითდამკვიდრების სურვილი — კოლეგების გულგრილობაში, სიყვარული კი — ხანმოკლე ქორწინებაში, რომელიც ტრაგედიით დასრულდა.

ხმაურიანი მოსკოვი ჟდანოვამ ვულკანების ძირში მშვიდ ცხოვრებაზე გაცვალა.

კამჩატკის შორეულ სოფელ კლუჩიში ეკატერინე პირველად ჩავიდა 1977 წელს გეოლოგიური ექსპედიციის შემადგენლობაში, რომელიც შეისწავლიდა კლუჩის ვულკანს — ევრაზიაში უდიდეს მოქმედ ვულკანს.

კლუჩიში მან გაიცნო ადგილობრივი ვულკანების შემსწავლელი სადგურის თანამშრომელი ვსევოლოდ კოზევი — არაორდინარული პიროვნება, რომელიც ადვილად ხდებოდა ყველა კომპანიის სული და გული. ძნელი იყო ასეთი კაცი არ შეგყვარებოდა. პროვინციელმა დონ ჟუანმა ახალგაზრდა მოსკოველი გოგონაც მოხიბლა.

როცა ვსევოლოდის ცოლი გახდა, ეკატერინეს ქალიშვილობის გვარი არ შეუცვლია. ხმაურიანი დედაქალაქი კი სიამოვნებით გაცვალა მშვიდ ცხოვრებაზე შორეული კამჩატკის სოფელში. მას იმედი ჰქონდა, რომ კამჩატკაში მაინც იქნებოდა არა სტალინის შვილიშვილი, არამედ, უბრალოდ ეკატერინე ჟდანოვა. ეგონა, რომ კოლეგები დააფასებდნენ როგორც მცოდნე სპეციალისტს, ქმარს კი მუდამ ეყვარებოდა, რადგან იგი ჭკვიანი და მომხიბვლელი გარეგნობის ქალი იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ოცნებებს ახდენა არ ეწერა.

„კოზევი, ბუნებით უფრო ავანტიურისტი იყო, — იხსენებს მისი მეგობარი, ვულკანების შემსწავლელი სადგურის თანამშრომელი გენადი ტეზიკოვი. — მას ეგონა, რომ ჟდანოვა ოქროში ჩასვამდა, არადა, კატიას ჯიბეში ერთი გროშიც კი არ ჰქონია... როცა კატია ითხოვა ცოლად, კოზევმა მიატოვა თავისი ოჯახი — პირველი ცოლი და ორი შვილი. მისი პირველი ცოლი გერმანულ ენას ასწავლიდა სოფლის სკოლაში და საკმაოდ ცნობილი ადამიანი იყო კლუჩიში. ამ ქალთან განშორების გამო, კოზევს მაშინ ბევრმა შეაქცია ზურგი და ჟდანოვაც ხალხმა აითვალწუნა..."

კოზევის ნაცნობები იხსენებდნენ, რომ პირველი ცოლი მას ცივ ნიავს არ აკარებდა. ეკატერინე კი სულ სხვაგვარი აღმოჩნდა: დიასახლისად იგი არ ვარგოდა. „პრინცესა" სვეტლანას ქალიშვილისთვის ბავშვობაში არ უსწავლებიათ ბინის დალაგება, რეცხვა და სადილის მომზადება. მაშინ, ვინ იფიქრებდა, რომ კატიას ასეთი მომავალი ელოდა? ვსევოლოდმა ამ ქორწინებიდან ვერ მიიღო ის, რისი იმედიც ჰქონდა, და ამიტომ ალკოჰოლს მიეძალა. 1982 წელს ქალიშვილის, ანას დაბადების შემდეგ, მან მცირე ხნით მიანება თავი სმას. სულ მალე კი ექიმებმა გამოუტანეს განაჩენი — ღვიძლის ციროზი. როცა შეიგნო, რომ უკურნებელი სენი სჭირდა, ვსევოლოდი საშინელმა დეპრესიამ შეიპყრო და 1983 წელს საკუთარ სახლში მოიკლა თავი სანადირო თოფით...



ეკატერინე ჟდანოვა შვილიშვილთან ერთად.

მაშინ ბევრს ეგონა, რომ ჟდანოვა დატოვებდა კამჩატკას და საცხოვრებლად გადავიდოდა ნათესავებთან როსტოვში ან მოსკოვში. მაგრამ ეკატერინე დარჩა სოფელში, სადაც მას არ ჰყავდა არც ნათესავები და არც ახლო მეგობრები. მაშინ, მას გამოუყვეს პატარა სახლი, რომელშიც დღესაც ცხოვრობს.

ერთი სიტყვით, ეკატერინემ გადაწყვიტა, რომ მთელი თავისი ცხოვრება მიეძღვნა ქალიშვილისა და ვულკანებისთვის.

სტალინის შვილიშვილისშვილი ანა დღეს თავის ქმართან და ხუთი წლის ქალიშვილთან — ვიკასთან ერთად ცხოვრობს დედისგან მოშორებით, პატარა ბინაში, კლუჩის მახლობლად მდებარე საჯარისო ნაწილის ტერიტორიაზე. იგი დაუსწრებლად სწავლობს საბუღალტრო ტექნიკუმში, მისი ქმარი კი პრაპორშჩიკია. პირველ ხანებში ანას ქმარს აზრადაც კი არ მოსვლია, რომ დაუნათესავდა გენერალისიმუსის შთამომავლებს. ეს შეიტყო მოგვიანებით, თანაც, ცოლისგან კი არა, ნაცნობებისგან.

ეკატერინე ჟდანოვა კვლავ მუშაობს უფროს მეცნიერ-თანამშრომლად ვულკანოლოგიის ინსტიტუტში, თუმცა, როგორც კოლეგები ამბობენ, სამუშაო კაბინეტში მას იშვიათად ნახავთ. ეკატერინე სახლიდან პრაქტიკულად არ გამოდის, მეზობლებთანაც არა აქვს ურთიერთობა, ჟურნალისტებს კი, როგორც იტყვიან, საერთოდ ვერ იტანს. როცა მასთან სტუმრად მივედით, ვუთხარით, რომ ვიყავით კამჩატკის ვულკანების სანახავად ჩამოსული ტურისტები (თუმცა, მოგვიანებით ვაღიარეთ, რომ ჟურნალისტები ვიყავით).

გარეგნულად იგი ცხოვრებისგან დაღლილი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მისი ერთადერთი ოთახი, პატარა კერძო სახლში, ნახევრად დანგრეული ავეჯითაა გაწყობილი.

დიასახლისმა გვიჩვენა სლაიდები, რომელზეც ვულკანები იყო აღბეჭდილი. ხალისით გველაპარაკა თავის სამუშაოზე. მაგრამ როცა საუბარი შეეხო მის დედას — სვეტლანა ალილუევას, ეკატერინე აშკარად ანერვიულდა: „მას თავისი ცხოვრება აქვს, მე — ჩემი. ჩვენს ოჯახში ყველა მუშაობს, მან კი გადაწყვიტა, თავის გზას დადგომოდა. ვთავაზობდით რუსეთში დაბრუნებას, მაგრამ უარი შემოგვითვალა. რას გააწყობ, ეს მისი საქმეა". სიტყვა „დედა" ეკატერინეს ერთხელაც არ დასცდენია.

როცა შუა 1980-იან წლებში ნადეჟდა ალილუევა ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, ეკატერინემ მასთან შეხვედრა არ ისურვა და მხოლოდ წერილი გაუგზავნა. „ამ ბარათში ჩემთვის ჯერ კიდევ ბავშვობიდან კარგად ნაცნობი ხელწერით, ჩემთვის სრულიად უცხო მოწიფული ქალი არნახული ზიზღით წერდა, რომ „არ მაპატია, არასდროს მაპატიებდა და არც სურს, რომ მაპატიოს". ასე წერს სვეტლანა ალილუევა თავის „წიგნში შვილიშვილებისთვის". ეკატერინე ჟდანოვამ დედას მართლაც არ აპატია.

**ვლადიმერ ხიტროვი, იგორ კრავჩუკი,**
**კამჩატკის ოლქი.**
**„არგუმენტი ი ფაქტი".**



ევგენი ჯუღაშვილი შვილიშვილებთან — ვასილ და სოსო ჯუღაშვილებთან.

იოსებ სტალინი



# ლუკაშენკომ ახალი შეზღუდვები დააწესა

**ბელორუსიის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომელიც უწესებს რეგლამენტს სახელმწიფო მოსამსახურეთა მივლინებებს საზღვარგარეთ. ამიერიდან საზღვარგარეთ ამა თუ იმ საქმის მოსაგვარებლად წასვლა შესაძლებელია მხოლოდ პრეზიდენტის პირადი თანხმობით და უცხოეთში მივლინების ვადა ორ დღეს არ უნდა აღემატებოდეს.**

„ეს არის ქვეყანაში ერთპიროვნული კონტროლის დამყარების, აგრეთვე, ბელორუსიის სრულ იზოლაციაში მოქცევის გზაზე გადადგმული მორიგი ნაბიჯი, — შენიშნა ბელორუსმა სოციოლოგმა ოლეგ მანაევმა. — ამ ბოლო წლებში გამოჩნდა ადამიანთა კატეგორია, რომლებსაც საზღვარგარეთ გამგზავრების საქმეში უზარმაზარ დაბრკოლებებს უქმნიან. ესენი არიან სტუდენტები და ეგრეთ წოდებული „ჩერნობილის ბავშვები". ახლა მათ სახელმწიფო ბიუროკრატიის წარმომადგენლებიც დაემატნენ".

2004 წელს ალექსანდრე ლუკაშენკომ გასცა განკარგულება იმის თაობაზე, რომ რაც შეიძლება იშვიათად უნდა გაიგზავნონ ბავშვები ბელორუსიიდან საზღვარგარეთ მკურნალობის მიზნით. პრეზიდენტის აზრით, საზღვარგარეთ ყოფნა ბავშვებზე მავნე გავლენას ახდენს.

„ლუკაშენკოს თანამიმდევრულად და მიზანდასახულად მიჰყავს ბელორუსია წარსულისკენ. სსრ კავშირში ხომ მკაცრად იყო გაკონტროლებული როგორც ქვეყანაში შესვლა, ისე მის ფარგლებს გარეთ გასვლაც. ასეთი პოლიტიკა იძლევა იმის საშუალებას, რომ ლუკაშენკომ მინიმუმამდე დაიყვანოს მისი რეჟიმის დამხობის რისკი", — მიაჩნია ბელორუსიის გაერთიანებული სამოქალაქო პარტიის ლიდერს ანატოლი ლებედკოს.

„ლუკაშენკოს მიერ შექმნილი სისტემა დიდად აგებს ევროპულთან შედარებით. ამიტომ, როცა ადამიანები იმყოფებიან დახშულ სივრცეში და მათ ჰგონიათ, რომ ბელორუსული სისტემა არის ყველაზე უკეთესი, რაც კი კაცობრიობას აქამდე შეუქმნია. მაგრამ სხვა ქვეყნებში ჩასვლისას და იქაური ცხოვრების გაცნობისას, ისინი ლუკაშენკოს მომხრეებიდან თანდათანობით მის ოპონენტებად გადაიქცევიან. გადაწყვეტილება, რომელიც რეგლამენტს უწესებს საზღვარგარეთ გამგზავრებას, მოწმობს იმას, რომ ხელისუფლება არ არის დარწმუნებული თავის ძალებში 2006 წლის პრეზიდენტის არჩევნების წინ", — მიაჩნია ლებედკოს.



არის კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოც შეუზღუდეს საზღვარგარეთ მივლინებები ბელორუს სახელმწიფო მოსამსახურეებს, მიაჩნია ოლეგ მანაევს. „თვით პრეზიდენტი ლუკაშენკო ბევრს არ მოგზაურობს და, ალბათ, მისთვის არც თუ ისე სასიამოვნოა, როცა ხედავს, თუ როგორ დადიან მისი ხელქვეითები მაგალითად, ვაშინგტონში ან ტოკიოში", — დარწმუნებულია სოციოლოგი.



# კამბოჯაში საბავშვო ბაღი გაათავისუფლეს

**კამბოჯის ქალაქ სიემრეაპში ხუთშაბათს დილით ტერორისტთა მიერ დაკავებული საბავშვო ბაღის შენობა გათავისუფლებულია. ბოროტგამზრახველები პოლიციამ დააპატიმრა. მათი ასეთი მოქმედების მოტივი ჯერჯერობით ცნობილი არ არის.**

„დაპატიმრებულია ოთხივე ბოროტგამზრახველი", — განაცხადა კამბოჯის სამხედრო პოლიციის ხელმძღვანელის მოადგილემ პრაკ ჩანტოეუმ.

მანამდე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი, თავდამსხმელები ექვსნი იყვნენ. ადგილობრივი დროით დილის 9 საათსა და 30 წუთისთვის ისინი თავს დაესხნენ საბავშვო ბაღის შენობას, მძევლად აიყვანეს 70-მდე ადამიანი. მძევლების გათავისუფლების სანაცვლოდ ტერორისტები მოითხოვდნენ ათას ამერიკულ დოლარს, კალაშნიკოვის სისტემის ექვს ავტომატს, ხელყუმბარებს და 12-ადგილიან მიკროავტობუსს.

მოგვიანებით მათ 30 მძევალი გაათავისუფლეს და შენობაში დარჩნენ მხოლოდ რამდენიმე აღმზრდელი და ორიდან ექვს წლამდე ასაკით ოცდაათამდე ბავშვი — დიდი ბრიტანეთის, შეერთებული შტატების, ავსტრალიის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების მცხოვრებლები.

სიემრეაპი, რომელიც ქვეყნის დედაქალაქ პნომპენიდან ჩრდილო-დასავლეთით 225 კილომეტრზე მდებარეობს, ძალზე პოპულარულია უცხოელ ტურისტთა შორის: ქალაქის მახლობლადაა ანკგორის ტაძრის უნიკალური კომპლექსი.

# ერაყში ხუთი საზღვაო ქვეითი მოკლეს

**ერაყის ქალაქ რამადის მახლობლად მომხდარმა აფეთქებამ იმსხვერპლა ხუთი ამერიკელი საზღვაო ქვეითი.**

ამერიკელ სამხედროთა მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბომბი აფეთქდა გზის პირას, როცა იქ ჩაიარა ავტომობილმა, რომელშიც ჯარისკაცები ისხდნენ.

გასულ ხუთშაბათს, რამადის მახლობლად მდებარე დაბა ჰაგლანიაში მომხდარი მსგავსი ინციდენტის დროს ასევე ხუთი ამერიკელი საზღვაო ქვეითი დაიღუპა.

2003 წლის მარტიდან, ერაყში ამერიკელთა ჯარების შესვლის შემდეგ, ამერიკელებმა დაღუპულთა სახით დაკარგეს სულ ცოტა 1705 სამხედრო მოსამსახურე.

სათქმელი უნდა ითქვას

# მხოლოდ პროექტის დონეზე დარჩა!

## მცირე რეპლიკა დიდად პატივცემულ ბატონ სანდრო თვალჭრელიძეს

**ინტერესით წავიკითხე თქვენი ინტერვიუ ერთ-ერთ გაზეთში, სადაც საქართველოს ზოგიერთი ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა პრობლემა მწვავედ, მაგრამ ობიექტურად არის გაშუქებული. ამასთან ერთად, ინტერვიუს ბოლო ნაწილში, კითხვაზე: „საშინელი ვითარებაა სოფლის მეურნეობაში და არც სასიკეთო ცვლილებების პერსპექტივა ჩანს, სოფელს რაღა ეშველება?“, თქვენ პასუხობთ: „ჩვენი ყველაზე ტრაგიკული შეცდომა ამ საკითხთან დაკავშირებით გახლდათ პოპულისტური და ეკონომიკური თვალსაზრისით აბსოლუტურად გაუმართლებელი პრივატიზაცია, რომელიც ზვიად გამსახურდიას მთავრობამ განახორციელა...**

თავს უფლებას ვაძლევ სრული კატეგორიულობით არ დაგეთანხმოთ ამაში, რამდენადაც ზვიად გამსახურდიას მთავრობას არ დასცალდა იმ დიდი ჩანაფიქრის განხორციელება, რაც ჩამოყალიბებული იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველ მინისტრთა კაბინეტის მიერ შემუშავებულ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტში – „1991-1992 წლებში საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და ვითარების სტაბილიზაციის ღონისძიებათა პროგრამა“.

ამ პროგრამის მოთხოვნათა საფუძველზე ღრმამეცნიერულად დამუშავდა საქართველოში რადიკალური აგრარული რეფორმის ძირითადი მიმართულებები. ყველა დოკუმენტში, რომელიც შეიქმნა აგრარულ გარდაქმნებთან დაკავშირებით დებულების თუ კანონის პროექტის სახით, ხაზგასმულია იმის შესახებ, რომ გარდამავალ პერიოდში უნდა დამკვიდრდეს მიწაზე საკუთრების ყველა შესაძლებელი ფორმა, რამაც ფართო გზა უნდა გაუხსნას სახელმწიფო, კოლექტიურ, კოოპერატიულ, აქციონერულ, გლეხურ, ფერმერულ, ერთობლივ და სხვა მეურნეობებს. ამასთან, ხელი უნდა შეეწყოს ისეთი ახალი სამეურნეო სტრუქტურების ფორმირება-ფუნქციონირებას, როგორიცაა კონცერნები, კონსორციუმები, კორპორაციები და ა.შ.

ეს მეურნეობები უნდა შექმნილიყო არსებული, უმეტესწილად ზარალიანი და დაბალრენტაბელური კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე, ხოლო სავსებით დასაშვებად იყო მიჩნეული მაღალრენტაბელური საბჭოთა მეურნეობების შენარჩუნება, ვთქვათ, „სახალხო მამულების“ სახით – არსებითად შეცვლილი შინაარსითა და ფუნქციებით.

აგრარულ სექტორში საკუთრებისა და მეურნეობების მრავალფეროვნების პირობებში ეროვნული მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა საწარმოო ინფრასტრუქტურის პრობლემის მოგვარებასაც. ამის არსი იყო ცალკეულ რეგიონსა თუ რაიონში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და მომსახურების ასოციაციების, კოოპერატივების და ა.შ. შექმნა, რომელთაც თავისი საქმიანობა უნდა წარემართათ მეწარმეთა განაცხადებისა და ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულებების საფუძველზე. იმავე ან სპეციალიზებულ ინსტიტუტებს უნდა უზრუნველეყოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის განსაზღვრული ნაწილის შესყიდვა, შენახვა და რეალიზაცია შეთანხმებული ფასებით.

სამთავრობო პროგრამის პროექტი ამკვიდრებდა მიწაზე კერძო საკუთრების უფლებას, მაგრამ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ითვალისწინებდა მიწების არა სრულიად თავისუფლად, ასე ვთქვათ, ჰაიჰარად, ყოველგვარი კონტროლის გარეშე გაყიდვას, არამედ – გარკვეულ სამართლებრივ საფუძველზე. ეს პროცესი საბაზრო სისტემის ფორმირების საწყის ეტაპზე უნდა მოეწესრიგებინა სპეციალურად შექმნილ საზედამხედველო ინსტიტუტს, ვთქვათ, საადგილმამულო ბანკს.

ასე რომ, ზვიად გამსახურდიას მთავრობას რომ დასცლოდა რეფორმის განხორციელება, ის არ იქნებოდა, თქვენი შეფასებით რომ ვთქვათ, „პოპულისტური და ეკონომიკური თვალსაზრისით აბსოლუტურად გაუმართლებელი...“ მით უმეტეს, რომ ეროვნული ხელისუფლების ღრმადდასაბუთებული, მეცნიერულად გაჯერებული პროგრამა მხოლოდ პროექტის დონეზე დარჩა, რაც ფრიად დასანანია!

სამწუხაროდ, ეროვნული ხელისუფლების შეიარაღებული დამხობის შემდეგ, როგორც სავსებით დასაბუთებულად და სამართლიანად ასკვნის ცნობილი მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე პროფესორი ნუგზარ სანთელაძე, „სახელმწიფო ქონების პრივატიზება ჩვენში, უცხოელი ექსპერტების მოთხოვნით, წარიმართა სულ სხვა, ე.წ. ჩუბაისური სცენარის მიხედვით, თუმცა თვით ამ უკანასკნელის შექმნაში მთავარ როლს მაინც „ჰარვარდის დამრიგებლები“ ასრულებდნენ. ეკონომიკის ტრანსფორმაციის საქართველოში მიღებული ვარიანტი... უპირატესად კრიმინალურ-მძარცველურ ნიადაგზე და ამასთან, მეტად უნიჭოდ განხორციელდა, გახდა საქართველოს ეკონომიკის ნამდვილი პარალიზებისა და ხალხის უდიდესი ნაწილის სოციალური მდგომარეობის არნახული გაუარესების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი“ (ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2004, № 6, გვ. 66).

ასე რომ, ახლო წარსულის გაკვეთილები არ უნდა დავივიწყოთ. სასარგებლო გამოცდილების შესწავლა და ეროვნული ეკონომიკის რეფორმირებისა და აღორძინების პროცესში მისი გამოყენება აუცილებელიცაა და მიზანშეწონილიც.

**რევაზ გოგოხია,**
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**
**13.VI.2005 წ.**
**იბეჭდება ავტორის ხარჯით.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რომან გოცირიძე: „საქართველოს მოქალაქეები ზრდიან რუსეთის დოვლათს“



**ამ ცოტა ხნის წინ ოფიციალურმა თბილისმა გამოთქვა აღშფოთება იმის გამო, რომ რუსეთის ბანკები უკანონოდ მუშაობენ აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამასთან დაკავშირებით მოსკოვს გაუგზავნეს შესაბამისი პროტესტი.**

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე „ნოვიე იზვესტიას“ კორესპონდენტს ირინე ბარამიძეს ესაუბრა იმის თაობაზე, შეუძლია თუ არა ამ „საბანკო ომს“ გაამწვავოს ისედაც საკმაოდ დაძაბული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, აგრეთვე, შეეხო სხვა სახელმწიფოთაშორის პრობლემებსაც.

***– რუსეთის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის სერგეი იგნატიევის სახელზე გაგზავნილ წერილში თქვენ გამოთქვით შეშფოთება ზოგიერთ რუსულ ბანკსა და აფხაზეთის კომერციულ ბანკებს შორის კავშირურთიერთობის გააქტიურების გამო. რას ეფუძნებოდა თქვენი მტკიცებულებანი?***

– ბატონ იგნატიევს ამ საკითხის თაობაზე უკვე ორჯერ მივმართე. წერილი გაეგზავნა ფინანსური მონიტორინგის ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელს ვიქტორ ზუბკოვსაც. ამ პრობლემის არსია ის, რომ რუსეთის მთელმა რიგმა კომერციულმა ბანკებმა ფაქტობრივად განახორციელეს აფხაზეთის ბანკების ინკორპორირება თავიანთ სისტემაში, შეიყვანეს ისინი „ოქროს გვირგვინის“ ელექტრონული ანგარიშსწორების ქსელში და საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით შეიქმნა რუსეთიდან აფხაზეთში და აფხაზეთიდან რუსეთში ნებისმიერი თანხის გადაყვანის შესაძლებლობა. ყოველივე ეს ეწინააღმდეგება როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ისე თვით რუსეთის კანონებსაც. რუსეთის კომერციული ბანკების ჩარევა აფხაზეთის საბანკო საქმიანობაში უკანონოა იმ აშკარა მიზეზის გამო, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, რომელსაც აღიარებს ყველა ქვეყანა და მათ შორის რუსეთიც, აფხაზეთში საბანკო სისტემის იურისდიქციას და რეგულირებას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი. ჩვენი მტკიცებულებანი ეფუძნება რეალურ ფაქტებს. ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობას წარვუდგინეთ რუსეთის იმ ბანკების არასრული ნუსხა, რომლებიც კანონის დარღვევით თანამშრომლობენ აფხაზეთის კომერციულ სტრუქტურებთან. ეს ნუსხა შვიდ ფურცელს მოიცავს.

***– ასეთი თანამშრომლობა რით უნდა იყოს საშიში იმის გარდა, რომ თქვენი მტკიცებით, იგი უკანონოა?***

– ასეთი კონტროლსდაუქვემდებარებელი საქმიანობა ხელს უწყობს პირობების შექმნას დაუდგენელი გზით მიღებული შემოსავლების ეგრეთ წოდებული „გათეთრებისთვის“, რომლებიც შემდეგ შეიძლება გამოიყენონ ტერორიზმის დასაფინანსებლადაც, რაც ეწინააღმდეგება რუსეთის, როგორც FATF-ის წევრი ქვეყნის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი, რომელიც ჯერ კიდევ 3 წლის წინათ ამ ორგანიზაციის „შავ სიებში“ იყო შეტანილი, იზრუნებს თავისი რეპუტაციისთვის. ხოლო თუ მოსკოვი არ გაითვალისწინებს ჩვენს კანონიერ მოთხოვნებს, იძულებული ვიქნებით მივმართოთ FATF-ს.

ჩვენ ამ საკითხს დავაყენებთ ევროპის საბჭოში, MONEYVAL კომიტეტშიც. მაგრამ ჯერჯერობით ველით რუსი კოლეგების რეაქციას. ბატონ იგნატიევს ჩვენ შევხვდით სანკტ-პეტერბურგში. ძალზე საინტერესო საუბარი გამოგვივიდა, და, როგორც ვფიქრობ, კოლეგამ გაითვალისწინა ჩვენი დასკვნები. პირველი იმედისმომცემი ნიშნები უკვე დაისახა. აფხაზეთიდან მიღებული არაოფიციალური ინფორმაციით, რუსეთის ტერიტორიაზე ამ ცოტა ხნის წინ დახურეს აფხაზური კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები.

***– ამ ცოტა ხნის წინათ აფხაზთა პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრე ანქვაბმა განაცხადა, რომ რუსულ პენსიებს აფხაზ პენსიონერებს აფხაზეთის ბანკებიდან დაურიგებენო.***

– ჩვენ არასდროს ვეწინააღმდეგებოდით იმას, რომ რუსეთს გაეწია სოციალური დახმარება აფხაზეთის მოსახლეობისთვის. მაგრამ, ეს მათ უნდა გააკეთონ ლეგალურად, თბილისის ცენტრალური ხელისუფლების და მათ შორის ეროვნული ბანკის ნებართვით. ეროვნული ბანკი მზად არის ამ პროცესში მონაწილეობისთვის. მით უმეტეს, რომ ჩვენ გვაქვს საქართველოში რუსი სამხედრო მოსამსახურეებისთვის ხელფასების გაცემის კარგი გამოცდილება.

***– საქართველოს ხელმძღვანელობას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისა და ნდობის აღდგენის მთავარი გზა ეკონომიკაზე გადის. როგორი როლის შესრულება შეუძლია ამ საქმეში ეროვნულ ბანკს?***

– ეკონომიკური კავშირურთიერთობის განვითარებას მართლაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოს ხელისუფლება აფხაზებთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის წინააღმდეგიც კი არ არის, მაგრამ ნაბიჯები ორმხრივი უნდა იყოს, კომპრომისის გარეშე ვერანაირ პრობლემას ვერ გადავჭრით.

***– საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი ბანკის – გაერთიანებული ქართული ბანკის აქციათა 51 პროცენტი ეკუთვნის რუსეთის საგარეო-სავაჭრო ბანკს. როგორ აფასებთ ამ ბანკის როლს და ადგილს საქართველოს „საბანკო საზოგადოებაში“?***

– პირველ ხანებში, საქართველოში საგარეო-სავაჭრო ბანკის გამოჩენას შეშფოთებით შეხვდნენ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი არის ასპროცენტიანი სახელმწიფო დაწესებულება, და მეორეც იმიტომ, რომ ეს ბანკი რუსულია. შეშფოთება გამოიწვია იმან, რომ საქართველოს ბაზარზე უკვე აქტიურად გამოჩნდნენ რუსეთის მძლავრი სახელმწიფო საწარმოები, მათ შორის, „რაო-ეეს“, „გაზპრომი“. ახლა კი ჩვენ ვხედავთ, რომ ბანკი დაინტერესებულია თავისი ბიზნესის განვითარებით, გეგმავს საქმიანობის სფეროს გაფართოებას, არსებობს დიდი პერსპექტიული პროექტები, მათ შორის, თბოელექტროსადგურების მშენებლობის დაფინანსებაც. თუ ეს ენერგეტიკული და სხვა სახის პროექტები განხორციელდება, ყოველივე ეს გამოიწვევს დიდ სიმპათიას და ნდობას ამ ბანკის მიმართ როგორც პოლიტიკოსების, ისე საზოგადოების მხრიდან.

***– ეროვნული ფულის ნიშნების დამზადებას თქვენ უკვეთავთ საზღვარგარეთის ქვეყნებს, კერძოდ, ბელგიას, ჰოლანდიას, შვეიცარიას. ჰოლანდიელებმა კი, ქართული 5-ლარიანი ბანკნოტები უხეში შეცდომით დაბეჭდეს. განა ეს უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ბანკნოტების ბეჭდვა რუსეთის „გოზნაკში“?***

– დამამზადებელი-ფირმები შეარჩიეს ტენდერის გზით. ჩვენ ვცდილობს ფულის ბეჭდვას სხვადასხვა ქვეყანაში რისკის დივერსიფიცირების მიზნით. ამ ქვეყნებს ვირჩევთ არა პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისით. სხვათა შორის, ახლა ვუშვებთ 50-თეთრიან ახალ მონეტას და კონკურსში მონაწილეობისთვის ვიწვევთ ყველას, მათ შორის, რუსეთის მხარესაც.

***– რა სახსრები შემოდის საქართველოში იმ მოქალაქეებისგან, რომლებიც რუსეთში მუშაობენ?***

– სწრაფი გადარიცხვებით ყოველწლიურად დაახლოებით 90 მილიონი დოლარი. მაგრამ, არსებობს ფულის გადაცემის სხვა საშუალებებიც, რაც, არაოფიციალური გაანგარიშებით, ამ ციფრს დაახლოებით 200 მილიონ დოლარამდე ზრდის. ამდენივე შემოდის სხვა ქვეყნებიდანაც. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეები სულ ცოტა 5-ჯერ მეტ ფულს ხარჯავენ რუსეთის ტერიტორიაზე, ანუ დაახლოებით მილიარდ დოლარს. თუ ავიღებთ მილიარდს ხელფასის სახით, მათ მიერ შექმნილი დამატებითი ღირებულება რამდენჯერმე მეტი იქნება. მედალს ორი მხარე აქვს – საქართველოში გზავნიან ფულს, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, მაგრამ ამავე დროს, ჩვენი მოქალაქეები უზარმაზარ დოვლათს ქმნიან რუსეთის ტერიტორიაზე. ყველა ქვეყანა, და უწინარეს ყოვლისა, შეერთებული შტატები, ყოველმხრივ ცდილობს მიიზიდოს რაც შეიძლება მეტი კვალიფიციური მუშახელი და ინტელექტუალური ძალები. ასე რომ, ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსის მიერ გაკეთებული განცხადებები იმის თაობაზე, რომ რუსეთში მომუშავე ყველა ქართველს უნდა დაატოვებინონ ეს ქვეყანა, არასერიოზულად მიმაჩნია.

**„ნოვიე იზვესტია“, 16 ივნისი.**
**(იბეჭდება შემოკლებით)**

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

# უკრაინა, ისევე როგორც საქართველო, ცდილობს, შეამციროს ენერგეტიკული დამოკიდებულება რუსეთზე

**იმ „ხავერდოვანი რევოლუციების“ ფონზე, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით მოხდა კასპიის შავი ოქროს სატრანზიტო ორ ძირითად ქვეყანაში – 2003 წელს საქართველოში, ერთი წლის შემდეგ კი – უკრაინაში, არ შეწყვეტილა ბრძოლა ნავთობისთვის. კასპიის ზღვის ნავთობის მარაგი (ამ ზღვაზე გადიან ირანი, რუსეთი და სამი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა – ყაზახეთი, აზერბაიჯანი და თურქმენეთი) შეფასებულია დაახლოებით 30-70 მილიონ ბარელად (შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ საუდის არაბეთის ნავთობის მარაგი 150-250 მილიონ ბარელს შეადგენს). მაგრამ ამ ახალი ენერგეტიკული ელდორადოს ძირითადი პრობლემაა ის, რომ იგი იზოლირებულია. როგორ უნდა მოხდეს ნავთობის გატანა მსოფლიო ბაზრებზე მაშინ, როცა რუსეთმა დაამყარა ჰეგემონია ნავთობსადენებზე?**

ამ ცოტა ხნის წინათ საზეიმო ვითარებაში გახსნილი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით აზერბაიჯანის ნავთობი მიედინება ხმელთაშუა ზღვისკენ, ფარავს 1760 კილომეტრ მანძილს საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიებზე. „ბრიტიშ პეტროლეუმის“ მეთაურობით კონსორციუმის მიერ გაყვანილ ამ ნავთობსადენს, რომელსაც უკვე ბევრს აკრიტიკებდნენ მის მშენებლობასთან დაკავშირებული სირთულეებისა და სიძვირის – 4,5 მილიარდი დოლარის გამო, მენავთობეები უკვე უწოდებენ „ყველაზე მეტად პოლიტიკურს აქამდე არსებულ ნავთობსადენებს შორის“.

იგი ამ რეგიონში შეერთებული შტატების პოლიტიკის განხორციელების იარაღია და ემსახურება იმ სახელმწიფოთა სტრატეგიული ალიანსის განმტკიცებას, რომელთა ტერიტორიებზეც გადის – აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთი. ამავე დროს, ნავთობსადენმა უნდა განამტკიცოს პატარა საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელსაც ძალზე სურს თავი დააღწიოს თავის დიდ ძმას – რუსეთს, ქვეყანას, რომლიდანაც მიღებულ ნავთობზე და გაზზე საქართველო დიდად არის დამოკიდებული.

ასეთივე სიტუაცია შეინიშნება უკრაინაშიც, რომელიც მთლიანად არის დამოკიდებული რესურსზე ენერგეტიკული თვალსაზრისით. უკრაინას, ისევე როგორც საქართველოს, აქვს თავისი ნავთობსადენი, რომელიც ოდესას და ბროდის აკავშირებს. თავის დროზე, ეს ნავთობსადენი განკუთვნილი იყო რუსული ნავთობის ტრანსპორტირებისთვის შავი ზღვით, საიდანაც იგი ბოსფორის სრუტის გავლით ჩააღწევდა ხმელთაშუა ზღვამდე. მაგრამ „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შემდეგ უკრაინის ხელისუფლების სათავეში მოვიდა ახალი გუნდი და ნავთობსადენის ამოცანაც შეიცვალა. სამომავლოდ, ოდესა-ბროდის ნავთობსადენი განახორციელებს ნედლეულის ტრანსპორტირებას ყაზახეთიდან, რომელსაც ჩაიტანენ შავი ზღვის სანაპიროზე (რუსეთის ქალაქ ნოვოროსიისკში), საიდანაც მას ტანკერებით ოდესამდე გადაზიდავენ), შემდეგ კი – პოლონეთის გდანსკის ნავსადგურში.

2001 წელს აგებულ ამ 667-კილომეტრიან ნავთობსადენს დასრულება სჭირდება. საჭიროა გაიყვანონ მისი მონაკვეთი პოლონეთის ქალაქ გდანსკისკენ, რადგან ამჟამად არსებული ნავთობსადენი მხოლოდ უკრაინა-პოლონეთის საზღვრამდე აღწევს. ორი კვირის წინ ვიქტორ იუშჩენკოს გეგმა მოიწონა ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა. კასპიის ზღვის ყაზახეთის შელფის ნაწილში კაშაგანის გიგანტური საბადოს გახსნის შემდეგ, ეს ქვეყანა კასპიის ზონაში თავისებურ ქუვეითად გადაიქცევა. ყაზახეთი ამჟამად დღე-ღამეში 1,1 მილიონი ბარელი ნავთობის ექსპორტირებას ახორციელებს და მას იმედი აქვს, რომ 2015 წლისთვის ერთი სამად გაზრდის ამ რიცხვს. ამიტომ, იგი ეძებს თავისი ნავთობის ტრანსპორტირების გზებს.

ამ ნავთობსადენის მნიშვნელობაზე ილაპარაკა ასევე უკრაინის პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ 13 ივნისს პარიზში დომინიკ ვილპენთან შეხვედრის დროს. უკრაინა, რომელიც ევროპაში რუსული გაზის ტრანსპორტირებისთვის ერთადერთი გზაა, და მასთან ერთად მთელი შავი ზღვის ზონაც, დროთა განმავლობაში შეიძლება გახდეს ხმელთაშუა და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი უზარმაზარი სატრანზიტო დერეფანი.

**მარი ჟეგო,**
**„ლე მონდი“**
**(საფრანგეთი), 15 ივნისი.**

Le Monde.fr

საბინაო სამშენებლო კოოპერატივი „რუსთავი-17“-ის წევრი ქალბატონი ნინო არშილავა, ერთჯერადი კომპენსაციის მისაღებად გამოცხადდეს მისამართზე ქ. თბილისი ტაბიძის 4.

**ნანა წიქარიშვილი**
კოოპერატიულ ბინათმშენებელთა ასოციაციის პრეზიდენტი.

**2005 წლის 22 მაისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ შპს „საქართველოს რკინიგზის“ კომერციული დირექტორის 2005 წლის 19 მაისის № კდ- 406 ბრძანებით დამტკიცებულ სამგზავრო ტარიფის №1 ცხრილში შეტანილი იქნა შესწორება. გთავაზობთ №1 ცხრილის კორექტირებულ ვარიანტს.**

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ :
შპს "საქართველოს რკინიგზის"
[illegible]
[illegible]

ცხრილი № 1

[illegible] 2005 წლის 21 [illegible]

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1-50 | 11.50 | 8.00 | 2.10 | 1.40 | 6.70 | 5.00 | 1.10 | 0.70 |
| 6 | 51-60 | 11.50 | 8.50 | 2.30 | 1.40 | 6.90 | 5.10 | 1.20 | 0.70 |
| 7 | 61-70 | 12.50 | 8.50 | 2.40 | 1.50 | 7.00 | 5.20 | 1.20 | 0.80 |
| 8 | 71-80 | 12.50 | 8.50 | 2.40 | 1.50 | 7.20 | 5.40 | 1.20 | 0.80 |
| 9 | 81-90 | 13.00 | 9.00 | 2.50 | 1.60 | 7.40 | 5.50 | 1.30 | 0.80 |
| 10 | 91-100 | 13.00 | 9.00 | 2.60 | 1.70 | 7.60 | 5.60 | 1.30 | 0.90 |
| 11 | 101-110 | 13.00 | 9.00 | 2.70 | 1.80 | 7.70 | 5.70 | 1.40 | 0.90 |
| 12 | 111-120 | 13.00 | 9.00 | 2.80 | 1.90 | 7.90 | 5.80 | 1.50 | 1.00 |
| 13 | 121-130 | 14.00 | 10.00 | 3.00 | 1.90 | 8.00 | 5.90 | 1.50 | 1.00 |
| 14 | 131-140 | 14.50 | 10.00 | 3.00 | 2.00 | 8.20 | 6.00 | 1.50 | 1.00 |
| 15 | 141-150 | 14.50 | 10.00 | 3.10 | 2.10 | 8.40 | 6.10 | 1.60 | 1.10 |
| 16 | 151-160 | 15.50 | 10.50 | 3.20 | 2.10 | 8.50 | 6.20 | 1.60 | 1.10 |
| 17 | 161-170 | 15.50 | 10.50 | 3.30 | 2.20 | 8.70 | 6.30 | 1.70 | 1.10 |
| 18 | 171-180 | 15.50 | 11.00 | 3.30 | 2.20 | 8.90 | 6.40 | 1.70 | 1.10 |
| 19 | 181-190 | 16.00 | 11.00 | 3.40 | 2.30 | 9.10 | 6.50 | 1.70 | 1.20 |
| 20 | 191-200 | 16.50 | 11.50 | 3.50 | 2.30 | 9.20 | 6.70 | 1.80 | 1.20 |
| 21 | 201-210 | 16.50 | 11.50 | 3.60 | 2.40 | 9.40 | 6.80 | 1.80 | 1.20 |
| 22 | 211-220 | 17.00 | 11.50 | 3.60 | 2.40 | 9.60 | 6.90 | 1.80 | 1.20 |
| 23 | 221-230 | 17.50 | 12.00 | 3.70 | 2.50 | 9.70 | 7.00 | 1.90 | 1.30 |
| 24 | 231-240 | 17.50 | 12.00 | 3.80 | 2.50 | 9.90 | 7.10 | 1.90 | 1.30 |
| 25 | 241-250 | 18.00 | 12.50 | 3.90 | 2.50 | 10.10 | 7.20 | 2.00 | 1.30 |
| 26 | 251-260 | 18.50 | 12.50 | 4.00 | 2.60 | 10.20 | 7.30 | 2.00 | 1.30 |
| 27 | 261-270 | 18.50 | 13.00 | 4.00 | 2.60 | 10.40 | 7.40 | 2.00 | 1.30 |
| 28 | 271-280 | 19.50 | 13.00 | 4.10 | 2.60 | 10.60 | 7.50 | 2.10 | 1.30 |
| 29 | 281-290 | 19.50 | 13.50 | 4.20 | 2.60 | 10.70 | 7.60 | 2.10 | 1.30 |
| 30 | 291-300 | 19.50 | 13.50 | 4.30 | 2.70 | 10.90 | 7.70 | 2.10 | 1.40 |
| 31 | 301-310 | 20.50 | 13.50 | 4.30 | 2.70 | 11.10 | 7.90 | 2.20 | 1.40 |
| 32 | 311-320 | 20.50 | 14.00 | 4.40 | 2.80 | 11.20 | 8.00 | 2.20 | 1.40 |
| 33 | 321-330 | 20.50 | 14.00 | 4.40 | 2.80 | 11.40 | 8.10 | 2.20 | 1.40 |
| 34 | 331-340 | 21.50 | 14.50 | 4.50 | 2.90 | 11.60 | 8.20 | 2.30 | 1.50 |
| 35 | 341-350 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 36 | 351-360 | 21.50 | 15.00 | 4.70 | 3.00 | 11.90 | 8.40 | 2.40 | 1.50 |
| 37 | 361-370 | 22.00 | 15.00 | 4.70 | 3.10 | 12.10 | 8.50 | 2.40 | 1.60 |
| 38 | 371-380 | 22.50 | 15.00 | 4.80 | 3.20 | 12.20 | 8.60 | 2.40 | 1.60 |
| 39 | 381-390 | 22.50 | 15.50 | 4.90 | 3.30 | 12.40 | 8.70 | 2.50 | 1.70 |
| 40 | 391-400 | 23.50 | 15.50 | 5.00 | 3.40 | 12.60 | 8.80 | 2.50 | 1.70 |

* საბაზო ტარიფს ემატება მოსაკრებელი 0,50 ლარი.
** საბაზო ტარიფში I და II კლასისთვის გათვალისწინებულია თეთრეულის საფასური.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს რკინიგზა“

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

2005 წ. 10 ივნისი — ქ. თბილისი — №251/გ

**ახალ სამგზავრო საფირმო მატარებელზე სეზონური სამგზავრო ტარიფების შემოღების შესახებ**

შპს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს 2005 წლის 31 მაისის №18/69 დადგენილების და გენერალური დირექტორის 2005 წლის 3 ივნისის ბრძანება №243/გ-ეს შესრულების მიზნით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შემოღებულ იქნეს 2005 წლის 1 ივლისიდან 21 სექტემბრამდე სეზონური სამგზავრო ტარიფები ახალ საფირმო მატარებელზე თანდართული ცხრილის მიხედვით.
2. დაევალოს სამგზავრო გადაყვანების სამსახურს, დაგეგმვისა და ფინანსური ანალიზის და საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამსახურს ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და წარმოადგინონ დასამტკიცებლად ა. წ. 21 სექტემბრიდან შემოსაღები სამგზავრო ტარიფები.

ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ფილიალ „სამგზავრო გადაყვანების“ დირექტორს (მ. შამუგია).

**გენერალური დირექტორი**
**დ. ონოფრიშვილი.**

**ცხრილი №4**

**საფირმო მატარებელზე მგზავრობის ტარიფი (ლარი, თეთრი) ძალაშია 2005 წლის 1 ივლისიდან**

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1-50 | 23.50 | 15.50 | 7.50 | 13.30 | 9.30 | 5.30 |
| 6 | 51-60 | 23.50 | 16.50 | 7.50 | 13.30 | 9.80 | 5.30 |
| 7 | 61-70 | 24.50 | 16.50 | 7.50 | 13.80 | 9.80 | 5.30 |
| 8 | 71-80 | 24.50 | 16.50 | 4.50 | 13.80 | 9.80 | 5.30 |
| 9 | 81-90 | 25.50 | 17.50 | 7.50 | 14.30 | 10.30 | 5.30 |
| 10 | 91-100 | 25.50 | 17.50 | 7.50 | 14.30 | 10.30 | 5.30 |
| 11 | 101-110 | 26.50 | 17.50 | 7.50 | 14.80 | 10.30 | 5.30 |
| 12 | 111-120 | 26.50 | 17.50 | 8.50 | 14.80 | 10.30 | 5.80 |
| 13 | 121-130 | 27.50 | 18.50 | 8.50 | 15.30 | 10.80 | 5.80 |
| 14 | 131-140 | 28.50 | 18.50 | 8.50 | 15.80 | 10.80 | 5.80 |
| 15 | 141-150 | 28.50 | 18.50 | 8.50 | 15.80 | 10.80 | 5.80 |
| 16 | 151-160 | 28.50 | 19.50 | 8.50 | 16.30 | 11.30 | 5.80 |
| 17 | 161-170 | 29.50 | 19.50 | 8.50 | 16.30 | 11.30 | 5.80 |
| 18 | 171-180 | 30.50 | 19.50 | 9.50 | 16.80 | 11.30 | 6.30 |
| 19 | 181-190 | 30.50 | 19.50 | 9.50 | 16.80 | 11.30 | 6.30 |
| 20 | 191-200 | 31.50 | 20.50 | 9.50 | 17.30 | 11.80 | 6.30 |
| 21 | 201-210 | 31.50 | 20.50 | 9.50 | 17.30 | 11.80 | 6.30 |
| 22 | 211-220 | 32.50 | 20.50 | 9.50 | 17.80 | 11.80 | 6.30 |
| 23 | 221-230 | 32.50 | 21.50 | 9.50 | 17.80 | 12.30 | 6.30 |
| 24 | 231-240 | 33.50 | 21.50 | 9.50 | 18.30 | 12.30 | 6.30 |
| 25 | 241-250 | 34.50 | 21.50 | 10.50 | 18.80 | 12.30 | 6.80 |
| 26 | 251-260 | 34.50 | 21.50 | 10.50 | 18.80 | 12.30 | 6.80 |
| 27 | 261-270 | 35.50 | 22.50 | 10.50 | 19.30 | 12.80 | 6.80 |
| 28 | 271-280 | 35.50 | 22.50 | 10.50 | 19.30 | 12.80 | 6.80 |
| 29 | 281-290 | 36.50 | 22.50 | 10.50 | 19.80 | 12.80 | 6.80 |
| 30 | 291-300 | 36.50 | 23.50 | 10.50 | 19.80 | 13.30 | 6.80 |
| 31 | 301-310 | 37.50 | 23.50 | 10.50 | 20.30 | 13.30 | 6.80 |
| 32 | 311-320 | 37.50 | 23.50 | 11.50 | 20.30 | 13.30 | 7.30 |
| 33 | 321-330 | 38.50 | 23.50 | 11.50 | 20.80 | 13.30 | 7.30 |
| 34 | 331-340 | 38.50 | 24.50 | 11.50 | 20.80 | 13.80 | 7.30 |
| 35 | 341-350 | 39.50 | 24.50 | 11.50 | 21.30 | 13.80 | 7.30 |
| 36 | 351-360 | 40.50 | 24.50 | 11.50 | 21.80 | 13.80 | 7.30 |
| 37 | 361-370 | 40.50 | 25.50 | 11.50 | 21.80 | 14.30 | 7.30 |
| 38 | 371-380 | 41.50 | 25.50 | 11.50 | 22.30 | 14.30 | 7.30 |
| 39 | 381-390 | 41.50 | 25.50 | 12.50 | 22.30 | 14.30 | 7.80 |
| 40 | 391-400 | 42.50 | 25.50 | 12.50 | 22.80 | 14.30 | 7.80 |

* ტარიფს ემატება მოსაკრებელი 0,50 ლარი.
** ტარიფში I და II კლასის ვაგონებისთვის გათვალისწინებულია კვების საფასური.
*** ტარიფში გათვალისწინებულია თეთრეულის საფასური.

**შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს კონკურსს თბილისი-ბათუმის დანიშნულებით მოძრავი საფირმო მატარებლის I და II კლასის ვაგონის მგზავრთა კვებაზე, მსურველებმა ა. წ. 20 ივნისამდე წარმოადგინეთ თქვენი წინადადებები და კვების პროდუქტების ნიმუშები ფასის მითითებით.**

**შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს კონკურსს თბილისი-ბათუმის დანიშნულებით მოძრავი საფირმო მატარებლის მგზავრთა მაღალი ხარისხის თეთრეულით მომარაგებაზე. მსურველებმა ა. წ. 20 ივნისამდე წარმოადგინეთ თქვენი წინადადებები და თეთრეულის ნიმუშები ფასის მიხედვით.**

◎ პოზიცია

# ამას შთამომავლობა არ გვაპატიებს

## მიწის გაყიდვით ჩვენი მოსახლეობა სხვისი ხელების შემყურე და მონა-მორჩილი გახდება

**სახელმწიფო სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვა-გასხვისების შესახებ შემუშავებულ კანონპროექტს დიდი წინააღმდეგობა შეხვდა საზოგადოებაში, თუმცა პარლამენტი მიიღებს ამას მხედველობაში თუ არა, კაცმა არ იცის: ჩვენში ხომ თითქმის დაკანონდა: ამკვიდრებენ იმას, რაც მასას, უმრავლესობას არ მოსწონს.**

ამას წინათ ხსენებულ საკითხზე თავისი მოსაზრება და უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წლიურ საერთო კრებაზეც. როგორც ორატორებმა აღნიშნეს, კანონპროექტი ითვალისწინებს სახელმწიფო საკუთრებაში მთლიანად არსებული მიწების, მათ შორის იჯარით გაცემული მიწების მიყიდვასაც არა მარტო საქართველოს მოქალაქეებისთვის, არამედ საქართველოში რეგისტრირებულ ნებისმიერი ქვეყნის კერძო სამართლის იურიდიული პირისთვის. კანონპროექტი მოსახლეობის, მეცნიერებისა და მასმედიის აზრის გაუთვალისწინებლად განიხილა საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 22-23 მარტს და პირველი მოსმენით დაუბრკოლებლად მიიღო, ახლა კი უნდათ, რომ იგი საბოლოოდ დამტკიცდეს და განხორციელდეს.



ითქვას, რომ სახელმწიფო გარკვეულ ტერიტორიასაც გულისხმობს, უმიწო სახელმწიფო არ არსებობს. სახელმწიფო ყველანაირი სახის მიწის მესაკუთრედ უნდა დარჩეს. მიწის მოიჯარეებზე უნდა დაწესდეს კონტროლი, თუ მოიჯარე რაციონალურად ვერ გამოიყენებს მიწას, იგი უნდა ჩამოერთვას და სხვას გადაეცეს. მოიჯარეს შეიძლება მხოლოდ იჯარის გაყიდვის უფლება დარჩეს და არა მიწისა.

აღნიშნული კანონპროექტის დამტკიცება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს არსებობას.

საქართველო, შვეიცარიასთან ერთად, იუნესკოს მიერ შეტანილია მსოფლიოს იმ ათ სახელმწიფოთა ნუსხაში, სადაც ადამიანის ცხოვრებისთვის ყველაზე საუკეთესო ბუნებრივი პირობები არსებობს. ამის გამო, ზემოხსენებული პროექტის დამტკიცებიდან სულ მოკლე ხანში, საქართველოს მიწები პირწმინდად გაიყიდება და ჩვენი მოსახლეობა სხვისი ხელის შემყურე და მონა-მორჩილი გახდება. ეს იქნება ღმერთისა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი უდიდესი ცოდვა და დანაშაული, რასაც შთამომავლობა არასოდეს გვაპატიებს, — ასე მიაჩნიათ მეცნიერებს.

**მიხეილ შუბითიძე.**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართული ვაზის და ბელორუსული კარტოფილის ომი

**ბარეშე თვალისთვის სასეიროდაც კი გამოიყურება ბელორუსიასა და საქართველოს შორის ატეხილი სავიზო ომი. ბელორუსიის მხარის პოზიცია გაახმოვანა ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი მარტინოვმა, რომელმაც განაცხადა, რომ მინსკი არ დაუშვებს რევოლუციის ექსპორტს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გულწრფელი განცხადებაა და მინისტრი ასახელებს კიდეც იმ მიზეზს, რომელიც გახდა ბიშკეკის შეთანხმებიდან მინსკის გამოსვლის საბაბი (ეს შეთანხმება განსაზღვრავს დსთ-ს ქვეყნებს შორის უვიზო რეჟიმს). საქართველოს პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის მეთაური კონსტანტინე გაბაშვილი კი აღნიშნავს, რომ არ შემოიღებენ სანქციებს ლუკაშენკოს წინააღმდეგ, თუ იგი უარს იტყვის სავიზო რეჟიმის შემოღებაზე.**

ბატონმა გაბაშვილმა, როგორც ჩანს, აშკარად არ მოისურვა მოესმინა ის, რაც თქვა ბელორუსმა მინისტრმა. არადა, მან ხომ მოახდინა რეაგირება საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის იდეაზე, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში რევოლუციების გზით მმართველი ელიტის დამხობის საქმეში ახლა უკვე ბელორუსიის ჯერი დადგა. მინსკი თავს იცავს. სასაცილო იქნება იმის მოთხოვნა, რომ ლუკაშენკო სხვანაირად მოიქცეს. ვფიქრობ, რომ სააკაშვილიც გამოვიდოდა ბიშკეკის შეთანხმებიდან, ლუკაშენკო თუ განაცხადებდა, რომ გახდებოდა თბილისში ედუარდ შევარდნაძის რეჟიმის რესტავრაციის პროცესის ინიციატორი. რას გააწყობ, ომი ომია.

თუმცა, ეს ომი ცოტა უცნაურად გამოიყურება — თითქოს ვაზი ეომებოდეს კარტოფილს. ეს ორივე კულტურა სხვადასხვა პირობებში მოჰყავთ და ჩვენს მენიუშიც მათ სხვადასხვა ადგილი უკავიათ. ერთი სიტყვით, ძნელი სათქმელია, თუ სად შეხვდებიან ისინი ერთმანეთს. საქართველო და ბელორუსი კი ერთმანეთს ხვდებიან უმაღლეს დონეზე წელიწადში ერთხელ, თანამეგობრობის სამიტების დროს. ამ ქვეყნების საერთო ინტერესების სფერო ძალზე მცირეა, ისევე როგორც ვაჭრობის მოცულობა. საქართველოსა და ბელორუსიის მოქალაქეებიც ერთმანეთთან მხოლოდ წელიწადში ერთხელ თუ ჩავლენ. პოლონეთში კი, ქვეყანაში, რომლის ვიზაც უნდა იყიდო, ბელორუსები უფრო ხშირად ჩადიან, თუმცა, ლუკაშენკო და კვასნევსკი ერთმანეთს კიდევ უფრო იშვიათად ხვდებიან, ვიდრე ლუკაშენკო და სააკაშვილი.

ფორმალურად, ბელორუსიის ხელმძღვანელობა მართალია: ვაშენებთ მოკავშირე სახელმწიფოს რუსეთთან — გვჭირდება კანონმდებლობის უნიფიცირებაც, მათ შორის სავიზო კანონმდებლობისაც. რატომ ალაპარაკდნენ ამ საკითხზე მხოლოდ ახლა? იმიტომ რომ, წინათ ამის დრო არ ჰქონდათ. მაგრამ საქართველოს მხარეც არ სტყუის: კავშირი კავშირად დარჩეს, მაგრამ სავიზო რეჟიმის შემოღება ვერანაირად ვერ შეუწყობს ხელს იმ თანამეგობრობის განმტკიცებას, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკები შედიან. უფრო მეტიც, ხელს შეუწყობს მის დანგრევას.

იქნებ, მთელი საქმე ის არის, რომ კავშირი ჯერ არ ჩამოყალიბებულა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა კი უკვე აღარ არსებობს?

აღსანიშნავია, რომ ამ კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარეს არც რუსეთი დავიწყებია. ჩინებული საჩუქარია 12 ივნისის დღესასწაულისთვის. გაგანია „სავიზო ომის“ დროს, ტელეარხ „როსიას“ ეთერით გადაიცა ალექსანდრე ხრაბროვის ფილმი, რომლის ავტორიც ვერ მალავდა უდიდეს გულისტკივილს რუსეთის და საქართველოს პოლიტიკურ ელიტებს შორის გაუარესებული ურთიერთობის გამო, და აცხადებდა, რომ ხალხებს სურთ მშვიდობიანი ცხოვრება.

ყველაზე საინტერესოა ის, რომ ამ ფილმის ავტორიც არ ცდება. ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ რაღაც ამის მსგავსი ფილმი ბელორუსიის ტელევიზიამაც უჩვენოს. ეს იქნებოდა იმის ნიშანი, რომ ბელორუსია-საქართველოს ურთიერთობამ მიაღწია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მაღალ დონეს. ოღონდ, ერთი პატარა განსხვავებით: საქართველოს და რუსეთს ჰქონდათ მიზეზი კონფლიქტის გაჩაღებისთვის, (მაგალითად, სამხედრო ბაზები), მაგრამ ბელორუსიას რა აქვს გასაყოფი საქართველოსთან?

არა უშავს, ღვინო თუ აღარ გვექნება, ბელორუსები კარტოფილის თვითნახადი არყითაც დავკმაყოფილდებით. ეს ხომ ჩვენთვის უცხო ხილი არ არის.

**ალექსანდრე ფედუტა,**
**მინსკი. „იზვესტია“, 16 ივნისი.**

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

◎ ინფორმაცია

## კორუმპირებულებს ჩაქუჩითა და უროთი ემუქრებიან

**„ქრთამის ამღებს თითებში მოხვდება ჩაქუჩი და თავში დიდი ურო“, — აცხადებს სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი დავით მესხიშვილი. მისი ინიციატივით, 500-ლარიანი პრემია გადაეცა ინსპექციის ორ თანამშრომელს — რეგიონალური სამმართველოს უფროსს რევაზ კობახიძესა და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის სამმართველოს ბათუმის განყოფილების ხელმძღვანელს ირაკლი ბარამიძეს, რომელთაც სამსახურში მიღების მიზნით, ქრთამი შესთავაზეს. ორივე მათგანმა შეთავაზებულ თანხაზე უარი განაცხადა და ოპერატიულად მიმართა საპატრულო პოლიციას.**

**მესხიშვილი არ გამორიცხავს, რომ მის თანამშრომელთა ცდუნებას შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი ცდილობდა. მისი განცხადებით, ამჟამად გამოძიება მიმდინარეობს.**

**„ერთი რამ დაზუსტებით მინდა განვაცხადო, ფული, რომელიც ჩვენს თანამშრომლებს დაუგდეს, დანიშნული არ ყოფილა“, — თქვა დავით მესხიშვილმა.**

## ექსპერტთა ჯგუფი — საქართველოში

**ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო საქართველოში ინსპექციას გზავნის. სააგენტოს ექსპერტთა ინსპექციის მიზანია, გაირკვეს გაუჩინარებული მასალების საკითხი, რომელიც ატომური იარაღის შესაქმნელად შეიძლება გამოიყენონ. ლაპარაკია რადიოაქტიურ მასალებზე, რომლებიც გაურკვეველი რაოდენობით გაქრა საბჭოთა კავშირის დაშლის დროს.**

**წყარო არ ასახელებს სააგენტოს ინსპექციის ჩატარების ვადებს საქართველოსა და აფხაზეთში.**

**სააგენტოს სამდივნო არც ადასტურებს და არც უარყოფს ამ ინფორმაციას.**

**მედიანიუსი.**

◎ დაიჯესტი

# დიდი სექს-საზრუნავი

**გერმანია, როგორც ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი, მარტო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ნაკრებებისა და უამრავი ტურისტის მისაღებად კი არ ემზადება, არამედ მეძავთა მრავალათასიანი ლაშქრის შემოსევისთვისაც. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, იმ დროს ქვეყანაში სულ ცოტა 40 ათასი უცხოელი მეძავი შემოვა. როგორც ცნობილია, პროსტიტუცია გერმანიაში ლეგალიზებულია, მაგრამ სად უნდა მოემსახურონ ისინი სექსსდახარბებულ კლიენტებს, ჯერჯერობით მოუგვარებელია, თუმცა მას კარგი შემოსავლის მოტანა შეუძლია.**

იმ 12 ქალაქიდან, სადაც ჩემპიონატის მატჩები უნდა გაიმართოს, დორტმუნდმა უკვე გადადგა ნაბიჯები ამ საქმის მოსაწესრიგებლად. როგორც მერიის წარმომადგენელმა აღნიშნა, ქალაქში არის „წითელი ფანრების“ ოფიციალური რაიონი, მაგრამ ადგილი იქ ყველას არ ეყოფა.



ამიტომაც მერიამ გადაწყვიტა, იზრუნოს გერმანიის სტუმრების უსაფრთხოებისთვის, რათა მათ დაუცველად არ იგრძნონ თავი ქალაქის ქუჩებში სექსის დროს, თანაც ადგილობრივი მცხოვრებლებიც აარიდონ მათი ფანჯრების ქვეშ ვნებიანი კვნესისა და კივილის მოსმენის უსიამოვნებებს.

დორტმუნდის ხელისუფალთა გადაწყვეტილებით, ქალაქში აიგება ხის რამდენიმე „სექს-ქოხი“, რომლის დაქირავება შესაძლო იქნება სწორედ კონკრეტული მიზნით, იქვე, გვერდით იქნება კარავსასაუზმეები და პრეზერვატივების სავაჭროები. ასეთი ზრუნვის მიუხედავად, ქალაქის მესვეურთ მიაჩნიათ, რომ მაინც ბევრი იქნება ისეთი სტუმარი, ვინც სექსს ბუჩქებში, ხიდქვეშ ან ტყეში ამჯობინებს.

◎ რეაქცია

# როცა ურემი გადაბრუნდა

**საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ფილიპ ლეფორმა გუშინ პატივი დაგვდო და იმ პრესკონფერენციაზე მიგვიწვია, სადაც ჩვენი ქვეყნის ფრენბურთელ ქალთა ეროვნული ნაკრებისთვის შვედეთის ვიზების გაცემაზე უარის თქმის მიზეზები უნდა განემარტა.**

როგორც საუბრისას გაირკვა, მომხდარი გარკვეულწილად ფრენბურთის ფედერაციის სიზანტემ განაპირობა, რომელსაც მიწვევა სკანდინავიიდან აპრილის ბოლოს მიუღია, მაგრამ ვიზების მოთხოვნით საფრანგეთის საელჩოსთვის ივნისის დასაწყისში მიუმართავს. „ფედერაციის პრეზიდენტი ამტკიცებს, თითქოს ადრეც მოსულა, მაგრამ ვერ შემხვედრია. ეს გამორიცხულია — ჩვენი თანამშრომლები უყურადღებოდ არავის ტოვებენ და სატელეფონო ზარის შემდეგ ორ-სამ დღეში ცდილობენ, ყველანი მიიღონ გასაუბრებაზე. ამის გადამოწმება ნებისმიერ თქვენგანს შეუძლია“, — განაცხადა მუსიე ლეფორმა.

საკითხის უარყოფითად გადაწყვეტას ხელი, თურმე, დელეგაციის ცალკეულ წევრთა საბუთებში აღმოჩენილმა დარღვევებმაც შეუწყო — ერთ-ერთს, მაგალითად, პრობლემა გვარის გამოცვლამ შეუქმნა. „როცა სიტუაცია გაირკვა, ქართულ მხარეს ვურჩიე, მიემართა შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის ან ამ ქვეყნის მოსკოვის საელჩოსათვის, მაგრამ ისინი ასე არ მოიქცნენ“, — ესეც ფრანგი ელჩის სიტყვები გახლავთ.



რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩზე ჩაუსვლელობით მოყენებულ ზარალს, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციას უფლება აქვს, მის ასანაზღაურებლად საფრანგეთის სასამართლოს მიმართოს, — დაგვაკვალიანა დიპლომატმა. მანვე დასასრულ ყურადღება ტურისტულ ფირმებზეც გაამახვილა, რომლებიც თაღლითობით ცდილობენ გამდიდრებას.

**გია პლატონიშვილი.**

◎ კალათბურთი

# უკრაინა ყველას იზიდავს

**დღეს პრეზიდენტი სააკაშვილი კიევიდან სამშობლოში ბრუნდება, თუმცა მეგობარ სახელმწიფოში მორიგი ქართული დესანტი დღესვე ოპერატიულად გადასხდება — უკრაინის დედაქალაქში იქაურ თანატოლებთან ორი ამხანაგური მატჩის გასამართავად ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები (მთავარი მწვრთნელი — ნუგზარ კანდელაკი) მიემგზავრება.**

მოგეხსენებათ, ივლისში ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ვარნაში „ჯვაროსნები“ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში იასპარეზებენ, ამდენად, სლავური ვიზიტი მომავალი მწვავე ბატალიების წინ გენერალურ რეპეტიციად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ მოწვეულ პრესკონფერენციაზე გუნდის თავკაცმა და მისმა თანაშემწეებმა — მიხეილ კობეშავიძემ და დავით უსტიაშვილმა, შეძლებისდაგვარად, დააკმაყოფილეს პრესის ინტერესი:

— კიევში ვერ მოდიან მარკოიშვილი (მას დღეს იტალიის ჩემპიონატის ფინალური მატჩი აქვს), დიდია, რომელიც საფრანგეთიდან ტრავმით ჩამოვიდა და იარას იშუშებს, ჩავლეიშვილი — იგი პირველივე ვარჯიშზე დაშავდა, და ბოლქვაძე, რომელსაც მენისკი აწუხებს, თუმცა მეტ-ნაკლებად ოპტიმალურ შემადგენლობას მაინც მოვუყარეთ თავი. მადლობას ვუხდით იმ ბიჭებს, ვინც ამჯერად განაცხადში ვერ მოხვდა — მათი დამსახურებაა, რომ ნაკრებში ჯანსაღი კონკურენციაა. გპირდებით — თბილისში დარჩენილებს შანსი უკრაინიდან დაბრუნებისთანავე მიეცემათ.



არის ვარიანტი, რომ კიევში ბელორუსიის ახალგაზრდული ნაკრებიც შემოგვიერთდეს და ოთხთა ტურნირი მოეწყოს (მეოთხე — უკრაინის 1986 წელს დაბადებულთა გუნდი იქნება), რაც, დაგვეთანხმებით, უკეთესი სკოლა იქნება. სამაგიეროდ, საბოლოოდ გამოირიცხა ლიტვაში წასვლა, სადაც რიმას კურტინაიტისი გვეპატიჟებოდა იქაურ თანატოლებთან სპარინგ-შეხვედრების მოსაწყობად. წინასწარი შეთანხმების თანახმად, მგზავრობის ხარჯები ბალტიისპირელებს უნდა დაეფარათ, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ვითარება შეიცვალა. ბუნებრივია, უარი შევუთვალეთ.

აღსანიშნავია, რომ ძირითად საკითხში ერთმანეთს დაემთხვა ჩვენი და ახლახან თბილისში მყოფი ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის გორდონ ჰერბერტის შეხედულებები — ამიერიდან აქცენტს დაცვაში ხისტ თამაშზე გავაკეთებთ.

◎ ფეხბურთი

# პრობლემებს რა გამოლევს

**კონფედერაციათა თასის გათამაშებას თავიდან მისი მონაწილენიც კი ზერელედ უდგებოდნენ, მაგრამ წლევანდელს ასეთი ხვედრი არ ელის — თამაშები ხომ გერმანიის სწორედ იმ სტადიონებზე იმართება, სადაც გაისად „მუნდიალის“ მთავარი მოვლენები უნდა განვითარდეს.**



სარეპეტიციო დატვირთვასთან ერთად, ალბათ, ფიფას მოთხოვნის ტოლფასმა რეკომენდაციამაც იმოქმედა — გუნდები ტურნირზე მეტ-ნაკლებად ოპტიმალური შემადგენლობებით ჩავიდნენ და პირველივე სათამაშო დღეს ისეთი სანახაობა შემოგვთავაზეს, გულშემატკივარი მოსაწყენად რომ ვერ მოიცლის — „ა“ ჯგუფის ორ მატჩში 10 (!) გოლი გავიდა.

ეს განსაკუთრებით მასპინძელთა და ავსტრალიელთა შეხვედრაზე ითქმის, სადაც კიდევ ერთხელ გამჟღავნდა მომავალი ფორუმის ერთ-ერთი ფავორიტის უკანახაზელთა და, რაც არ უნდა საოცარი იყოს, მეკარის პრობლემები — „მწვანე კონტინენტის“ წარმომადგენლებმა რამდენი გააზრებული შეტევაც დამაგვირგვინებელ დარტყმამდე მიიყვანეს, იმდენივე გოლი გაუტანეს ოლივერ კანს (სკოკო, ალოიზი — 2). ასეთ ფონზე კაცს ძნელად თუ მოგიბრუნდება ენა კლინსმანის გუნდის მოიერიშეთა გასაკრიტიკებლად — მათ ხომ მეტოქეზე ერთით მეტი ზუსტი დარტყმა შეასრულეს (კურანი, მერტესაკერი, ბალაკი — პენალტით და პოდოლსკი) და გაიმარჯვეს — 4:3, მაგრამ მაინც — გერმანიისგან ხომ ყველა გაცილებით მეტს მოელის.

რაც შეეხება სამხრეთამერიკულ-აფრიკულ დუელს, არგენტინელები, ტრადიციისამებრ, საკუთარი და ტრიბუნების სიამოვნებისთვის ზრუნავდნენ, ტუნისელები კი, რომელთაც „ევრო-2000-ის ფრანგი ტრიუმფატორი როჟე ლემერი თავკაცობს, მონდომებით იბრძოდნენ. გემოვნებათა ჭიდილში წარმატებას რომანტიკოსებმა მიაღწიეს — 2:1 (რიკელმე — პენალტით, სავიოლა; გუმაგნია — პენალტით), თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მათ გამარჯვებაში ხელი გვარიანად შეუწყვეს „შავი კონტინენტის“ შვილებმა — მათ ხომ 0:0-ზე პენალტი ვერ გაიტანეს.

და ბოლოს — მსაჯობა. მთელ რიგ ეპიზოდებში დადასტურდა, რომ თემიდის მსახურთა საკითხი კიდევ უფრო აქტუალური ხდება.

**გია პლატონიშვილი.**

◎ ლაურეატები

# „კობის“ სეზონი — მეორედ

**პოპულარულ სპორტულ გაზეთ „სარბიელის“ მეცამეტე რეფერენდუმის გამარჯვებული მეორედ გახდა ბუნდესლიგის ვიცე-ჩემპიონ „შალკეს“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან კობიაშვილი, რომელიც 1999-2000 წლების სეზონშიც იყო საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი. შეგახსენებთ, ტრადიციული გამოკითხვის დანარჩენ ლაურეატთა ვინაობასაც: კახი კალაძე (სამჯერ), გიორგი ქინქლაძე (ორჯერ), შოთა არველაძე (ორჯერ), აკაკი დევაძე, თემურ ქეცბაია, ზაზა ჯანაშია და ალექსანდრე იაშვილი.**

ამჯერად „კობიმ“ 202 ქულა მოაგროვა, მისმა მთავარმა კონკურენტმა მალხაზ ასათიანმა (მოსკოვის „ლოკომოტივი“) კი — 184 ქულა. საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი კახი კალაძე წლეულს მესამეა — 29 ქულა.

**„საქართველოს რესპუბლიკის“** ვერსია: კობიაშვილი, ასათიანი, არველაძე.

დავძენთ, რომ ჟურნალისტებმა რჩეულთა შორის კიდევ თერთმეტი თანამემამულე დაასახელეს: ქეცბაია („ანორთოსისი“) — 10, არველაძე („რეინჯერსი“) — 9, ხიზანეიშვილი („ფრაიბურგი“) — 2, გოგუა („ხიმკი“), დარასელია („ალანია“), დევაძე (თბილისის „სპარტაკი“), დემეტრაძე (დონეცკის „მეტალურგი“), იაშვილი („ფრაიბურგი“), სტურუა (თბილისის „ლოკომოტივი“), ქემოკლიძე („თბილისი“) და ხიზანიშვილი („რეინჯერსი“) — თითო ქულა.

როგორც ყოველთვის, „სარბიელის“ ეგიდით XVI ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელიც გამოვლინდა — ესაა თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი **ლევან მელქაძე** — 113 ქულა. რკინიგზელთა მეკარე ზვიად სტურუას მონაგარი 104 ქულაა, კიდევ ერთმა დინამოელმა დავით ოდიკაძემ კი 96 ქულით მესამე პოზიცია დაიკავა.

**„საქართველოს რესპუბლიკის“** ვერსია: სტურუა, ოდიკაძე, მელქაძე.

დანარჩენი დასახელებულნი: მეგრელაძე („ტორპედო“) — 22, განუგრავა („ზესტაფონი“) — 16, ზოიძე, ნემსაძე (ორივე „დინამო“), ქემოკლიძე („თბილისი“)— 10-10, გოგუა („თბილისი“), კანკავა („დინამო“), გამეზარდაშვილი („ტორპედო“) — 9-9, იონანიძე („ზესტაფონი“) — 6, სირბილაძე, ბობოხიძე (ორივე „ლოკომოტივი“) — 5-5, ფიფია („თბილისი“) — 4, ბაბუნაშვილი („დინამო“) — 2, მერლანი („ტორპედო“), სილაგაძე („დინამო“), ჩხეტიანი („ზესტაფონი“) — თითო ქულა.

გასართობ ცენტრ „ბერიკონში“ გამართულ ღონისძიებაზე საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის მიერ მოწყობილი ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგებიც გამოცხადდა: **საუკეთესო მეკარე** — ზვიად სტურუა, **საუკეთესო მცველი** — რევაზ ქემოკლიძე, **საუკეთესო ნახევარმცველი** — დავით ოდიკაძე, **საუკეთესო თავდამსხმელი** და **ბომბარდირი** ლევან მელქაძე, **საუკეთესო მწვრთნელი** — ნოდარ აკობია („ლოკომოტივი“), **საუკეთესო მსაჯი** — ლევან ფანიაშვილი, **სეზონის აღმოჩენა** — გიორგი განუგრავა. ქართული ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის პრიზები გადაეცათ ტელეკომპანიებს „რუსთავი 2“, „იმედი“ და „პირველი სტერეო“, ხოლო კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა ქართული ფეხბურთის დახმარებისათვის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა „კოკა-კოლა“, „ჯეოსელი“ და „საქართველოს ბანკი“.



◎ მინიფეხბურთი

# უფროსი მეგობრის გასახსენებლად

**გუშინ ვაკეში „ირაოს“ სტადიონზე ზაზა დარასელის ხსოვნისადმი მიძღვნილი მინიფეხბურთელთა მე-5 ტურნირი დაიწყო. შეჯიბრებაში რვა გუნდი მონაწილეობს. პირველ ტურში „რუსთავი-2“-ის ფეხბურთელებმა სარბიელელებს სძლიეს 6:3. „იმედმა“ „II არხი“ დაამარცხა 9:3, „მზემ“ „ბოცვაძელებს“ აჯობა 2:0, ხოლო მთავარი ტელევიზიის წარმომადგენლებმა აფხაზეთის ტელევიზიის გუნდს დააყრევინეს ფარ-ხმალი 6:2.**

— მე და ზაზა დარასელს კარგი ურთიერთობა გვქონდა, — გვითხრა დიმა ობოლაძემ, რომელმაც პირველსავე მატჩში სამი გოლი გაუტანა „სარბიელს“. — ბატონ ზაზას ძალიან უყვარდა ფეხბურთი, ამიტომ საშური საქმე გააკეთეს ორგანიზატორებმა მისი ხსოვნის ტურნირის დაფუძნებით. ჩვენ, ჟურნალისტებს, საშუალება გვეძლევა, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ უფროსი მეგობარი და ერთმანეთთან ურთიერთობაც განვამტკიცოთ.

— დიდი მადლობა ბატონ გოჩა ხუნდაძეს და სერგო კიკალიშვილს, რომლებმაც ამ ტურნირის დაარსებით ბიძაჩემს სიცოცხლე გაუხანგრძლივეს. — ეს სიტყვები ზაზა დარასელის ძმისშვილს — ვანოს ეკუთვნის. იგი ბოცვაძელთა გუნდის ღირსებას იცავდა...

დღეს მეორე ტურის შეხვედრები გაიმართება.

**ნათია სამხარაძე.**

◎ სპორტულ ორბიტაზე

## ფურთხისგან ანთებული ხანძარი

**ფეხბურთზე ხულიგნობის „წიგნში“ ახალი ფურცელი გადაიშალა „ლიბერტადორესის“ თასის მეოთხედფინალში არგენტინის „ბოკა ხუნიორსისა“ და მექსიკური „გვადალახარას“ განმეორებითი შეხვედრის მსვლელობისას.**

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ის ბოლომდე არ უთამაშიათ. როგორც ხშირად ხდება, ყველაფერი გულშემატკივრებს გადააბრალეს, ამ შემთხვევაში „ბოკა ხუნიორსის“ ქომაგებს. თუმცა ყველაფერში „დამნაშავენი“ თავად მექსიკელები არიან. მათ ხომ გამანადგურებელი ანგარიშით — 4:0 — დაამარცხეს სტუმრად ჩასული მეტოქე.

განმეორებით მეოთხედფინალურ მატჩზე, ბუნებრივია, არგენტინელებს რევანშის აღება სწყუროდათ, მაგრამ დიდხანს ვერცერთმა გუნდმა ვერ შეძლო გოლის გატანა. ასე გაგრძელდა 79-ე წუთამდე, როდესაც „გვადალახარას“ თავდამსხმელი ადოლფო ბაუტისტა მეტოქესთან ბურთისთვის ბრძოლისას გაზონზე წაიქცა. მას არგენტინელი ფეხბურთელები მისცვივდნენ და სიმულაციაში დაადანაშაულეს. ბაუტისტასთან ურთიერთობის გარკვევაში განსაკუთრებით აქტიურობდა არგენტინელთა ფორვარდი მარტინ პალერმო. ბოლოს მსაჯმა ორივე გააძევა მინდვრიდან, პალერმომ უარი თქვა დაუყოვნებლივ მინდვრის დატოვებაზე, შეაფურთხა მსაჯს და თავი დაარტყა გაძევებულ ბაუტისტას.



ამ ეპიზოდმა გააცეცხლა არგენტინელი გულშემატკივრები, მათ მექსიკელებს ხელთმოხვედრილი საგნები დაუშინეს, გაუშვეს მაშხალები. ერთ-ერთი საგანი მოხვდა მინდვრიდან გასულ ბაუტისტასაც.

შეხვედრის მსაჯმა, ურუგვაელმა მარტინ ვასკესმა მატჩი შეაჩერა და ბრბოს დამშვიდებას დაელოდა. ოცი წუთის შემდეგ კი, როცა არგენტინელმა ქომაგებმა სტუმართა მეკარეს ხესუს კორონას შეუტიეს, მსაჯმა მატჩი საბოლოოდ შეწყვიტა. არგენტინული კლუბის დასჯის შესახებ, ალბათ, უახლოეს დღეებში შევიტყობთ.

## ქორწილია, ქორწილი!..

**ნამდვილმა საქორწინო ციებ-ცხელებამ მოიცვა იტალიის საფეხბურთო სამყარო.**

ნავსი გატყდა და შაბათს რამდენიმეწლიანი ურთიერთობის შემდეგ ოფიციალური ქორწინებით შეუღლდებიან რომის „ლაციოს“ თავდამსხმელი ფაბიო ბაცანი და ცნობილი იტალიელი ფოტომოდელი ალესია მერცი **(სურათზე)**. მათ განაცხადეს, რომ მათი ქორწილი არ იქნება ფოტოგრაფების სასეირო. მოპატიჟებულნი მხოლოდ უახლოესი მეგობრები არიან.

დიდი დროსტარების იმედი ბევრს გაუცრუა ალესანდრო დელ პიერომ. ფიქრობდნენ, რომ მისი ქორწილი სონია ამორუზოსთან 18 ივნისს გაიმართებოდა, მაგრამ მათ უკვე მოასწრეს შეუღლება ათიოდე სტუმრის თანდასწრებით.



ტბა კომოს მახლობლად გაიმართება „იუვენტუსის“ კიდევ ერთი ფეხბურთელის ჯანლუკა ძამბეროტასა და მისი რჩეულის ვალენტინას ქორწილი. სხვათა შორის, მათ ჯვრისწერას ესტუმრება ცნობილი მსახიობი ჟორჟ კლუნი.

კვირას კი დიდი ზარზეიმით აღინიშნება ფრანჩესკო ტოტისა და ილარი ბლაზის შეუღლება. თერთმეტი ტელეკამერა გადასცემს პირდაპირ ეთერში ამ საზეიმო ცერემონიას. ტელეტრანსლაციის უფლების გაყიდვით შემოსული თანხა კი უპატრონო ძაღლების თავშესაფარს გადაეცემა (?!).

წინ კიდევ ბევრი საფეხბურთო ქორწილია, ღმერთმა აბედნიეროთ!

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



რუსული ენის მასწავლებელთა რესპუბლიკური სემინარის მონაწილენი პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ეზოში. ცენტრში – განათლების დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი ალექსანდრე დონაძე, რომელსაც ამ დღეებში დაბადებიდან ასი წელი შეუსრულდებოდა.

გადაღებულია გასული საუკუნის 60-იან წლებში.

ფოტო საოჯახო ალბომიდან მოგვაწოდა რევაზ დონაძემ.

## გიხაროდენ!

# – „მე მოვედი!" – ამბობს ჩვილი

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.



**– „მე მოვედი!..." უკვე მერამდენედ გვამცნო ახალშობილმა თბილისის ექსპერიმენტულ სამშობიარო სახლში (მდებარეობს 300 არაგველის მეტროსთან).**

– ივნისის ორ კვირაში ჩვენთან 28 ბავშვი დაიბადა, 17 ბიჭი და 11 გოგო. გუშინ დილით ბიჭი შეეძინა გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში მცხოვრებ თამარ ჩაჩანიძეს, გოგო კი სოხუმიდან დევნილ ნინო ჩარგაზია-ლომთათიძეს.

ჩვილის პირველი წამოტირებით დედა იგებს შვილის დაბადებას, ეზოში მომლოდინე ბავშვის მამის და მახლობლების სიხარულს ხომ საზღვარი არა აქვს. ბევრი ჯანმრთელი გაეწერა. ჯერჯერობით ჩვენთან მყოფთ ყურადღება არ მოაკლდებათ, – გვაცნობეს სამშობიარო სახლიდან მედდებმა ნანა ციცხვაიამ და ნარგიზი ცუცქირიძემ.

## ცოტაც გავიღიმოთ...



— არ მომწონს ეს ფოტოები, მაიმუნს ვგავარ.

— ამაზე სურათის გადაღებამდე უნდა გეფიქრათ.

* * *

— ოფიციანტო, ჩემ წვნიანში ბუზია!

— ნუ ნერვიულობთ, ეს დაწესებულების ხარჯზეა.

* * *

განგსტერები ბანკის გასაძარცვავად შევიდნენ. შესასვლელში ერთი თანამზრახველი დატოვეს. როდესაც ფულით სავსე ტომრებით გარეთ გამოვიდნენ, ბანდის მეთაური ეკითხება გარეთ დარჩენილს:

— ყველაფერი რიგზეა?

— არა. მილიციას, როგორც ყოველთვის, სძინავს და ქურდებმა ჩვენი მანქანა გაიტაცეს!

* * *

ბიჭი წერს სასკოლო დავალებას თემაზე „მამაჩემი": „მამაჩემი ყველაზე ძლიერი, ღონიერი და გაბედულია. საჭიროებისას მას შეუძლია ნიანგებით სავსე ყველაზე განიერი მდინარის გადაცურვა, ყოველგვარი დაზღვევის გარეშე ყველაზე მაღალ მწვერვალზე ასვლა და შიშველი ხელებით დათვის დამარცხება. შინ კი იგი, ჩვეულებრივ, რეცხავს ჭურჭელს, წინდებს და ნაგავს ყრის".

* * *

განცხადება: „ახალგაზრდა ხარ? განათლებული და კომუნიკაბელური? გინდა თვეში სამი ათასი დოლარის გამომუშავება? გსურს საზღვარგარეთული მივლინებები? წადი შენი!.. ჩვენ მეეზოვეს ვეძებთ!"

* * *

— შვილო, შენ უკვე დიდი ხარ და დროა, სექსზე ვილაპარაკოთ. მითხარი, მეგობარი გოგო გყავს?

— კი, მამა.

— ახლა კი — სექსზე: იმ გოგოს დაქალი არა ჰყავს?

## ლარის კურსი

### 17 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლ. გირვ. სტერ. | 1 | 3.2868 ლ. |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8175 ლ. |
| ევრო | 1 | 2.2050 ლ. |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0636 ლ. |
| აზერბაიჯ. მან. | 1000 | 0.3835 ლ. |
| სომხური დრამი | 100 | 0.3984 ლ. |
| უკრაინული გრივ. | 10 | 3.6205 ლ. |

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ კოლეგასა და მეგობარს ნაზი იმნაიშვილს ძმის

თეიმურაზ იმნაიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ზურაბ რობაქიძე, შვილები ქეთევანი, თამარი, შვილიშვილები გიორგი, ზურაბი, სიძე თამაზ ჯიბლაძე, და ნამიკო სარალიძე, უახლოესი ნათესავები და მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გულიკო სარალიძე

პანაშვიდი 17, 18 VI, 17 სთ. დაკრძალვა 19 VI, 15 სთ. ნუცუბიძის ქ. №74.

---

ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი თანაუგრძნობს დირექტორს ტრანსფუზიოლოგიის დარგში – ზურაბ რობაქიძეს მეუღლის, ქალბატონ

გულიკო სარალიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაცია, აკადემიკოს კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი, თბილისის მე-10 ქალთა კონსულტაციის მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

გულიკო სარალიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

კომპანია „მარტინ ბაუერის" თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ბატონ რამაზ ფანცხავას მეუღლის, ქალბატონ

რუსუდან დიდიძის

გარდაცვალების გამო.

## ამინდი დღეს

| 17 ივნისი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 28° | 17° |
| ბათუმი | 23° | 13° |
| თელავი | 28° | 16° |
| სოხუმი | 24° | 12° |
| ქუთაისი | 24° | 18° |

ფრიდონ თოდუა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრისა და შესანიშნავი მეცნიერის, აკადემიკოს

ვლადიმერ ბახუტაშვილის

გარდაცვალებას და გულითად სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია მწუხარებით იუწყება, რომ ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დამაარსებელი და მისი უცვლელი დირექტორი

ვლადიმერ (ლადო) ბახუტაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

ვლადიმერ ბახუტაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალერგოლოგიის, ასთმის და კლინიკური იმუნოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამედიცინო საზოგადოების თვალსაჩინო და უსპეტაკესი წარმომადგენელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარე, აკადემიკოსი

ვლადიმერ ივანეს ძე ბახუტაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, გამოჩენილი მეცნიერი, ღვაწლმოსილი ექიმი და პედაგოგი, გამორჩეული პიროვნება, აკადემიკოსი

ვლადიმერ (ლადო) ბახუტაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---



შვილები მანანა, ავთანდილ, დავით შარაშენიძეები, დები მაყვალა, მზია ყოჩიშვილები, შვილიშვილები თიკა, სოსო, გეგა, ბექა შარაშენიძეები, მარინა, რამაზი, ვანო ხელაშვილები, გიორგი, ირაკლი მთიბელიშვილები, ბიძაშვილი ტასიკო ყოჩიშვილი ოჯახით, ლეილა, ლია შარაშენიძეები ოჯახით, ჯემალ შარაშენიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეთერ დავითის ასული ყოჩიშვილი

პანაშვიდი 16, 17 VI, 17 სთ-ზე, გამოსვენება 18 VI, 15 სთ-ზე, მის: საბურთალოს 35, III სადარბაზო.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი

ვენერა ჩოფლიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული აგრონომი, აფხაზეთის მონადირეთა კავშირის თავმჯდომარე

ზელიმ სევერიანის ძე დგებუაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე დინარა საგინაშვილი, შვილები ხათუნა, თამუნა, სოფიკო, ძმა მურთაზი, დები გულიკო, რუსუდანი, სიძეები თემო დოლიაშვილი, ზაზა ლაზარაშვილი, შვილიშვილები თემუკა, გიორგი, სანდრო დოლიაშვილები, ჯუბა, ირაკლი, თორნიკე, თეკლა შალიკაშვილები, გიორგი, ნინო ლაზარაშვილები, ძმისწულები სალომე, ივანე, თამაზ, სულხან იმნაძეები, დისწულები ეკა, ნიკა ბრეგვაძეები, ანა, ლევან, საბა ტაბიძეები, მძახლები რაია, თემურ დოლიაშვილები, ლალი ტაბატაძე-შალიკაშვილისა, ინგა, თენგიზ ლაზარაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აპოლონ (თამაზ) ივანეს ძე იმნაძე

პანაშვიდი 17, 18 VI 17 სთ. გამოსვენება 19 VI, 15 სთ., ვაჟა-ფშაველას II კვარტალი, 30-ე კორპუსი, III სადარბაზო, IV სართული.

---

შვილები ნუგზარ, ვალტერ ფიფიები, რძლები მანანა გაბუნია, მანანა თელია, შვილიშვილები ირაკლი, ეკა, გიორგი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სერგო მოსეს ძე ფიფია

პანაშვიდი 17, 18 VI, 17 სთ-ზე, მისამართი საბურთალოს ქ. №7, II სად, VII სართული, დაკრძალვა 19 VI, გამოსვენება ქაშუეთის ეკლესიიდან 14 სთ-ზე.

---

ძმა ოთარ გამყრელიძე, რძალი დოდო ნანობაშვილი, ძმისწულები სულხან, თამარ, ნინო, დიმიტრი, მარიამ გამყრელიძეები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

არეთა (ნელი) გამყრელიძე

პანაშვიდი 17, 18 VI, 17 სთ. გამოსვენება 19 VI, 14 სთ. მისამართი, ვარკეთილის 3, IV მიკრორაიონი, 403 კორპუსი, მე-8 სადარბაზო, II სართული.

---

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ფინანსური პოლიციის უფროსის მოადგილეს მალხაზ ბიწაძეს გარდაეცვალა ძმა

მერაბ ბიწაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი თანაუგრძნობს ფინანსური პოლიციის უფროსის მოადგილეს მალხაზ ბიწაძეს ძმის

მერაბ ბიწაძის

გარდაცვალების გამო.

## დღის კალენდარი 17 ივნისისთვის

### წლის 168-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 197 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

**ხსენება წმიდა მიტროფანე კონსტანტინეპოლელ პატრიარქისა (325-326). მღვდელმოწამე ასტი დირახიელ ეპისკოპოსისა (II). მოწამეთა: კონკორდისა, ფრონტასი, სევერიანე და სილანისა (I), წმიდა მამისა ზოსიმე ეგვიპტელისა – ბაბილონის ეპისკოპოსისა (VI).**

**დაიბადნენ:**

**1818 – შარლ გუნო,** ფრანგი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1884 წელს.

**1876 – ალექსანდრე ალადაშვილი,** გამოჩენილი ექიმი-თერაპევტი. გარდაიცვალა 1950 წელს.

**1882 – იგორ სტრავინსკი,** რუსი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1971 წელს.

**1911 – ვიქტორ ნეკრასოვი,** რუსი ემიგრანტი მწერალი. გარდაიცვალა 1987 წელს.

**1929 – ტიგრან პეტროსიანი,** ჭადრაკში მე-9 მსოფლიო ჩემპიონი. გარდაიცვალა 1984 წელს.

**1932 – თენგიზ ჯაფარიძე,** მხატვარი.

**გარდაიცვალნენ:**

**1953 – მოსე თოიძე,** ცნობილი მხატვარი.

**1958 – იმრე ნადი,** უნგრეთის პრემიერ-მინისტრი, ნიკიტა ხრუშჩოვის განკარგულებით სიკვდილით დასაჯეს როგორც უნგრეთის 1956 წლის აჯანყების მონაწილე.

**მოვლენები:**

**1856** – ფილადელფიაში გაიხსნა აშშ-ს რესპუბლიკური პარტიის პირველი სხდომა.

**1885** – ნიუ-იორკს მიადგა ფრანგული გემი „ისერე", რომელმაც აშშ-სთვის ფრანგი ხალხის საჩუქარი – თავისუფლების ქანდაკება ჩაიტანა.

**1940** – ლატვიაში და ესტონეთში შევიდნენ საბჭოთა ჯარები.

**1944** – ისლანდია გამოცხადდა სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

**1982** – გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლისას აშშ-ს პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა საბჭოთა კავშირს ბოროტების იმპერია უწოდა.

**2004** – მწერალ დავით ტურაშვილის თაოსნობით სათავე დაედო „ვეფხისტყაოსნის" საჯარო კითხვას.

მედია-ნიუსი.

## ხსოვნა

# ვლადიმერ ბახუტაშვილი



სამი წლის წინათ აკადემიკოს ვლადიმერ ბახუტაშვილს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დამაარსებელსა და დირექტორს, 70 წელი შეუსრულდა. ის აღსავსე იყო ენერგიით, ახალი იდეებითა და გეგმებით, ახარებდა წარმატებები დაკავშირებული მის ნაღვაწთან – XXI საუკუნის პრეპარატად აღიარებულ პლაფერონთან.

უეცარი და მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, ბატონი ლადო განაგრძობდა აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას. ამის დადასტურებაა მის მიერ შარშან მიღებული აშშ-ის ორი პატენტი.

ბატონმა ლადომ თვალსაჩინო კვალი დატოვა მედიცინასა და ბიოლოგიაში. ინფექციური სნეულებები, იმუნოლოგია, სამედიცინო ბიოტექნოლოგია, მოლეკულური ბიოლოგია, მიკრობიოლოგია, პარაზიტოლოგია, ვირუსოლოგია – აი, კვლევის სფეროები, სადაც მან მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. 300-ზე მეტი სტატიის, 5 მონოგრაფიის, მრავალრიცხოვანი პატენტისა და გამოგონების ავტორი, 50-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი, იგი მედიკოსი და ბიოლოგი სტუდენტების, ახალგაზრდა ექიმებისა და სპეციალისტთა რამდენიმე თაობის პედაგოგი გახლდათ, რომელთათვისაც ჭეშმარიტი მეცნიერისა და ექიმის არაჩვეულებრივ მაგალითს წარმოადგენდა.

ვლადიმერ ბახუტაშვილი – გამორჩეული პიროვნება, კეთილშობილი, ვაჟკაცური და გულკეთილი ადამიანი, რომელიც ყოველთვის ღირსეულად აფასებდა, აიტაცებდა ხოლმე სიახლეს და მხარს უჭერდა ყოველ ახალ წამოწყებასა და ახალგაზრდა თაობის წინსვლას.

დაუზარელი, იგი მუდამ მზად იყო დახმარებოდა ირგვლივ მყოფთ როგორც სამსახურებრივი, ასევე ყოველდღიური პრობლემების გადაწყვეტაში.

ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის ბატონი ლადო ყოველთვის იყო არა მარტო დირექტორი და მასწავლებელი, არამედ დიდი მეგობარი და გულშემატკივარი. ასეთად დარჩება იგი ჩვენს მეხსიერებაში – ლამაზი, სიცოცხლით აღსავსე ადამიანი, გამოჩენილი მეცნიერი.

**სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი.**

---

# ანზორ მიქაძე



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 70 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, სს „საქჰიდროენერგომშენის" ყოფილი თანამშრომელი ანზორ მიქაძე.

ანზორ მიქაძე დაიბადა 1935 წელს სენაკის რაიონში. 1958 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სპეციალობით – „ჰიდროტექნიკური მშენებლობა". იმავე წლიდან შრომითი საქმიანობა დაიწყო რუსეთში, სადაც მუშაობდა ტრესტ „ორენბურგყამირმშენის" სამშენებლო სამმართველოში ჯერ ოსტატის, შემდეგ სამუშაოთა მწარმოებლის, უფროსი სამუშაოთა მწარმოებლის და სამშენებლო სამმართველოს უფროსის თანამდებობებზე. 1964 წლიდან მისი შრომითი საქმიანობა დაკავშირებული იყო ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის" სისტემასთან. მუშაობდა ენგურჰესის მშენებლობაზე, იყო კაშხალმშენის სამშენებლო სამმართველოს უბნის უფროსი, ვარდნილჰესების სამშენებლო სამმართველოს უფროსი, სამოქალაქო ბინათმშენებლობის სამმართველოს უფროსი, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს უფროსი და ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე. 1979-95 წლებში იგი მუშაობდა გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენის" უფროსის მოადგილედ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხებში. 1995-2001 წლებში იყო ჰილდინგური კომპანია „ჰიდროენერგომშენის" მთავარი სპეციალისტი საშუამავლო, საბროკერო, მარკეტინგულ და სავაჭრო საქმიანობაში. 2001 წელს ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესების გამო იგი გავიდა პენსიაზე.

თავისი შრომითი საქმიანობის პერიოდში ბატონმა ანზორმა თავი გამოიჩინა როგორც მაღალკვალიფიციურმა და ენერგიულმა სპეციალისტმა, რომელიც სრულყოფილად ფლობდა მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგების, საბროკერო და მარკეტინგული საქმიანობის საკითხებს. იგი ყოველთვის ხასიათდებოდა მაღალი ზნეობით, იყო ყურადღებიანი და მოკრძალებული ადამიანებთან ურთიერთობაში.

ბატონი ანზორი თავისი ნაყოფიერი საქმიანობისათვის საქართველოს ხელისუფლების მიერ არაერთხელ იყო დაჯილდოებული ორდენითა და მედლებით. 1980 წელს მას მიენიჭა „საქართველოს დამსახურებული ინჟინრის" წოდება.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ადამიანი, კარგი სპეციალისტი და მეგობარი, მოყვარული მეუღლე, მამა და ბაბუა, რომლის ნათელი სახე დიდხანს იქნება მისი მეგობრების, კოლეგებისა და ოჯახის წევრების ხსოვნაში.

**სს „საქჰიდროენერგომშენი", საპროექტო ინსტიტუტი „თბილჰიდროპროექტი".**

---

# რევაზ ჩხეტია



გარდაიცვალა საქართველოში კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ღვაწლმოსილი მეცნიერი, ქართველ კურორტოლოგთა მრავალი თაობის აღმზრდელი, საქართველოს სამედიცინო აკადემიის ფიზიოთერაპიისა და კურორტოლოგიის კათედრის უცვლელი ხელმძღვანელი 1974 წლიდან, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი რევაზ იპოლიტეს ძე ჩხეტია.

რევაზ ჩხეტია დაიბადა 1925 წელს სენაკში. 1949 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ პრაქტიკული საქმიანობა დაიწყო კურორტ ბორჯომში, ჯერ საბაზო სანატორიუმ „ბორჯომ-ლიკანის" კლინიკური განყოფილების გამგედ, მთავარი ექიმის მოადგილედ, შემდეგ ტერიტორიული სამმართველოს მთავარ ექიმად. 1959 წლიდან იგი შეუდგა მოღვაწეობას თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ფიზიოთერაპიის და კურორტოლოგიის კათედრის ასისტენტად, დოცენტად, შემდგომში კათედრის გამგედ.

პროფ. ჩხეტია არის 60 სამეცნიერო ნაშრომისა და 2 მონოგრაფიის ავტორი. ბატონი რევაზი გამოირჩეოდა რა მაღალი პროფესიონალიზმით, პრინციპულობით, დიდი ორატორული ნიჭით, იმსახურებდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულ ექიმ-მსმენელთა დიდ პატივისცემას და სიყვარულს. სამაგალითო პიროვნული თვისებების გამო იგი იყო კათედრის კოლექტივის, კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის მრავალრიცხოვან თანამშრომელთა შემაკავშირებელი.

წავიდა ჩვენგან საქართველოში საკურორტო საქმის დიდი პატრიოტი, დახვეწილი ინტელიგენტი, ღირსეული ქართული ოჯახის მამა. ბატონი რევაზის ნათელი სახე მუდამ დარჩება მისი თანამშრომლებისა და მრავალრიცხოვანი კოლეგების ხსოვნაში.

**საქართველოს სახელმწიფო აკადემიის კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის კათედრა;**
**თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი;**
**საქართველოს ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი.**

# ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო სამსახური – 022;**
**გენერალური პროკურატურა – 99-74-10;**
**შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;**
**საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;**
**ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;**
**იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;**
**ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;**
**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;**
**სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;**
**ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;**
**შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;**
**კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;**
**თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;**
**საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;**
**თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;**
**შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;**
**ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.**
**კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რუსთაველის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ელგუჯა ლეჟავაძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიას ნუ მოგვიტანენ.